140
1979/2

ISSN 0132-5973

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

3
1979

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები!

**1979 წლის 23 იანვარს სტარტი აიღო საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის რაზმების მარშმა, რომლის დევიზია „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები!" მარში ეძღვნება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს.**

**ძვირფასო მეგობარო,**
შენს პიონერულ ცხოვრებაში დაიწყო ახალი, მეტად საინტერესო ეტაპი, 23 იანვრიდან მოქმედებს ახალი პიონერული მარში მიძღვნილი დიდი ლენინის იუბილესადმი. შენ და შენს თანატოლებს ერთხელ კიდევ გეძლევათ ფართო ასპარეზი, დაამტკიცოთ სწრაფვა ლენინის მიერ დასახული გზით,

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

პიონერი

3 მარტი 1979

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა





მისი იდეებით შთაგონებული ცხოვრებისა და მოქმედებისა. მარშის ამოცანაა:

**შეისწავლოთ ილიჩის ცხოვრება და მოღვაწეობა, ჩასწვდეთ მის ანდერძს, დაინახოთ როგორ ისხამს ხორცს იგი და შეძლებისდაგვარი მონაწილეობა მიიღოთ ამ ანდერძის შესრულებაში.**

საჭიროა საქმე ისე დავაყენოთ, **„...რომ ყოველდღე ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში ახალგაზრდობა პრაქტიკულად წყვეტდეს საერთო შრომის ამა თუ იმ, თუნდაც სულ მცირე, თუნდაც სულ უბრალო ამოცანას“.**

ილიჩის ეს სიტყვები შენ და შენს ამხანაგებსაც გეხებათ. ახლა, როგორც არასოდეს სერიოზულად უნდა მოფიქრება, გააზრება ყველა იმ დიდ თუ პატარა საქმეს, რომელსაც თქვენ ამ მარშის მარშრუტებით მოჰკიდებთ ხელს. ამას წინათ ჩატარებული რაზმებისა და რაზმეულების შეკრებებზე თქვენ უფროსებთან ერთად ყურადღებით ისაუბრეთ პიონერულ მუშაობაში არსებულ ფორმალიზმზე, ნაკლოვანებებზე, ყურადღება გაამახვილეთ იმ ხელისშემშლელ გარემოებებზე, რაც იწვევს ხშირ შემთხვევაში თქვენი ღონისძიებების ფორმალურ, მოჩვენებით ხასიათს. არც თუ იშვიათად, ვიწრო პიონერული აქტივის გარდა, თქვენი მოქმედების არეში არ ექცევა პიონერთა და მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა, რის შედეგადაც ცალკეული მოსწავლეები ქუჩის გავლენის ქვეშ ხვდებიან, ჩადიან მცირე თუ დიდ დანაშაულს. დაგვეთანხმეთ, რაზმში ერთი ასეთი პიონერის ყოლა უკვე დიდი განგაშის ატეხის საბაბი უნდა გახდეს. ხშირად თანატოლების ყურადღება, მხარში ამოდგომა უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე უფროსების შეგონებები და სასჯელი. ამიტომ თქვენი პირველი რიგის პიონერული ვალია, იზრუნოთ თქვენი ამხანაგებისათვის, საჭიროების შემთხვევაში ენერგია არ დაზოგოთ მიზნის მისაღწევად. არა მოჩვენებითი ღონისძიება, არამედ თითოეულ მოსწავლესთან, პიონერთან ახლოს მისვლა, თითოეულის ინტერესების, გატაცების წვდომა და ამის გათვალისწინებით თქვენი სამუშაო გეგმის მოხაზვა, დავალებათა განაწილება და შესრულების კონტროლი.

მეგობარო, შენ უკვე იცნობ მარშის სვლაგეზებს, მის საკავშირო თუ რესპუბლიკურ აქციებსა და ოპერაციებს. გისურვებთ ამ ეტაპზე სახელოვნად გააგრძელებინოთ დაწყებული საქმე, მიაღწიოთ ახალი წარმატებებისათვის.









16181

კ. მარქსის ს.ხ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

# მგზავრის გამოუგზავნელი ბარათები ანუ მუხლზე დაწერილი მოთხრობები



ოთია იოსელიანი

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე

## ყაჩაღის მასპინძლობა

დილაადრიან დავადექი თვალუწვდენ უდაბნოს. კი ვიცი, რას ნიშნავს უდაბნო, მაგრამ ცოდნა რას გიშველის? მოგზაური თუ ხარ, ისიც უნდა იცოდე, სულ აყვავებულ ბაღებში და მდელოებზე ვერ ისეირნებ.

ვიარე და ვიარე. ვიარე და ვიარე. გაშუადღევდა, ადუღდა მიწა, თონესავით გავარვარდა ცა. ზეზეულად შევიწვი. ჩამოყარეს ფრთები მტრედებმა. არსად, ქაცვის ბუჩქი რომ ბუჩქია, ის არ ჩანს. შიმშილი ვიღას ახსოვს. წყალი, ერთი პეშვი წყალი სიცოცხლედ ღირს. ისე გამიჭირდა სუნთქვა, ერთი კი ვიფიქრე, დავწერ ბარათს: „მშვიდობით!..“ და წითელ მტრედს შევაბამ-მეთქი, მაგრამ სანამ პირში სული მედგა, ამის უფლება არ მქონდა. თანაც წინ, შორს, რაღაც მომწვანო-მოცისფრო დავინახე და იმედი მომეცა, ოაზისი იქნება-მეთქი. ავუჩქარე ნაბიჯს. თქვენც არ მომიკვდეთ. ოაზისი კი არა, ის არ გინდა! რამდენი ვუახლოვდები, იმდენი მშორდება, ვუახლოვდები — მშორდება. მირაჟია-მეთქი, მივხვდი. მაინც მივეშურები. ოაზისი რომ იქნეს, ხომ ავშენდი... იმედიც ხომ მირაჟივით არის, რამდენს უახლოვდები, იმდენი გშორდება, მაგრამ სიცოცხლის რწმენას ხომ გაძლევს! ასე მატარა მთელი დღე მშიერ-მწყურვალი იმ შენმა მირაჟმა და მაცოცხლა.

საღამოს ის ცისფერ-მწვანე მოჩვენებაც გაქრა და მეც, ძალაგამოლეული, ღადარივით ცხელ ქვიშაზე დავვარდი.

ვხედავ (თუ ეს მოჩვენება არაა), რაღაც უშველებელი ოთხფეხი დაშლიგინობს ამ უკიდეგანო უდაბნოში.

— ეი! — მივაძახე.

— ეი! — მომაძახა.

რაღაცაა, დიდი უშნო და უზარმაზარია, მაგრამ ჩემთვის სულ ერთია, რაღა მგელს შევუჭამივარ და რაღა მგლისფერ ძაღლს. ის მიმსხვერპლებს, თუ ეს უდაბნო ამომხდის სულს, რა მნიშვნელობა აქვს.

მომიახლოვდა. ვეება ორკუზიან აქლემზე ამხედრებული ყავისფერი კაცია, კბილებამდე იარაღში ჩამჯდარი. რაღაც ავად გაუხარდა ჩემი დანახვა. ოცდათორმეტი კი არა, რატომ სამოცდაოთხი კბილი არ ექნებოდა და ყველა ერთად გამოაჩინა. ზედ ყურის ბიბილოებამდე ჰქონდა პირი მიხეული.

— გამარჯობა, მასპინძელო! — ამოვიხიხინე ენაგამხმარმა.

— მე რომ მიყურებ შენ, ყაჩაღი ვარ! — დამყეფა თავზე აქლემიდან.

— რა ყაჩაღი ხარ, შე უბედურო, ამ უდაბნოში?!

— კაცის ხორცის მჭამელი, —ისევ გამოაჩინა სამოცდაოთხი კბილი, — ძვლიანად დაგტკვერ.

არადა, რომ მოენდომებინა, იზამდა.

თითსაც ვერ დამაკარებ-მეთქი, იქით შევუყეფე და გამოვაჩინე თექვსმეტი კბილი (ნახევარი მაკლია).

— რატომ ვითომ?! — გაღიმება არც უცდია, მაგრამ კბილები არ ეტია პირში და, რომ ატირებულიყო, მაინც გაცინებული გეგონებოდა.

— იმიტომ, რომ, სტუმარი ვარ.

— ვიინ? — უცებ მოლბა ყაჩაღი.

— მოგზაური ვარ... სტუმარი... სტუმარი არ იციან თქვენში?

— უჰ, შე კაცოო! — შეწუხდა, აქლემმაც დაჩოქება დაიწყო, მაგრამ ვინ დაუცადა, მაშინვე ამოდენა მთასავით ცხოველის ზურგიდან გადმოხტა, კინაღამ კისერი მოიტეხა.

— რავა იმგზავრე, რავა გიკითხო! — ჭიშკარივით გაშალა ხელები და თავსაბურავი მოიშვლიპა.

— რაღა ვიმგზავრე, კინაღამ სული ამომხდა...

— ეუჰ, ღმერთო, მომკალი! — წაიშინა ხელი ტიტველ შუბლში თავგამეტებით.

— კაცო, რას შვრები! — ვეცი მკლავებში.

— რას იტყვის ახლა ეს კაცი, ეს რა ქვეყანაში მოვხვდიო!...

შევცდი. მასპინძელს, უდაბნოს მკვიდრიც რომ იყოს, შენი ქვეყანა სამოთხეა-თქო უნდა უთხრა. ეს ტყუილიც არ იქნება, რაკი მისთვის ის სამშობლოა და სამშობლოზე ლამაზი და მშვენიერი ქვეყნად არაფერია.

— არა, შე კაიკაცო, ეს მე დავიღალე და დავიქანცე, ჩემს გაჭირვებაზე მოგახსენე, თორემ აქ ყოფნას რა სჯობს, თვალი უკეთესს რას დაინახავს, ან ასეთ კეთილ ხალხს სად გადაეყრები.

— კი, ხომ?... —ცოტა დაშოშმინდა ეს „კაცის ხორცის მჭამელი“.

— მთელი ქვეყნიერება ფეხით მაქვს მოვლილი (რაც შემეძლო გავაზვიადე) და ასე წარმტაცი, ასე დახატული და დაქარგული არაფერი უნახავს ჩემს თვალებს!

— ვერც ნახავ! — კვერი დამიკრა მასპინძელმა და ისევ გადმოყარა ერთი გოდორი კბილები. — გეშიება, გეწყურება! — გაიქაჩა მერე.

— რავა გეკადრება, აქ კაცს რა მოაშივებს და მოაწყურებს, ახლახანს გეახელი... —გავიდგი თავპატიჟი.

— მის მეტი რაა... მაგრამ არ დამკლა შენი ხელით, პურ-ღვინოზე წიხლი არ დამიკრა, არ შემარცხვინო.

— რაღაცას... შენი ხათრით, თორემ ყელამდე ვარ სავსე, — აღარ გავაწბილე გულმომწვავე მასპინძელი.

ეცა დაწოლილ აქლემს, წამოაგდო ფეხზე. მოდიო, — შემეხვეწა, — ცურთან პეშვი შეუშვირეო. რა მექნა, ხომ ვერ ვაწყენინებდი, შევუშვირე. ჩამოწველა და მადლეგრძელა, შენს ჩამოსვლას გაუმარჯოსო.

მე — თქვენს დახვედრას-მეთქი. და გადავკარი აქლემის უდუღარი თბილი რძე, კინაღამ გული ამერია.

— რავა მოგწონს ჩვენებური სასმელი? — თვალი თვალში გამიყარა.

ამჯერად არ შევმცდარვარ.

ჩვენებური ხვანჭკარა და ქინძმარაული ამასთან მონაგონია-მეთქი.

---

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— არა, ამასთან ვერ მოვა, — ზრდილობიანად დამეთანხმა ის ოჯახაშენებული.

— ალავერდი შენთან ვარ! — გადავედი ალავერდს.

— იახშიოლ! — მომძახა და აქლემის ცურს ახლა პეშვი იმან შეუშვირა და მე ჩამოვწველე. მადლეგრძელა იმ კაცმა, ამოდენა პირიდან სულ მარგალიტები აფრქვია და გადაკრა.

— არ გაგიკვირდეს, ასე პეშვით რომ ვსვამთ. ეს რაა, გაგონილი მაქვს, ერთ პატარა ქვეყანაში, თურმე, სასმელს მიწიდან იღებენ და რქებით სვამენ.

ვერ ვუთხარი, მაგ ქვეყნიდანა ვარ-მეთქი და ისე, სხვათა შორის დავეთანხმე:

— გამივლია და მინახავს, მიწიდან კი არა, ქვევრიდან და ჭურიდან იღებენ, სმით კი — ყანწიდან სვამენ.

— ისე ისინიც კარგი მასპინძელი ხალხი ყოფილან, იმიტომ მოუგონიათ. სტუმარმა ბოლომდე რომ არ დალიოს სასმელი, რას იზამს! რქა ხომ არ დაიდგმება.

— კი მაგრამ, რქას კიდევ რაღაცას მოუხერხებს კაცი და თქვენ უკეთესი გცოდნიათ, პეშვის დაცლაც არ გიშველის, თუ არ გაილოკავ, ხელს ვერაფერს მოჰკიდებ.

— მოგეწონა ხომ?.. — გაიბადრა უდაბნოელი. — ა, ასე ვიცით ჩვენ!..

„ვუჭახუნეთ“ სასმისები და ვსვით სადღეგრძელოები, სანამ „ჭურში“ ღვინო არ გამოგველია. მერე ბებუთი დააძრო, მწვადი და ბეჭი უნდა მოგართვაო. ძლივს გამოვგლიჯე აქლემი ხელიდან. ამ „კაცის ხორცის მჭამელს“, უსახლკარო, უბედურ ყაჩაღს გადამწვარ უდაბნოში ერთი აქლემის მეტი არაფერი გააჩნდა და იმასაც სტუმრისთვის ჰკლავდა.

სასწრაფოდ ვაბამ ამ ბარათს მწვანე მტრედს (მტრედსაც აქლემის რძე დავალევინე) და ვუშვებ. აქ არაფერია მწვანე, ყველაფერი მკვდარი, გამომწვარი სილის ფერია (თვით აქლემიც), მაგრამ ჩემი მასპინძლისათვის მისი სამშობლო ხმელეთ-ზურმუხტია. ამიტომ აქ ყველაზე შესაფერისი მწვანე მგონია.

სასწრაფოდ იმიტომ ვუშვებ ამ მტრედს, რომ, ვინ იცის, თქვენც მოგიხდეთ სადმე გამგზავრება და, ნათქვამი რომაა, წინა კაცი უკანასი ხიდიაო, ის შეცდომა, რაც მე დამემართა, თქვენ არ მოგივიდეთ. სტუმრის ადგილიც იცოდეთ და პერანგი რომ გაიძროთ, მაინც გულუხვი მასპინძელი იყავით.

## თავლაფდასხმის ამბავი

ვიცი, ცალ-ცალკე ყველა მართალია. სანამ განსჯიდე, დაზარალებულსაც უნდა მოუსმინო და დამზარალებელსაც. მით უმეტეს, მოგზაურს ხომ ორივე მხარის დაკითხვაც არ გიშველის — სხვადასხვა ხალხს სხვადასხვა ადათი და წესი აქვს. ესა თუ ის საქციელი ერთ ქვეყანაში რომ სირცხვილად და თავისმოჭრად ითვლება, მეორე ქვეყანაში — ღირსებადა და დიდებად. ამიტომ მოგზაურმა უმჯობესია, პირზე ბოქლომი დაიდო და, რაც არ უნდა მოხდეს, დაჯდე და გულგრილად უცქირო. გვერდის ავლა და განშორება, რა თქმა უნდა, არ ივარგებს, თუ არაფერი არ ნახე და არ გაიგე, მაშინ სახლში მჯდარიყავი.

ერთ ქვეყანაში მე რომ ამბავს გადავეყარე, მტრისას. მოჰყავთ ურემზე ბაწრებით მიკრული ასე, თქვენი ხნის ბიჭი და ზარებს რეკავენ. ვიღაცა, ცირკის მასხარასავით ორი კაცის სიმაღლე ოჩოფეხებზე შემდგარი, გაჰყვირის:

— გამოდით, ხალხო! გამოდით, დიდო და პატარავ! თქვენი თვალით ნახეთ იუდა ისკარიოტელი. იუდა ჩვენს დროში, ჩვენს გვერდით.

ურემზე მიკრულ დამნაშავეს ჩამოუყრია ყურები, ჩაუქინდრავს თავი, ღაპაღუპით სცვივა ცერისსიმსხო ცრემლები.

გამორბიან პატარები, მოზრდილები, უფროსები, ქალი, კაცი და ვინ დამპალ ვაშლს უშენს, ვინ გადამწიფებულ პამიდორს, ვინ ლაყე კვერცხს, ვილაცა კაპასმა ქალმა სათლით საინების ნარეცხიც კი გადაასხა თავზე.

— რაშია საქმე, რას ერჩით ამ თითის სიგრძე ბიჭს?
— ვეცი ერთ წვეროსან მოხუცს, ვიფიქრე — ხანდაზმულია, არაფერს გადაამლაშებს, სიმართლეს მეტყვისმეთქი.

— ვის, ამ მამაძაღლს? — გამიჯავრდა, დამნაშავის გამოსარჩლებას ხომ არ ბედავსო.

— დიახ, მე უცხო კაცი ვარ და, ღვთის გულისათვის მითხარით, ამას ჯერ რა დანაშაული უნდა ჩაედინა.

— მაგისგან კაცი არ გამოვა, დაღუპავს ქვეყანას და სამშობლოს!

— ამას ჯერ რისი დაღუპვა შეუძლია, მიწას არ აშორებია.

— მიწას რომ არ აშორებია და ახლა ამას სჩადის, რომ გაიზრდება, ხომ ცოცხლად შეჭამს ადამიანს!

— ალბათ, მაგრამ მაინც რა დააშავა ასეთი?

— რავა რა დააშავა! — ხმას აუწია წვეროსანმა, სულ არ ეკადრებოდა ამ ხნის კაცს ასეთი გაცეცხლება. — წარმოგიდგენია?! წლობით ერთად სხედან ერთ მერხზე... ეს მამაძაღლი კარგად კი სწავლობს, მაგრამ რად გინდა მერე...

— ვისთან ზის, ბატონო?

— სკოლაში ვისთან უნდა იჯდეს ბავშვი?

— ამხანაგთან, მეგობართან, თანატოლთან...

— დი-ი-ახ! და რად გინდა მერე!

— რა უქნა მეგობარს, დაარტყა თავში რაიმე და მოკლა? — ახლა მე აღვშფოთდი. რაღაც დიდი უბედურება რომ აქვს ჩადენილი, არ უნდა ლაპარაკი.

— ვინ მოკლა, რა მოკლა, ხომ არ შეიშალე! ამხანაგი. რომლის გვერდით ზის ამდენი წელიწადია, ამ იუდას თურმე არ უყვარს და მისთვის ჭკუას არ კარგავს.

— სკოლის, ჯგუფის, მერხის მეგობარი არ უყვარს?

— აბა, წარმოგიდგენია! — ისევ, რომ არ ეკადრებოდა, ისე აიმაღლა ხმა.

— არ უყვარს და ნუ უყვარს. ამისთვის მიგიბამთ ურემზე და თავზე ლაფსასხამთ? — ახლა ამ ბავშვის საცოდაობით აღვშფოთდი.

— რას ლაპარაკობ! შენც ხომ არ გინდა იმ ურემზე გაგმხვართოთ და დაგიშინოთ ლაყე კვერცხები?!

— რატომ, ბატონო, — უკან დავიხიე მე.

— აბა, რას ლაპარაკობ და სრულ ჭკუაზე თუ ხარ!

— არ უყვარს და ნუ უყვარს, —ხმას დავუწიე.

— რას ამბობ შენ! მაგას მის გვერდით მჯდომი, მისი ამხანაგი და მეგობარი რომ არ უყვარს და მისთვის ჭკუას არ კარგავს, მე შემიყვარებს და, მე კიდევ რაა, მტერს და დუშმანს შეიყვარებს?

— თქვენი ახლობელია?

— არა, პირველად ვხედავ, არც ვიცი, რა ჰქვია.

— ახლა... თუ არც იცნობთ... და ამას გარდა, მტერი და ორგული თუ არ ეყვარება...

— მტერი უნდა გიყვარდეს კაცს და გადამთიელი, თორემ დედა ხბოსაც კი უყვარს.

— საერთოდ... რა თქმა უნდა... სასურველია...

— სასურველი და სასიხარულო გვინდა ჩვენ მომავალი, აბა, საზიზღარი და კაცთმოძულე ღმერთმა მტერი ნუ მოგცეს.

— იცოცხლეთ, კაცთმოყვარე მტერი კარგია!..

— კარგი რომაა, თუ არ გაზარდე, საიდან იქნება. როგორც კი შეამჩნევ ბალღს, თავისი ამხანაგი და მეგობარი არ უყვარს, მაშინვე თავსლაფი თუ არ დაასხი და არ შეაჩვენე, აბა, კაცთმოყვარე ციდან ჩამოგიფრინდება?

— არა, აღზრდა კი უნდა, მაგრამ ასე ურემზე მიბმა და ხალხში გამოჭენება მეტის მეტი ხომ არ არის?

— მეტის მეტი კი არა, მე რომ მკითხოს კაცმა, მაგ უჯიშოს კუპრსაც გადავასხამდი თავზე. ასეთი გულღრძო როგორაა ბავშვი, რომ თავისი მერხის მეგობარი ჭკუის დასაკარგავად არ უყვარს!

— კი, მართალი ხართ.... მაგრამ... მაინც ნამეტანი ხომ არ მოგდით...

— მაგან ჯერ სიყვარულის და სათნოების მეტი არაფერი არ უნდა იცოდეს და ახლავე თუ სიძულვილი და ვერაგობა დაიწყო, ჩემი ხნის რომ იქნება, კაცის ხორცის ჭამას დაიწყებს...

— კი, მაგრამ...

— დამანებე კაცო, თავი, ვილაცა ოხერი ხარ!..

შემაქცია ზურგი და ურემს შემოხვეულ ბრბოს გაეკიდა.

ბრბო კი რეკავს ზარს და ოჩოფეხებზე შემდგარი კაცი გაჰკივის:

— გამოდით, ხალხო, გამოდით და თავსლაფი დაასხით კაცთმოძულეს, ადამის მოდგმის მტერს, უნდოს და გაუტანელს!

ამ უსამართლობას ასე გულხელდაკრეფილმა, როგორ ვუყურო-მეთქი. გავიქეცი, გავარღვიე ხალხი, დამნაშავეს ხელი ნიკაპში ამოვდე და ლაყე კვერცხით და პამიდორის წვენით დათხიპნილ სახეში ჩავაჩერდი.

— ბიჭო, მართლა გაგიწყრა ღმერთი, და შენი თანაკლასელი, წლობით გვერდით რომ გიზის, არ გიყვარს?

— არ მი-მი-ყვარს! — აზლუქუნდა თავლათდასხმული.



— გამოდი, კაცო, აქეთ შენ! ეს ვინ ეშმაკია! — აყვირდა ხალხი...

— მაცალეთ ერთ წამს! ბიჭო, რატომ, რამ შეგაძულა ამხანაგი, რაა მიზეზი?

— ო-ოხერია, მუდრეგი. იგინება, არ სწავლობს, იფურთხება, გოგოებს თმებს აგლეჯს...

— ა, ხომ ხედავთ, ხალხო, არ ყოფილა დამნაშავე...

— რა არ ყოფილა... ვინა ხარ, კაცო, შენ! — აქაქანდა ისევ ბრბო.

— ის, ამის მეგობარი, არ ყოფილა სიყვარულის ღირსი...

— ვინ მოგახსენა! ანგელოზი უნდა იყოს, რომ უყვარდეს? იმისთანა ხელიდან წასულ ბავშვს უნდა სიყვარული და მხარში ამოდგომა... გამოდი აქეთ! — მომაძახეს და ერთი-ორი დამპალი კარტოფილი და ლუჯე მსხალი მეც მომაყოლეს და გამომაგდეს.

გადავედი იქვე, გზის გადაღმა, ჩავიჩოქე ცალ მუხლზე და დავწერე, რაც დავინახე და მოვისმინე. ახლაც გაოგნებული ვარ, მაგრამ მაინც მგონია, ნამეტანი მეტის მეტი სცოდნიათ ამ დალოცვილებს.

## ორმოში ჩავარდნილი მეზობლის ამბავი

განწირული კაცის ყვირილი მესმის. მართალია, ისიც კი არ ვიცი, რა ქვეყანაში ვარ, მაგრამ დაღუპული და წყალწაღებული მთელ დედამიწაზე ერთნაირად ბღავის და ერთნაირად მოუხმობს მშველელს, გამგონე სადაა, თორემ...

— არავინ ხართ კაცის შვილი?.. მეზობელო, მოკეთე, ადამიანო, მი-შვე-ლე-ე-ეთ!

გზიდან გადავუხვიე, ვიშვირე ფეხი და გავრბივარ, საიდანაც ეს უბედურების მომასწავებელი ხმა მესმის. ზურგზე მოგდებულ გალიაში აფართქალდნენ მტრედები, ნაბდის კალთები ფეხებში მედება, ეს ძირგაფერილი რკინის ქალამნები ცვდება (ყოველთვის ასეა, როცა გეჩქარება). ვევლები ლობე-ყორეს, თან იმედს ვაძლევ:

— ნუ გეშინია, შე კაცო, აგერა ვარ, ახლავე მანდ გაჩნდები!

— მი-ი-შვე-ლე-ე-ეთ!

რაც ძალი და ღონე მაქვს, მივრბივარ...

— არავინაა გამკითხველი? მიშველეთ, მიშველეთ, მი-შვე-ლე-ე-ეთ!

— მოიცა, მამაცხონებულო! შენ ისე ხმამაღლა და გაბმით ყვირი, გეტყობა, პირი წყლით არა გაქვს სავსე, არც ცეცხლი გიკიდია, რაკი კვამლი არსაიდან ჩანს.

— ცეცხლს და წყალს აქ რა უნდა, ორმოში ვარ და ვიღუპები!

მართლაც, სამეზობლო ღობის ძირას, კვრინჩხის და ეკალ-მაყვლის ბარდებში უშველებელ ორმოს წავადექი. ჩავიხედე შიგ — ბნელია, არაფერი ჩანს.

— ამ ორმოში ხარ ვინმე, თუ კიდევაა აქ ამისთანა ჯურღმულები.

— ამ ორმოში ვარ, — მომესმა ქვევიდან.

დავაგდე გალია, ზედ ნაბადი მოვისროლე, რკინის ჯოხი, არ ვიცი, მივაყუდე თუ ხელიდან გამივარდა, გავწექი ორმოსპირა მიწაყრილზე და ჩავიხედე.

ვიღაცა შავი კაცი ზის ღრმა ხვრელის ძირზე და ხელები საშველად მაღლა ამოუტოტებია.

— რაფერ დაგყვა სული ფსკერამდე, თუ ამ სიმაღლე ორმოში ზევიდან გადავარდი!.. — გამიკვირდა.

— ფეხი ვილრძე და მგონი ლავიწის ძვალიც გამებზარა! — ამომძახა ქვევიდან.

— კიდევ ძალიან გადარჩენილხარ! — დავაიმედე.

— ამჯერად კარგად გადავრჩი.

— ამჯერად რას ნიშნავს, სხვა დროსაც ჩავარდნილხარ?!

— როგორ არა, რამდენჯერ გავთხრი, იმდენჯერ ვვარდები.

— შენ თვითონ თხრი?

— მე, აბა ვინ!

— მერედა რატომ თხრი, ან ვის უთხრი?!

— მეზობელს.

— ვის?! — რომ გადავირიე და შევხტი, კინაღამ მეც გადავეშვი ჯურღმულში.

— მეზობელს, მეზობელს! — ამომძახა და მერე თავისთვის ჩაილაპარაკა: — ყრუ ხომ არაა ეს კაცი...

— მეზობელს და მოკეთეს ორმოს უთხრი?!

— კი... მაგრამ, რომელი ქვეყნიდან ხარ შენ?

— მაგი არაა შენი საქმე! — გავუწყერი ზემოდან.

— ახლა შენი და შენი ქვეყნის დარდი სულაც არა მაქვს, მაგრამ ჯერ არ გაგიგონია, მეზობელს და მოკეთეს რომ ორმოს უთხრიდნენ?

არა და, ცოდვა გამხელილი სჯობს, კი მქონდა გაგონილი.

— მერე, ახლა როგორია სხვისთვის გათხრილ ორმოში ჯდომა! — დავგესლე ზემოდან.

— მაგას რა კითხვა უნდა, კარგი რომ იყოს, გავუთხრიდი?! — აქეთ დამცინის მგონი ეს გათახსირებული.

— მერე, რომ დაგიღია პირი და ბღავი: „მი-შველე-ე-ე!" ვინ გიშველის?

— მეზობელი.

— ვინ? — რომ გადავირიე, შევხტი და ისევ კინაღამ ჩავვარდი. — მეზობელს სთხოვ შველას?

— აბა შენ თუ გამოივლიდი, ვიცოდი? რა ყოველ დღე შენ გაქვს გზა ამ ღობის ძირებში.

— აქ შენს მეზობელს აქვს გზა, იცი, და ორმოს უთხრი, არა?!

— დღეში სულ ცოტა სამჯერ მაინც გაივლის, ვიცი, აბა, არ ვიცი?!

— ისიც თუ იცი, ახლა ვინ ზის მეზობლის და მეგობრისთვის გათხრილ ორმოში? — „ღმერთო, დაგელოცა სამართალი-მეთქი" — გავიფიქრე.

— ესეც ვიცი. ამოვალ თუ არა, როგორც კი ფეხი და ლავიწის ძვალი მომირჩება, ისევ გავუთხრი. მე სიმართლის თქმა მიყვარს.

— მაგ სიმართლით იარე, მართლის თქმა და ქმნა შენ გყვარებია! — ამონაყარ მიწას ორივე ხელით მივაწექი და ქვევით გადავუშვი.

— შენ, ვიღაც ოხერი ხარ, გადაირიე? — შემომწყრა, მარა რა შემომწყრა, ვითომ მე გამეთხაროს ორმო მეზობლისთვის.

— მე მგონია, ეს ჯურღმული რომ ამოვავსო, ისე რომ შენ შიგ ბრძანდებოდე, ძალიან კარგს ვიზამ, შენც დაგასვენებ და შენს მეზობელსაც.

— მაგი, ვისთვისაც ამ ორმოებს ვთხრი, იმას არ უქნია, და შენ ვინ გკითხავს, რომ სხვის საქმეში ერევი.

— იმ კაცმა რომ გაიგოს, ვისთვისაც შენ ამ ჯურღმულს ამზადებ, შე უბედურო, ცოცხლად დამარხვას არ დაგაჯერებს!

— შენ დაუძახე და მერე შენი თვალით ნახავ, რასაც იზამს.

— შენისთანა სინდისგარეცხილისათვის ახია, მართლა რომ დავუძახო, დავჯდე მერე აქ და თვალის სეირს ვუყურო.

კაცმა კაცი რატომ გაიმეტაო! მაგრამ ეს ორპირი და მოღალატე თვითონ მაძალებდა და მაიძულებდა, მეზობ-



ლისთვის დამეძახნა, თორემ მერჩია ჩემი ხელით ცოცხლად დამემარხა.

— მისამართიც უნდა მიმასწავლო! თვითონაც იცი, მე ამ ქვეყანაში უცხო ვარ! — ჩავიქირქილე, რაც შემეძლო ღვარძლიანად.

— შენ მაგ სიკეთე მიქენი, ოღონდ გამეგზავნე და ზუსტად მიგასწავლი.

— იცი სად დადის და ორმოებსაც იქ უთხრი, სადაც ფეხს დაადგამს, ხომ?

— ვიცი, აბა, მეზობელი სად დადის და რას აკეთებს, არ უნდა ვიცოდე! — კიდევ აქეთ გამიჯავრდა.

— ჰოდა, რაკი იცი, მიმასწავლე და ახლავე აქ მოგგვრი.

— ჩადი ისევ შარაგზაზე და, მარცხნივ რომ მოსახვევია, იქვე იკითხე, ან კითხვაც არ გინდა, ერთი ისლით და ლელით დახურული ძველი ქოხია, ქვრივოხვერ მათუსალას ქოხი, და იქ იქნება... ასე ეხმარება ის უბედური ყოველ გაჭირვებულს და წყალწაღებულს.

— ეუჰ! თანაც რა კარგი კაცი ყოფილა! — წამოვიყვირე ალტაცებით.

— მე ხელისგულები კი არ მექავება, კარგი კაცი რომაა, იმიტომ ვუთხრი ორმოს, აბა გლახას და მუდრეგს, ავაზაკსა და ბოროტს რა ჩემი დახმარება უნდა, თვითონ ითხრის ორმოსაც და სამარესაც.

ნამდვილად ჭკუიდან შემშლის ეს ვიღაცაა!

— კი მაგრამ, წავიდე ახლა და იმ დიდებულ კაცს ვუთხრა: მეზობელი, შენთვის რომ ორმო გათხარა, იმ ორმოში ზის, წამოდი და უშველე-მეთქი?!

— შენსავით რეგვენი კი არაა! რომ არ უთხრა, ვერ მიხვდება თუ!

— თუ რეგვენი ვარ და ის კაცი მაინც მიხვდება, იცოდე, მივდივარ!

— თუ ბევრს არ ილაილავებ და დროზე იზამ, კარგი იქნება, მომკლა ფეხის და ლავიწის ძვლის ტკივილმა! — მომესმა ზურგს უკან ისედაც დაგეშებულად მიმავალს.

მივადექი ქვრივოხვერ მათუსალას გაპარტახებულ ეზო-გარემოს. ვხედავ, მართლაც, ღვთისნიერი კაცი იტანს ისლის კონას სახურავზე, გაშლის ორ-ორ მწკრივად, დაადებს ჰოკს, დაადგება ფეხით, დატკეპნის, ჩაუყრის წვრილ ღვლეჭს; ქვევიდანაც არავინ არის, რომ ფიცზე დააკრას; ჩამოვა, შედის სახლში, იქიდან სხვენში ადის, ექაჩება, ალბათ ორჯერ მეტი ძალით, რაკი ზევიდან არავინა ჰყავს, რომ ისლი დატკეპნოს. და კრავს ღვლეჭს. ვიცი, ისლით ხურვას სულ ცოტა ოთხი კაცი მაინც უნდა: მიმწოდებელი, გამშლელი, ჰოკზე დამდგომი და ქვევიდან ფიცზე დამკვრელი. ყველაფერს ამას ეს ღვთისნიერი კაცი აკეთებს. აივანში კი, სოხანეზე, დაფეხვილი დედაბერი, ქვრივოხვერი მათუსალა ბუზღუნებს:

— ნეტა ვინ ეხვეწებოდა, რომ ამანგრია და დამანგრია, ღმერთს ჩემთვის სახლი და კარი რომ ნდომებოდა, ქმარს არ მომიკლავდა და შვილებს არ წამართმევდა.

მივადექი იმ ღვთისნიერს, ისლის კონის წასაღებად რომ ჩამოვიდა და ის ველარ ვუთხარი, შენთვის ორმოს მთხრელი შველას გთხოვს-მეთქი, მაგრამ ის კი ვაცნობე: კაცი ჯურღმულში აგდია და რაღაცას ხომ არ მირჩევდი, აქაური არა ვარ, როგორ აჯობებს-მეთქი.

— უჰ! — შეწუხდა. — კიდევ ჩავარდა, ხომ არაფერი უტკენია?

— კი, ფეხი და ლავიწის ძვალი...

— ე, კაცო, არ ვუთხარი?!.. — გააგდო ისლის კონა და გამოიქცა, ძლივს ვეწევი. — ვუხსნი, ვეხვეწები: შე კაი კაცო, რომ მითხრი ამ ორმოს...

— იცი, რომ შენ გითხრის?!

— აბა, მეზობელი შენთვის თავს ისე რატომ შეიწუხებს, მაგას რა ცოდნა უნდა, მაგრამ მე ვეუბნები: რომ გათხრი, იჯექი შიგ, ნუღარ ამოხვალ, დამიძახე და ამოგიყვან; ზევიდან რომვარდები, რაიმე უბედურება არ აიტეხო...

— კი მაგრამ, ყოველთვის თვითონ ვარდება?!

— ვინც თხრის ორმოს, შიგ ის ვარდება, აბა მე რატომ უნდა ჩავვარდე?!

— არა, შენ ღმერთმა დაგიფაროს...

— ჰოდა, ამას ვეხვეწები, მაგრამ ეყურება? ამოთხრის, ამოიტანს ბარს და ნიჩაბს, კიბეს და ბაწარს, წააფარებს თავზე ეკალ-ბარდს, ნეშოს და ბალახ-ბულახს, მერე დღე იქნება თუ ღამე, გაივლის და, აბა, რა მოხდება — ჩავარდება შიგ.

— კი მაგრამ, შენც ხომ დადიხარ?..

— მე სხვაზე მეტს დავდივარ, საქმე ჩემიც ბევრი მაქვს და სხვისიც.

— ალბათ უფრო ფრთხილად დადიხარ, ან იცი, სადაა ორმო და ერიდები.

— რა ფრთხილად, ან საიდან ვიცი, მე მეტყვის, აქ გითხრი ორმოს და არ ჩავარდეო?

— აბა, მაშინ...

— ეს ძველისძველი წესია, ვინც სხვისთვის ორმოს თხრის, თვითონ ვარდება.

— ეს იმ ორმოში ჩავარდნილმაც იცის!..

— ეგ ვინ არ იცის.

— და მაინც, ამდენი შრომა, წვალება, დამტვრევა და ვინ იცის, დაღუპვაც... რისთვის?! — ხმაც კი წამერთვა აღშფოთებისაგან.

— როგორ გეკადრებათ! — დამამშვიდა იმ ღვთის-

ნიერმა, — განა ეს რომ იცის, ამიტომ ორმოს თხრას მოეშვება? მაგრამ მე იმის შიში მაქვს, ბოლოს და ბოლოს მოიტეხს კისერს, მოკვდება და მერე ვისი სახლაფორთოა, მეზობელია, ახლობელი, ვინ უნდა ირტყას თავში ხელი, ვინ უნდა მიხედოს მის ქვრივ-ობლებს.

— მე კი ვიფიქრე, თავისივე მოთხრილი მიწა მივაყაროთ, ცოცხლად დავმარხოთ-მეთქი! — გამოვუტყდი ჩემს ცოდვაში.

— აჰ! თფუი, თფუი ეშმაკს! მაგი რამ გაფიქრებინა! ის ჩვენ რას გვიშავებს, თავისთვისაა უბედური, თვარა — თხრის, წვალობს, ჯახირობს და ვარდება... ის კი არა და, მე ისე ვარ მაგ ჩემი მეზობლის მადლობელი, არც კი ვიცი, როგორ გადავუხადო.

— რისი მადლობელი ხარ? ძალიან ღრმა და კისრის მოსატეხ ორმოებს რომ გითხრის?

— აბა!.. გეტყობათ, უცხოელი უნდა იყოთ.

— კი, ცხრა მთას იქედანა ვარ.

— ჰოდა, რომ წაბრძანდებით, შეიძლება ჩემზე ისიც თქვათ, კარგ კაცს შევხვდიო, — თან „კარგი კაცი" რომ ახსენა, სირცხვილით კინაღამ დაიწვა.

— ვიტყვი, აბა, რა ჯანი მაქვს, არ ვთქვა.

— ჰო, აქაც ასე ამბობენ და, მაგისთანა დაუღალავი მეზობელი რომ არ მყავდეს, მე ვინ გამიცნობდა, ან ჩემი კაიკაცობა რა სახსენებელია... რაც მართალია, მართალია, დიდი პატივისმცემელია ჩემი, რამდენ შრომას, დამტვრევას და დალეწვას იტანს. პირდაპირ არ ვიცი, რით გადავუხადო. ცოტა არ იყოს, როყიო ლაპარაკი იცის, ასეთი გუნებისაა და თუ რაიმე უკადრი გაკადრათ, მე მაპატიეთ.

მართლაც, სიყვარულით მიესათუთა და მოწიწებით გულში ჩაკრული ამოიყვანა ის ორმოს გამთხრელი მეზობელი ჯურღმულიდან. ეტყობოდა, დასტატებულიც იყო, ისე გაუკრა არტაშანით მოტეხილი ფეხი, საკუთარი პერანგი დაუნანებლად დახია, შეუხვია მოტეხილი, ნატკენი და განაკაწრიც კი.

ჩემი თვალით რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი.

ვაბამ ამ ბარათს თეთრ, ქათქათა მტრედს და ვუშვებ. აქამდე, ჩემთვის რომ გ...თხათ, გეტყოდით: შენი ორმოს გამთხრელს თუ სამაგიეროო ორმოს არ გაუთხრი და არ ჩააგდებ, თავისივე გათხრილში ეგდოს, ასეც უქნია. სულიც ამოხდენია-მეთქი...

## მესაშური ნადირობის ამბავი

მივდივარ, მივდივარ და ერთ ბორცვზე გაშენებული კოპწია ქალაქი გამოჩნდა. ქალაქს ბორცვის ძირში მდინარე ჩაუდის. მშვენიერი მწვანე ხეივნები შრიალებს ორივე სანაპიროზე.

ქარ-სიცხეში გაოფლიანებულმა და გაზუნზლულმა ვიფიქრე, სანამ ქალაქში შევიდოდე, დავიბან და დავისვენებ-მეთქი. გზის პირას მწიფე ჰვავის ყანა ღაღანებდა. წაქცეული თითო-ოროლა თავთავი წავფშვენი, ორი მუჭა მარცვალი მოვაგროვე მტრედების დასაპურებლად.

გზიდან გადავუხვიე და წყლის ნაპირს გავყევი, მაგრამ გაოცებული ვარ, რა ნაპირია ეს, როცა არსად არც ცეცხლის ნანთები ჩანს, არც ძვლები ყრია, არც ქაღალდები და ცარიელი კონსერვის ქილები. კარგი, დაჩრდილული მდელო მოვძებნე, ნაბადი ხის ძირას მივაგდე, ჯოხიც იქვე მივაყუდე, რკინის ქალამნები გავიხადე და ჩამოვჯექი, ფეხები წყლისპირა ბექობზე ჩავკიდე.

დავჯექი თუ არა, მაშინვე მიწია დაღლილობამ. დაალხულს ტყის სიგრილე და ნიავიც მესალბუნა, იქვე მივწექი და მაშინვე ჩამეძინა.

მგონია, დიდი დრო არ გასულა, ვიღაცეები მაღვიძებენ, თუ სიზმარში ვარ, ვერ გამიგია. რაღაც ხაოიანი მიალერსებს თუ მიღიტინებს სახეზე, კისერზე, მკლავებზე, ზოგჯერ, გაოფლილ ხალათზეც კი. მეცინება, მსიამოვნებს, მეშინია, რა მჭირს, არ ვიცი და ცალ თვალს ვიწროდ ვახელ. საოცარი, გრძელწამწამიანი, ქლიავისხელა და ქლიავის ფერის თვალები ზედ ცხვირპირზე დამყურებს და ნიკაპზე ისევ მიალერსებს რაღაც ნაზი, ხაოიანი... გვერდზე მივიხედე. ისევ ასე სიკეთითა და სიყვარულით სავსე ლურჯი თვალები დამჩერებია და ყურსა და ყვრიმალებზე სუმბულის ფრთასავით რაღაცას მისვამს... მივაბრუნე თავი — ისევ და ისევ დიდრონი მოალერსე თვალები... თან სასოებით მიბერავენ სულს და მიღიტინებენ. ერთი გაცინება რად მიღირს, მაგრამ რა გაცინებს, შე ოხერო, რომ გაგეღვიძება, ვის ხელში აღმოჩნდები, იცი? არადა ახლა ფეხებზე და ტერფებზე მომადგა ვიღაც და, რომ გამისვა და გამომისვა, ავხორხოცდი, თურმე არ მძინებია. და წამოვჯექი.

ვხედავ, რას ვხედავ!

შემომსევია შვლებისა და ჯეირნების ჯოგი და მლოკავენ, ფეხებთან კიდევ, ქორბუდა ირემი მადგას და უკვირს, რას წამოვვარდი ასე შეშინებული: შველი და ირემი რომ გაოფლილ ადამიანს ლოკავდეს, არ უნახავსო?!

არადა, მე მართლა არ მენახა.

ვზივარ, ვუცქერი შემოჯარულ ნადირებს და ვფიქრობ: ამ ქვეყანაში მონადირე, რა თქმა უნდა, არც ყოფილა და არც იქნება, მაგრამ კაცი, ქალი და ძაღლი გაწყდა? ამათ, ბავშვი რომ ბავშვია, ისიც კი დახოცავს, სათამაშო მშვილდ-ისრითა და შურდულით. ნადირი ასე ხბოსავით გლოკავდეს, გაგონილა?!

ალბათ უკაცრიელ ქვეყანაში ვარ-მეთქი, რომ დავიჯერე, თავზე ორი ტიტლიკანა ბიჭი წამომადგა. ნაპირ-ნაპირ მოდიოდნენ, ჯოხზე ახვეული ანკესებით.

ერთს, მორჩილას, მთლად შველივით თვალები ჰქონდა, მეორეს, მომაღლოს და ჯმუხს — ქორბუდა ირემს მიუგავდ...

— რაა, ბიჭებო, ეს რა ხდება ამ ქვეყანაში?!

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, ვერ გაიგეს, რა ვნახე აქ უჩვეულო და გასაოცარი.

— რაა ესენი, თხებია, ცხვრებია თუ ხბოებია!

— არა, ბიძია, შველია! — მითხრა შვლისთვალებიანმა და კისერზე ხელი მოხვია, — ეს კიდევ — ქურციკია... — იმასაც მკლავი მიუწვდინა.

— ეს კიდევ ირემია! — გააგდო ანკესის ჯოხი ირმისთვალებამ და რქებდატოტვილ ვეება ხარს კისერზე ჩამოეკიდა.

— ასე როგორ მოათვინიერეთ და ააგდებინეთ თავი, ადამიანს ძილს და მოსვენებას არ აძლევენ... თუმცა, თქვენ არ გლოკავენ...

— ჩვენ ახლა ვიბანავეთ... ჩვენს ტყეებში გაოფლილი და დაუბანელ-დაუვარცხნელი მართლა ჭირს გავლა, — მომიბოდიშა შვლისთვალება მორჩილა ბიჭმა.

— მაინც ნადირებია, ამათ კი არ იციან, რომ თქვენ აქაური არა ხართ! — საყვედურით მოუცაცუნა ხელი კისერზე ირმისთვალება მოზრდილამ ქორბუდას.

— კი მაგრამ, თოფი და ზარბაზანი... მთელი დედამიწა კბილებამდეა შეიარაღებული და თუ თქვენ ფილთაც ვერ იშოვეთ, მშვილდ-ისარი მაინც რა გაგიჭირდათ... ამათ, ბოლოს და ბოლოს, კეტით დახოცავს კაცი.

— შველი, ქურციკი და ირემი რომ დავხოცოთ, მერე ამ ტყეში ჩვენ ვირბინოთ?! — კინაღამ გადმოუცვივდა ირმისთვალება ბიჭს თვალები.

— ან თევზი გავწყვიტოთ და მერე ჩვენ დავიგუბოთ

პირში წყალი?! — ახლა შვლისთვალებამ აიჩეჩა მხრები.

— აბა, ეს ანკესები რომ გადაგიდიათ მხარზე, ჩიტებზე და მტრედებზე თევზაობთ?

ბიჭებმა ჩემს მტრედებიან გალიას გადახედეს.

— თევზებზე ვთევზაობთ.

— მდინარეში? — გადავხედე წყალს ბექობიდან. რას ხედავს ჩემი თვალები, სავსეა ფერადი თევზებით.

— მდინარეში, რა თქმა უნდა.

— ეს მდინარეა თუ აკვარიუმი?

გაეცინათ, ამოდენა მდინარეა, აკვარიუმს რა უგავსო.

— სადაა თქვენი ნათევზავები? — ორივეს ავხედ-დავხედე. სოველი მოკლე შარვლებისა და ანკესების მეტი არაფერი ებადათ.

— მდინარეში.

— ნათევზავებია მდინარეში?! — ვისაა, რომ ამასხარავებენ ეს ღლაპები-მეთქი, მეწყინა, მაგრამ კიდევ კარგი, მაშინვე მომაგონდა, რომ სტუმარი ვარ. — თქვენ კარგი ბიჭები ხართ, გონიერი, იქნება ამიხსნათ, როგორ ახერხებთ თევზაობასა და ნადირობას ისე, რომ ნანადირევი წყალში დაცურავს, ტყეში დარბის და მერე ტუჩებში და ყურისძირში გკოცნით?

— მაგას რა დიდი გონიერება უნდა, ნოლ ჯგუფში რომ ბავშვია, ისიც კი გეტყვის, — გაეღიმა შვლისთვალებას.

— მაინც, მაინც?

— მაინც და, — ირმის ფეხებთან ჩაცუცქდა ირმისთვალება, ანკესის ჯოხი აიღო, — ეს ნემსკავი ცოტა სხვანაირი ფოლადისაა, უცებ რომ გადასწიო, გადატყდება.

— ფოლადი ჩვენშიაც მასეთია.

— მაგრამ ნელ-ნელა თუ გადასწევ, გაიმართება.

— ჰოო, ეს მართლა სხვა ჯურისა ყოფილა.

— მერე ხელს რომ გაუშვებ, ისევ ნელ-ნელა მოიღუნება.

— ეგეც გასაგებია. მერე, მერე...

— მერე და, წამოეგო თევზი, ამოვსწიე — მოყვება, ამოშორდა წყალს, სხმარტალებს ჰაერში, მომყავს და ვხედავ როგორია, რამოდენაა, რა ჯიშისაა. ამასობაში ნემსკავი გასწორდება, თან ენა არა აქვს, გასწორდა საკერავი ნემსივით და თევზი, ჰოპ, ჩახტა წყალში, მაგრამ დაჭერით ხომ დავიჭირე.

— კი, დაჭერით კი დაიჭირე, — გავტყდი მე, — მაგრამ ასე, ამნაირი დაჭერა...

— აბა, მაინცა და მაინც ტაფაზე უნდა დამედო, შემეწვა, შემეჭამა და მაშინ იქნებოდა დაჭერილი?! მთავარი ჭამაა თუ თევზაობა?

— მაგრამ ნადირობა? ამ შვლებს და ქურციკებს ანკესს აყლაპებთ, იჭერთ, მერე იმართება ანკესი და ტყეში გარბიან?

— რატომ ანკესი? სანადირო თოფი რისთვის არის მოგონილი?

— თოფი რისთვისაცაა მოგონილი, მაგას შენ მე ვერ მასწავლი! — გადამვარდა გულზე, რომ სტუმარი ვიყავი, — მაგრამ სანადირო თოფით ტყვიის მაგიერ თივას ესვრით თუ ბზეს?

— რატომ თივას და ბზეს, გვაქვს ისეთი „ტყვიები“, ესვრი, მოარტყამ, გასისხლიანებული ნადირი დგას და გელოდება. აი, ეს შვლები და ირემი „დახოცილია“, ქურციკზე აკრძალულია ნადირობა.

— რაა, ბიჭო, დახოცილი! არ გადამრიო მე შენ და ყურები არ ამაფხრეწინო!

— შეხედე, ბიძია, შეხედე! — შემეხვეწა შვლისთვალება მორჩილა ბიჭი. — წითელ ლაქას ხომ ხედავ?

— კი, ვხედავ, მაგრამ ხალები მგონია.

— არა, „ნატყვიარია“, — გაიღიმა ბიჭმა.

— სინამდვილეში რა ხდება, ბოლოს და ბოლოს გამაგებინეთ!

— სინამდვილეში „ტყვია“ საღებავია, მოხვდება და, თხლაპ, გასკდება, და იცი, სად მოარტყი. შველი ან ირემი კი დგას და გიცდის, რომ ყველამ ნახოს, რა მარჯვე მონადირე ხარ, მერე მიდის ეგ შენი „გულგანგმირული“ ნადირი და ცვრიან ბალახსა ძოვს.

— აგაშენათ ღმერთმა! — დავლოცე ბიჭები, მაგრამ რა ჩემი დალოცვა უნდოდათ, წყალი თევზებითა ჰქონდათ სავსე, ტყე — ნადირით, ცა — ფრინველით. აშენებულებიც იყვნენ და დამშვენებულებიც.

ვაბამ ამ ბარათს მტრედს და ვუგზავნი ჩვენი მდინარეების, ტყეების და ცის პატრონებს... ხომ არაა დრო, რაღაც ამნაირზე... მთლად ასე კი არა, ამდაგვარზე რომ გვეფიქრა-მეთქი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ეროვნული ბიბლიოთეკა





# პატარა ვარსკვლავები

გიგლა აბდალაძე

ის დღეც ჩვეულებრივად დაიწყო თბილისის მეთოთხმეტე საშუალო სკოლის ცხოვრებაში.

მეექვსეკლასელმა ემა მაისურაძემ პირველმა შეაღო სკოლის კარი, საკლასო ოთახში აირბინა და ფანჯრები გამოაღო.

ოთახში დილის მაცოცხლებელი ნიავი შეიჭრა და ყველა კუთხე-კუნჭული მოირბინა.

ემა მერხს მიუჯდა, ჩანთა გახსნა, წიგნი გაშალა.

საკლასო ოთახში ჯერ კანტიკუნტად, მერე კი წყვილ-წყვილად შემოდიოდნენ მოსწავლეები.

ემა მათ ვერც ამჩნევდა, წიგნს ჩაჰკირკიტებდა.

ოთახი კი ხმაურით ივსებოდა. ბიჭები ძიძგილაობდნენ, გოგონები მერხებს შორის დახტოდნენ.

ოთახში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა და მასწავლებლის მაგიდასთან დადგა.

ბავშვებმა მისი შემოსვლა ვერ შენიშნეს, ონავრობას განაგრძობდნენ.

— სიწყნარე, ბავშვებო! — წარმოთქვა დინჯად, მაგრამ მკაცრი ტონით შემოსულმა.

მერხთან მსხდომი ბავშვები უმალ ფეხზე წამოდგნენ. დანარჩენებმა მერხებს მიაშურეს.

ემაც ფეხზე წამოდგა და ახალშემოსულს ახედა.

მასწავლებლის მაგიდასთან პიონერხელმძღვანელი ციცინო დემეტრაშვილი იდგა.

ციცინომ რგოლის ხელმძღვანელები მოიკითხა, კარგა ხანს ესაუბრა, ბოლოს, თითქოსდა სხვათა შორის, მზერა ემაზე შეაჩერა და ალერსიანი ხმით უთხრა: გაკვეთილების შემდეგ შენ და გულნაზ ბარნოვმა ჩემთან შემოიარეთო.

— ნეტავ რაზე გვეძახის? იქნებ გულნაზმა იცის? — ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა ემას

გულნაზი კი იგვიანებდა. ამასობაში ზარის წკრიალმა ბავშვებს გაკვეთილების დაწყება ამცნო. ფეხად შემოასწრო გულნაზმა მასწავლებელს.

პირველი გაკვეთილი დამთავრდა თუ არა, ემა მაშინვე გულნაზთან მიიჭრა.

— იცი, გულნაზ, გაკვეთილების შემდეგ პიონერხელმძღვანელთან ვართ დაბარებული.

— ვიცი, ემა! — თქვა გულნაზმა, — ციცინო ხელმძღვანელი დერეფანში შემხვდა.

— რა გითხრა, რისთვის გიბარებთო?

— ეგ არ უთქვამს. რაღაც დავალებებს მოგვცემს ალბათ.

— დავალებები? მერე და რამდენი დავალება უნდა მქონდეს? ჯგუფში კი რამდენი პიონერია, არაფერს რომ არ აკეთებს?

გაკვეთილები დამთავრდა. ემამ და გულნაზმა პიონერთა ოთახს მიაკითხეს. ოთახში ცეროდენები ჩამწკრივებულიყვნენ, ათამდე იქნებოდნენ. ციცინო ხელმძღვანელი რაღაც ამბავს უყვებოდა. ბავშვები სულგანაბული უსმენდნენ.

— შემოდით, ნუ გერიდებათ, — გასძახა ახალმოსულთ ციცინო ხელმძღვანელმა და სკამებზე მიუთითა. დასხედითო.

ციცინომ ცეროდენებს წამით თავი ანება და ემას და გულნაზს მიმართა:

— ვარსკვლავთა ჯგუფების ხელმძღვანელებად შეგარჩიეთ. ამათთან იმუშავებთ. მეორეკლასელები არიან. თითო ვარსკვლავში ექვს-ექვსი ბავშვი იქნება.

— მე კარგად მახსოვს. — განაგრძო ცოტა ხნის შემდეგ ხელმძღვანელმა, — თქვენ რომ ოქტომბრელები იყავით, მოწინავე ოქტომბრელები. ჰოდა, გაიხსენეთ. მაშინ რას აკეთებდით, როგორ ემზადებოდით პიონერთა ორგანიზაციაში შესასვლელად. მოიფიქრეთ, როგორ იმუშავებთ, რა წინადადებებს შემოგვთავაზებთ და შემდეგ პროგრამა ,,ორიენტირი'' შევადგინოთ.

ბავშვები პიონერთა ოთახიდან გამოვიდნენ. ერთად გაუყვნენ გზას შინისაკენ. ერთხანს უხმოდ მიდიოდნენ.

— ჰმ. მოიფიქრეთო. ასე ადვილია? — ჩაილაპარაკა ბოლოს გულნაზმა.

— არც ისე ძნელია, — თქვა ემამ. — გახსოვს ვარსკვლაველები რომ ვიყავით, ფიცი შეგვასწავლეს. პიონერთა ორგანიზაციის შექმნასა და მის მიერ განვლილ გზაზე გვესაუბრებოდნენ, დიდი ბელადის ბიოგრაფიიდან საინტერესო ამბებს გვიყვებოდნენ. ჰოდა, ჩვენც ასე მოვიქცეთ.

— შენ რაც თქვი, მესამე კლასში რომ ვიყავით, მაშინ გვასწავლეს და აპრილში პიონერთა რიგებში მიგვიღეს. ესენი კი მეორეკლასელები არიან.

— აბა, რა უნდა ვქნათ?

— პირველ ყოვლისა, ყველა მათგანს, რაღაც საქმე უნდა გამოვუნახოთ. გარდა ამისა, წასაკითხად ლექსები და მოთხრობები შევურჩიოთ. ზოგიც ჩვენ წავუკითხოთ...

ასეთი საუბრით დაშორდნენ იმ საღამოს მეგობრები ერთმანეთს.

იქიდან მოყოლებული დღენიადაგ თავიანთ ვარსკვლაველებთან ტრიალებდნენ ემა და გულნაზი. უნდოდათ გაეგოთ, ვის რა საქმე იზიდავდა, ვის რისი გაკეთება შეეძლო. მერე კი დავალებებიც გაანაწილეს: მამუკა ვადაჭკორია და მარინე მუხიგულაშვილი ,,ნორჩი ბიბლიოთეკარები'' გახდნენ, ლია და ია ტკაჩენკოები — ,,ნორჩი მეყვავილეები'', ნათია გორდეზიანი და ნინო ჯანჯალაშვილი — სანიტრები...

ხშირად, ძალიან ხშირად აკითხავდნენ ამ დღის შემდეგ მამუკა და მარინე სასკოლო ბიბლიოთეკას და პიონერთა ოთახს. ერთ კვირაში წაიკითხეს ,,ლენინი და მეღუმელე'', ,,კარგი ამხანაგი'', ,,გულწითელა''... მერე წაკითხული წიგნების შესახებ ამხანაგებსაც ესაუბრნენ, ისინიც დააინტერესეს და მალე ვარსკვლავის ყველა წევრი ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი გახდა. ამასაც არ დასჯერდნენ ემა და გულნაზი. კვირაში ერთი დღე გამოყვეს წაკითხულზე მსჯელობისათვის.

ნათია და ნინო მუდამდღე სანიტრის ჩანთით მხარდამშვენებულნი დადიან. მუდამ აქვთ მზად ბამბა და იოდი. ლიამ და იამ კი ზეპირად იციან, თუ რა სახის ყვავილებია ოთახში, იციან მათი ასაკი, მოვლის წესები. იციან და იცავენ კიდეც ამ წესებს, ყვავილებით ავსებენ ოთახს.

ლია ტკაჩენკოს სხვა საზრუნავიც გასჩენია. მისი ტყუპის ცალს იას რუსული ენის შესწავლა უჭირს. ლია კი მოწინავე მოსწავლეა და დაიკოს ეხმარება.

ემასა და გულნაზის ვარსკვლავებში ტყუპები კიდევ არიან — ეკა და მაკა ხუნდაძეები.

ლიას და იას ერთმანეთისაგან ადვილად გაარჩევთ, ეკას და მაკას კი, ბევრიც რომ ეცადოთ, ნურას უკაცრავად.

ისინი მართლაც გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს და ამ სიკეთით კიდეც ,,სარგებლობდნენ'' ჩუმ-ჩუმად.

ეკა კარგად სწავლობდა, მაკა კი თურმე ზარმაცობდა. თუმცა ამის შესახებ ხშირად მარტო დებმა თუ იცოდნენ. მაკას მაგივრად ეკა პასუხობდა, ნიშანს კი მაკა ღებულობდა.

ეს ამბავი პირველად გულნაზმა გაიგო. მან ეკა და მაკა პიონერთა ოთახში დაიბარა და მკაცრად მიმართა:





* პირველი სამკერდე ნიშანი მათ ცხოვრებაში.

* ცეკვის სამყაროში

ერთი-ორი წელი და ყველა ეს ოქტომბრელი წითელი ყელსახვევით ესტუმრება პიონერთა ოთახს.



— თქვენზე ამბობენ, ზოგჯერ ერთმანეთის მაგივრად პასუხობენ გაკვეთილსო, მართალია?

ეკას და მაკას სახეზე ალმური წაუკიდათ.

— დები ხართ და ერთმანეთს უნდა დაეხმაროთ, — ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო გულნაზმა, — მაგრამ ასეთი დახმარება ვის გაუგია?..

დინჯად, გასაგებად განუმარტა გულნაზმა დებს, რომ ტყუილს მოკლე ფეხი აქვს და იგი ყოველგვარი ბოროტების სათავეა. მერე ისიც აუხსნა, თუ როგორ უნდა დახმარებოდნენ ერთმანეთს...

კიდევ ბევრი რამ გააკეთეს ემას და გულნაზის ვარსკვლავებმა — აქტიურად ჩაებნენ ოპერაციაში „იცოცხლე, წიგნო". შეისწავლეს წიგნების სანიშნეებისა და გადასაკრავების დამზადება, შეაგროვეს მაკულატურა...

მთელი კვირა გრძელდებოდა უჩვეულო ფუსფუსი შარშან გაზაფხულზე მე-14 საშუალო სკოლაში. საზეიმოდ რთავდნენ ბავშვები პიონერთა ოთახს, ანახლებდნენ პიონერულ ხაზს, საგანგებოდ ასუფთავებდნენ სკოლის დერეფნებს, ოთახებს, ეზოს.

პიონერული რაზმეული შეხვედრას უწყობდა შრომის გმირებს შ. ფირცხალავას, ზ. სალარიძეს და კ. ილურიძეს.

— ჩვენ რაღა გავაკეთოთ, ბავშვებო, რით შევეგებოთ გმირ ძიებს? — შეეკითხა ემა ვარსკვლაველებს.

— მე და ეკა ფერადი ქაღალდების გამოჭრაში მივეხმარებით პიონერებს, — თქვა ლიამ.

— გია ჩერქეზიშვილი და ლალი ჭინჭარაული ლექსებს წაიკითხავენ.

ყველა თავისას გაიძახოდა, ყველას უნდოდა შეხვედრისათვის მზადებაში თავი გამოეჩინა.

მხოლოდ გოჩა და გელა იდგნენ განზე და ხმას არ იღებდნენ.

— თქვენ რას გაჩუმებულხართ, ვაჟკაცებო, თქვით რამე. — მიმართა მათ გულნაზმა.

— მე და გელამ გადავწყვიტეთ კიკვიძის პარკში ხავსი, ფოთლები, ტოტები და გირჩები შევაგროვოთ.

— კარგია, მაგრამ რატომ თქვენ? მოდი, ყველა წავიდეთ, უფრო ბევრს შევაგროვებთ, მერე კი სკოლის ეზოსაც მოვრთავთ და ლამაზ ნაკეთობებსაც დავამზადებთ — სტუმრებს მივართმევთ...

შეხვედრამ მიმზიდველად ჩაიარა. დიდხანს ტკბებოდნენ სტუმრები ბავშვთა შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფით — მშვენიერი დეკლამაციითა და ცეკვა-სიმღერით, ხავსითა და ხმელი ფოთლებით, გირჩებითა და ხმელი ტოტებით ლამაზად გაფორმებული სკოლის ეზოთი და დერეფნებით.

კიდევ უფრო გაშალა ფრთები ჩვენი ვარსკვლავების წევრთა ფანტაზიამ კლასის ხელმძღვანელისა და პიონერული ორგანიზაციის მიერ მოწყობილ ამასწინანდელ კონკურსში.

ოქტომბრელები თოჯინების თეატრში იყვნენ და სპექტაკლი „გვრიტი" ნახეს. სპექტაკლმა ბავშვებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ყოველ შესვენებაზე სცენებს იხსენებდნენ და ცხარედ კამათობდნენ.

კლასის ხელმძღვანელმა ციცინო დემეტრაშვილს უთხრა:

— მოდი, მოვაწყოთ კონკურსი, ვინ უკეთ გადმოგვცემს სპექტაკლის შინაარსს: ვისაც ეხერხება, დახატოს კიდეც ცალკეული სცენები. მერე გამარჯვებულის ნამუშევრები პიონერთა ოთახში გამოვფინოთ.

ციცინოს ეს განზრახვა მოეწონა.

ემასა და გულნაზის ვარსკვლავების ყველა წევრმა მიიღო მონაწილეობა ამ კონკურსში. თითქმის ყველა წევრის ნამუშევარი ამშვენებს ახლა პიონერთა ოთახს.

გადიოდა დრო. ჩვენი ვარსკვლავების წევრები უკვე მესამეკლასელები გახდნენ და ემას და გულნაზს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ — პიონერთა ორგანიზაციაში მათს შესასვლელად აქტიურ მზადებას შეუდგნენ.

ციცინო ხელმძღვანელის მითითებით პატარები ჯერ რაზმისა და რაზმეულის შეკრებას რამდენჯერმე დაასწრეს, მერე კი პიონერთა კანონები და ფიცის ტექსტიც გააცნეს.

ყველაზე მეტად პიონერული ორგანიზაციის მიერ განვლილმა გზამ დააინტერესათ. მიმზიდველად მოუთხრობდნენ მათ ემა და გულნაზი: როდის და რატომ ეწოდა პიონერულ ორგანიზაციას დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის სახელი და ა. შ.

ცოტაც და ლამაზად მორთულ-მოკაზმული გოგონები და ბიჭები სახეგაბრწყინებულნი დადგებიან პიონერულ ხაზზე, რათა ერთგულება შეჰფიცონ დიად სამშობლოს.

ფოტო
ვ. გორისეანოსი

# დიდი მეცნიერის მოსაგონარი



ილია ვეკუა და ნიკოლოზ მუსხელიშვილი

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი ილია ვეკუა მრავალ სხვა თანამდებობასთან ერთად ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა რესპუბლიკური საბჭოს საპატიო თავმჯდომარეც გახლდათ. 1977 წლის 5 მაისს დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში ჩატარებულ საიუბილეო სალამოს მონაწილეებს მან ღია წერილით მიმართა. ეს წერილი დაიბეჭდა ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის" გასული წლის თებერვლის ნომერში.

ილია ვეკუას მიმართვა ახალგაზრდა მეცნიერებისადმი მრავალ ჭკუისსასწავლებელ, ბრძნულ დარიგებას შეიცავს, რომელიც ყოველ ადამიანს, მათ შორის, ცხადია, თქვენც, მოსწავლეებსაც დიდად გამოგადგებათ ცხოვრებაში, ამიტომ რედაქციამ გადაწყვიტა გამოჩენილი მეცნიერის ახლობელ პირთა მოგონებებთან ერთად, მისი ეს ნაკლებად ცნობილი წერილიც მოეწოდებინა თქვენთვის.

## წარმატების საწინდარია: „ნიჭი, შრომის უნარი და შერჩეული დარგის სიყვარული".

ძვირფასო ამხანაგებო!

ულრმეს მადლობას მოგახსენებ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს ჩემი დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სალამოს მოწყობისათვის. მინდა გულწრფელი მადლობით მივმართო ამ სალამოს ყველა მონაწილეს. ვუსურვებ ყოველ თქვენგანს სიკეთესა და ბედნიერებას.

ცხოვრების ის მანძილი, რომელიც მე გავიარე, საკმაოდ დიდია. ეს საშუალებას მაძლევს ახალგაზრდობას გავუზიარო დაკვირვების საფუძველზე გამოტანილი ზოგიერთი მოსაზრება.

ცხადია, მე მხედველობაში მექნება მეცნიერებას დაწაფებული ახალგაზრდობა.

ჩვეულებრივ გვეკითხებიან, რა არის საჭირო მეცნიერული მუშაობის წარმატებულობის უზრუნველსაყოფად. ერთი შეხედვით პასუხი სავსებით ნათელია: ესაა სათანადო ბუნებრივი მონაცემები, მოწოდება და მუშაობის უნარი. თუ ადამიანს თანდაყოლილი ნიჭი აქვს და შრომისმოყვარეა, ის ყოველთვის მიაღწევს წარმატებას იმ ხელსაყრელი პირობების გამოყენებით, რაც ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი. მაგრამ ნიჭიერება და ღრმა აზროვნების უნარი ადამიანს სახეზე არ აწერია, არც მათი გამოვლინებაა ადვილი, რადგან ის ძალიან ღრმადაა ჩამარხული ადამიანში. დიდი დრო და დაკვირვება სჭირდება მის გამოაშკარავებას. ჩვენ ხშირად ვუშვებთ შეცდომას, როცა ახალგაზრდის ნიჭიერების შეფასებისას ვემყარებით მის ისეთ თვისებებს, რაც აშკარად ჩანს და იოლად ვლინდება. ზოგი ახალგაზრდა, როგორც სწავლაში, ისე ცხოვრებაში ბრწყინვალე მაჩვენებლებს ავლენს, რაც ჩვენ გვხიბლავს, და მისთვის ყველა კარი იოლად იხსნება. მაგრამ დროთა განმავლობაში, სამწუხაროდ, ხშირად ის, რაც ბრჭყვიალებდა, ოქრო არ გამოდგება ხოლმე, ამიტომ ნიჭიერი და უნარიანი ახალგაზრდობის დაწინაურებისას დიდი სიფრთხილე და დაკვირვება გვმართებს. მთავარია სამი რამ: ნიჭი, მუშაობის უნარი და შერჩეული დარგისადმი სიყვარული. ჩვენი სასიქადულო მეცნიერი, აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი თვლიდა, რომ ამ სამი ნიშნიდან მესამე — საგნისადმი სიყვარული — გადამწყვეტია მეცნიერებაში წარმატების მისაღწევად. მეც, რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ეს ნამდვილად ასეა.

ადამიანს ცხოვრების გზაზე თითქმის ყოველდღიურად მრავალი ცდუნება ელოდება. კერძოდ, ესაა სურვილი, ერთი შეხედვით სავსებით ბუნებრივი, ცხოვრების პირობების კეთილმოწყობისა — ჰქონდეს ხეირიანი ბინა, კარგი ხელფასი, მანქანა, თანამდებობა და მრავალი სხვა. მეცნიერებაში წარმატებას მიაღწევს მხოლოდ ის, ვისაც უსაზღვროდ უყვარს თავისი დარგი, ვინც ყველაფერზე მაღლა დააყენებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და შემოქმედების სფეროში წარმატების მოპოვებას დაუქვემდებარებს ყველა სხვა ინტერესს. ვინც კი ასე მოიქცევა და წარმატებებსაც მიაღწევს, მისთვის ცხოვრების სხვა მხარეები თანდათანობით მოგვარდება და გაცილებით უკეთესადაც, ვიდრე, შესაძლებელია, მას ახალგაზრდობის დროს ესახებოდა. ამისათვის საჭიროა დრო და მოთმინების დიდი უნარის გამომუშავება, კერძოდ, ადამიანის სულის მღრღნელი შურიანობის დაძლევა.

მე ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ ასეთი, არსებითად ტრივიალური აზრის გამოთქმას ამდენი ხანი მოვანდომე, რაც, ალბათ, მოსასმენად ძალიან მოსაწყენი იყო, მაგრამ ამაზე გავამახვილე ყურადღება იმის გამო, რომ მაშინ, როცა ამ წერილის წერა დავიწყე, თვალწინ წარმომიდგა, ზოგი ბრწყინვალე ნიჭის მქონე პიროვნების ბედი, რომელთაც მეცნიერებას ხელი მოჰკიდეს და წარმატებითაც შეეძლოთ გაეგრძელებინათ მუშაობა, მაგრამ პარალელურად დიდ დროსა და ენერგიას უთმობდნენ ცხოვრების კეთილმოწყობას, როგორც იტყვიან, არაფერს არ იკლებდნენ, ხოლო მეცნიერებისათვის ზრუნვა კი მეორეხარისხოვან საქმედ აქციეს. ცხადია, მათ მეცნიერებაში სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს და ვშიშობ, რომ ამის ნამდვილი მიზეზი მათთვის, შესაძლებელია, ბოლომდეც არ იყო ნათელი. არაა გამორიცხული, რომ ზოგი მათგანი წარუმატებლობას, გარეშე, ე. წ. ობიექტური მიზეზით ხსნიდა.

მეცნიერული შემოქმედების პროცესი ჭეშმარიტი მეცნიერისათვის დრამატული განცდებითაა აღსავსე. შეიძლება მეცნიერის ბევრი წამოწყება უშედეგო გამოდგეს. ამას, ცხადია, მწვავედ განიცდის მეცნიერი. მაგრამ ამან მუდმივ საგონებელში არ უნდა ჩააგდოს იგი. ნამდვილ მეცნიერს ყოველთვის აქვს პრობლემისადმი მიდგომის სათადარიგო გზები ან ახალ, მონათესავე პრობლემებზე გადასვლის საშუალება. მეცნიერული შემოქმედებისათვის ოპტიმიზმი წარმატების აუცილებელი (მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის არასაკმარისი) იარაღია, ამიტომ მეცნიერი ყოველთვის ოპტიმისტი უნდა იყოს, არც ერთ ვითარებაში მან წარმატების რწმენა არ უნდა დაკარგოს.

მინდა ვუსურვო ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდა თაობას, ვისაც მეცნიერული შემოქმედებისათვის სათანადო მონაცემები აქვს, დღენიადაგ თავის საყვარელ საგანზე იფიქროს და დაუღალავად იმუშაოს. იქონიოს დიდი მონდომება და შრომისუნარიანობა. მხოლოდ ამ პირობებშია წარმატება მოსალოდნელი; ამის გარეშე კი მარცხი გარდუვალია.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა.

საუკეთესო სურვილებით

თქვენი ილია ვეკუა

## კაცური კაცი

თანამედროვეობის გამოჩენილ მეცნიერზე, შესანიშნავ ადამიანსა და მამულიშვილზე ბატონ ილია ვეკუაზე ორიოდე სიტყვით ძნელია რაიმე მნიშვნელოვანისა და არსებითის თქმა. ისეთი დიდი პიროვნებები, როგორიც გახლდათ ბატონი ილია, გამორჩეულ ნიჭიერებასთან ერთად იშვიათი ადამიანური თვისებებითაც გამორჩეული არიან, და მათი მეტნაკლებად სრულყოფილი პორტრეტი რომ დახატო, ამისათვის მეცნიერების ამ სფეროში განსწავლულობასთან ერთად მოვლენებისადმი მწერლური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულებების და მხატვრული ასახვის უნარიც უნდა გქონდეს ბუნებისაგან მომადლებული.

მაინც საიდან იღებდა სათავეს დიდი მეცნიერის პიროვნებაში ეს ადამიანური, მიწიერი თვისებები? მგონია, არ შევცდებით, თუ კი ყოველივე ამის საფუძველთა საფუძვლად იმ ოჯახურ გარემოს ჩავთვლით, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა მომავალი მეცნიერის პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

იგი მუდამ დიდ პატივს მიაგებდა, ყოველთვის სიყვარულით და მოწიწებით იხსენიებდა თავის მასწავლებლებს, განსაკუთრებით კი საქართველოში მათემატიკური აზროვნების მამთავრის ნიკოლოზ მუსხელიშვილის დამსახურებას სამამულო მეცნიერების წინაშე. ეს დამოკიდებულება მოსწავლისა მასწავლებლის მიმართ სანიმუშოდ გამოადგებათ მომავალ თაობებს. ბატონმა ილიამ სწორედ შესანიშნავი წინამორბედისა და მასწავლებლის მეცნიერული მიმართულების შემდგომი გაღრმავება და განვითარება დაისახა მიზნად. მის ნაშრომებში მათემატიკური ფიზიკის ამოცანების ამოსახსნელად ფართოდ იქნა გამოყენებული კომპლექსური ანალიზის მეთოდები, სწორედ ამ სფეროში მიაღწია მან მსოფლიო აღიარებას.

ბატონი ილიას, როგორც მეცნიერისა და ჩინებული ადამიანის ნებისყოფის სიმტკიცეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ უკვე ლოგინს მიჯაჭვული ავადმყოფი მაინც არ კარგავდა სულიერ მხნეობას, და როგორც მამაცი მეომარი ბრძოლის ველზე, „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა". ამდროინდელ ნაშრომებში ილია ვეკუა მოგვევლინა ისეთ ადამიანად, რომელსაც ბოლომდე აქვს შეგნებული თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა, მაღალი მოქალაქეობრივი დამოკიდებულება სამამულო მეცნიერების, ხალხისა და სამშობლოს, თავისი ქვეყნისადმი. ავადმყოფობის პერიოდში შექმნილი მეცნიერული წიგნები, რომელთა გამოცემაზეც ამჟამად მუშაობს ჩვენი ინსტიტუტი, ფასდაუდებელ მარგალიტებად შეემატება ჩვენი სამამულო მეცნიერების საგანძურს...

გიორგი მანჯავიძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის კომპლექსური ანალიზის განყოფილების გამგე, პროფესორი.

## ახალგაზრდობის მეგობარი

ბატონ ილია ვეკუას დიდ პროფესიულ ტალანტთან ერთად მომადლებული ჰქონდა სამაგალითო ორგანიზატორისა და გულისხმიერი მასწავლებლის თვისებებიც. სწორედ ამიტომ იყო, რომ, როგორც ჩახჩახა სინათლისაკენ, ისე ისწრაფოდნენ მისკენ მათემატიკის ურთულესი მეცნიერებით დაინტერესებული ახალგაზრდები.

რაიონიდან ჩამოსულ ახალგაზრდობას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მეცნიერებს მრავალი სხვადასხვა სახის პრობლემა ხვდებათ გადასაწყვეტი. ბატონი ილია დაინტერესებული იყო ჩვენი საყოფაცხოვრებო პირობებით, მატერიალური მდგომარეობით. მას ხშირად ნახავდით ქალაქის საბჭოს აღმასკომში და უფრო მაღალ ინსტანციებშიც, სადაც ჩვენი საქმეების მოგვარებისათვის „ოქროს წუთებს" არ იშურებდა. მისი კაბინეტიდან უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა ახალგაზრდა მეცნიერთათვის შედგენილი სხვადასხვა შინაარსისა და ხასიათის შუამდგომლობები და დახასიათებები... ასე ესმოდა ბატონ ილიას სამამულო მეცნიერებისათვის ახალგაზრდა კადრების აღზრდა.

ავადმყოფობის წლებში თითქმის ყოველდღიურად მიხდებოდა მასთან შინ მისვლა. იგი გამალებული მუშაობდა და რაოდენ სასიამოვნო იყო, როცა რაიმე მათემატიკური გამოთვლისათვის თუ ამოცანების ამოსახსნელად თავისთან დამიბარებდა ხოლმე და ჩემს აზრს მკითხავდა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

ბატონი ილია ნებისმიერ მოვლენაში ღრმად ერკვეოდა. ამიტომაც მასთან შემთხვევითი საუბარიც კი ბევრის მომცემი იყო. რაიმე კონკრეტულ საკითხზე მისი აზრის მოსმენა ამ თემაზე დაწერილ ათობით წიგნის წაკითხვას უდრიდა, იმდენად შთამბეჭდავი, გასაგები და ყოვლისმომცველი მსჯელობა ახასიათებდა.

ნერონ ქალდანი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

## ელენე ღონღიამიშვილი

მშობლიური სკოლა მუდამ საყვარელი და მახლობელია ყველასათვის, მისი მადლი ნათელ ზოლივით გასდევს მთელს ჩვენს ცხოვრებას.

ხშირად, ძალიან ხშირად ვიგონებ ბავშვობას, ჩემს თანაკლასელებს, ჩვენს ხალისიან ცხოვრებას... ამ მოგონებებს მივუძღვენი აქ წარმოდგენილი ლექსები.

### კინოკადრები ჩვენი

გახსოვთ იმ გულთა ძგერა,
იმ ბულბულების სტვენა...
იმ გაზაფხულის ფერი
კინოკადრები ჩვენი...
ჩვენი სიმღერა ერთხმად
აქრობდა ყველა ჩრდილებს...
ჩვენ მივყვებოდით ერთად
„კაპიტან გრანტის შვილებს"...
იმ დაუვიწყარ ხმაში
ქდერდა მიწაც და მზეცა.
ასეთი იყო მაშინ
ჩვენი მაღალი ზეცა,
იმ ფაქიზ გულთა ძგერა...
იმ ბულბულების სტვენა...



### „მაესტრო-გოგონას"

სალამი, სალამი იმ სიზმარს,
ახდენილს!
ო, ჩემებრ ღელავენ თეატრის ბჭენი...
„პირველი საშუალო სკოლის" სახელით
ჰქუხს სიმებიანი ორკესტრი ჩემი...
ჰქუხს ვალსი „ტალღებზე", და ასე
მგონია, —
დარბაზი ზღვა არის და სცენა—გემი...
ჩვენ ნელა მივცურავთ... გზა ისე
შორია, —
გაფრენა გველის...
ანაზდად მაფხიზლებს მქუხარე ტაში,
ვუმზერ მასწავლებელს შემკრთალი,
რიდით...
(მე ვარ სიფრიფანა, სრულიად ბავშვი,
„მაესტრო-გოგონას" მეძახის იგი!..).
კიდევ რაიმეო, — მანიშნებს ხელით,
და „ჭრელო პეპელას" ვუკრავთ და
ვმღერით.

## მზია ჩხეტიანი

### ერთი ცისფერი ბილიკი

ნაქსოვი ცვრით თუ დილის მზით,
ვერცხლის თუ ოქროს ბადით,
ერთი ცისფერი ბილიკი
ყველა ეზოდან გადის.
ზედ ფერიები ანცობენ,
ზედ ფერხული აქვთ ჭინკებს,
ნიავი იის სანთლებით
დაჰქრის და სურნელს გიკმევს.
გახსოვს? —
ღამით თუ ცისკრისას
როგორ უხმიათ შენთვის!
ო, ეს ბილიკი კისკისა
რა ჰორიზონტებს ერთვის!
რა ფერად ზღაპრებს გაგიშლის,
რამდენ ნატვრისთვალს გჩუქნის,
გხვევს ლაჟვარდების არილში,
ვარდ-ყვავილების შუქში.
თუ ვარსკვლავს აგიწკრიალებს,
თუ წყაროებს და ჩიტებს,
ბილიკი ფრთამაღლიანი,
რა ნაირფერებს იტევს?
არწივის ფრთებსაც შეგასხამს,
ჭრელ პეპელადაც გაქცევს,
გარწმუნებს,
რომ მზეც შენა ხარ
და სხვებს დაჰხარი თავზე!
რომ სიყვარული გიზგიზა,
დღემდე რომ გულად ხმობდი,
მხოლოდ და მხოლოდ მისთვის გაქვს,
უძღვნა ძმობილს თუ დობილს.
ნაქსოვი ცვრით თუ დილის მზით,
ვერცხლის თუ ოქროს ბადით,
ოცნების ლურჯი ბილიკი
ყველა ეზოდან გადის!

### ვარსკვლავი

თავს ვარსკვლავი დამციმციმებს,
გამიცინებს,
თვალს ჩამიკრავს,
იქნებ იქაც ჩემი კბილა
გოგონა დგას ვარსკვლავისა.
ჩემზე ფიქრობს იქნებ ახლა,
იქნებ უნდა ჩემი ნახვა
და ჩემსავით ისიც იქნებ
მზეს ხატავს და
უზის წიგნებს!
უყვარს დედა, მამა,
იქნებ
რძესაც კი სვამს მათი ხათრით,
მასაც ესმის ალბათ თავის
პლანეტის და ქვეყნის ყადრი.
დამანახა ახლოს, ნეტა,
ის გოგო და ის პლანეტა!



## ქეთევან მიქაძე

### ძეგლი

აუგიხარ გამრჯე ხელებს,
აქ გუშაგად დაგაყენეს.
ამაღლებულს გოროზ მთებში
საქართველოს გხიბლავს ემხი.
მცველი ჩვენთა ძველთა ღვაწლის,
საუკუნეს რამდენს გასწვდი!
ფრთადაკეცილს ჰგავხარ არწივს,
გათოვს, გაწვიმს!
გათოვს, გაწვიმს!



ხან ცისფერი ნისლი გფარავს,
ხან — ღრუბლების თეთრი ფარა.
ჰე, ვინ მოთვლის, თუ რამდენი
გულით გმირი შეგიფარავს.
მამულისთვის მუდამ ქქუხდი,
ვაჟკაცური შემართებით
მტერს ხვდებოდი,
მტერს ებრძოდი,
ღამეს თეთრად შენ ათევდი.
ცეცხლს გინთებდნენ,
ვერკი დაგწვეს,
ჟამთა სრბოლას გადაურჩი,
არ გილოკავს ალი ღაწვებს.
მაშ, გვითხარი, რად დამუნჯდი?
ძველებურად ასწი მხარი, —
შენ არ გეთქმის ნაციხარი.
თავს დაგხარის მზე ნათელი,
დღეს ხომ გათბობს
მზერა მთების!
ციხევ, ვფიქრობთ ჩვენ შენს ბედზე,
დაგაყენებთ ისევ ფეხზე,
მაგ გაბზარულ გულის ფიცარს
გაგიმრთელებთ, — ერთხმად ვფიცავთ;
ვთხოვთ კალატოზს,
დურგალს, ხუროს —
დაგამშვენონ, გადაგხურონ,
რომ არ იქცე ნაციხარად,
იდგე ყველას გასახარად.
რას ჩურჩულებს სიო ნელი? —
„ფიცი გწამდეს პიონერის!“

მხატვარი ვ. ფოცხიშვილი

# ეძიებდე და ჰპოვებდე

ბაჩანას ცნობილი პოემა „თალლაურა“ ქართული ლიტერატურის ისტორიაში სათანადოდ არის შესწავლილი. მაგრამ დღემდის არ იყო დადგენილი თალლაურის ციხესიმაგრის არსებობის ფაქტი. პოემის მიხედვით კი ფშავის სახელგანთქმულ ვაჟკაცს თალლაურას საკუთარი ციხესიმაგრე აქვს, სადაც იგი თავისი ოჯახით ცხოვრობს. არც ის იყო ცნობილი, ისტორიული პიროვნება იყო თალლაურა თუ გამოგონილი.

თბილისის გაზანგრძლივებული დღის № 1 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე ილია ჭრელაშვილი გასულ ზაფხულს იყრის ხეობაში, სოფ. არტანში ისვენებდა. აქ მან მოხუცი ფშავლებისაგან გაიგო, რომ იქვე ახლოს, ტყეში იყო ძველი ციხეები, რომლებიც ეკუთვნოდა ფშავის სახელოვან გმირს თალა თალლაურას. ილიამ ეს ციხეები ინახულა თავის ამხანაგებთან ერთად, გააკეთა მათი ჩანახატები და თბილისში ჩამოიტანა.

შემდეგ სკოლის ქართული ლიტერატურის წრის სხდომაზე ილიამ წაიკითხა მოხსენება — „ბაჩანას პოემა „თალლაურა“ და თალა თალლაურას ციხე-სიმაგრე“, რომელმაც მასწავლებელთა და მოწაფეთა მოწონება დაიმსახურა.

აღნიშნული მოხსენება წარდგენილი იქნა მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე; მისი ავტორი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს I ხარისხის დიპლომით დააჯილდოვეს.



თალა თალლაურას სახელით ცნობილი ციხესიმაგრეების გამომზეურებით ირკვევა, რომ პოემა „თალლაურაში“ მოთხრობილ ამბავს ისტორიული სინამდვილე უდევს საფუძვლად...

გთავაზობთ ი. ჭრელაშვილის რამდენიმე ნამუშევარს.

ზურაბ ჭუმბურიძე,
პროფესორი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაიდარის ჩანთა

ბორის კამოვი

მხატვარი ს. ტროფიმოვი

მოთხრობა-ძიება

აბრამოვი ერთხანს შეჩერდა, მერე განაგრძო:

— არკადი პეტრეს ძის დაღუპვის შემდეგ მე ერთ ქოხში დავდექი. დიასახლისი ცომსა ზელდა. მე პისტოლეტი მივეცი და ერთ პატარა პურში ჩააყოლა. ღამით ნავით უნდა გადამეცურა დნეპრი. სიბნელეში ნავი წყლით გაღენთილ მორს გადააწყდა და გადაბრუნდა. მე წყალში მოვხვდი, პური კი ჩაიძირა.

— ეჰ, — შეწუხდა სკრიპნიკი, — მე ერთხელ გაიდართან ერთად კოცონთან ვიჯექი. გაიდარი ჩუმად იყო და ჯაყვით ხის ქერქისაგან ხომალდს ჭრიდა. — ფრეგატს. გაუკეთა ძირი, საჭე, ორი ანძა, იალქნებიც კი — სელშავის ფოთლებისაგან. გამოვართვი, რომ მენახა, ჯამომიწოდა, ადგა და წავიდა. მე რომ ის ფრეგატი შემენახა, შენ — პისტოლეტი, აფანასია თევდორეს ასულს — ერთი რომელიმე რვეული, შვაიკოს ოჯახს — სულ პაწაწინა ბლოკნოტი, — ახლა მთელი სიმდიდრის პატრონები ვიქნებოდით. სინამდვილეში კი არაფერი არა გვაქვს...

— გვაქვს, — ვთქვი მე, ჩემოდანი გავხსენი და მაგიდაზე ტყავის გადაცრეცილი პორტსიგარი დავდე. — ამ პორტსიგარზე მერე ვილაპარაკოთ, ახლა კი ორიოდე სიტყვა მინდა მოგახსენოთ.

დღეს რომ გაიდარი ჩვენთან არ არის, რომ დაკარგულია მისი პირადი ნივთები და რვეულები — ეს ომის სისასტიკეს მოწმობს. მისი კანონები გაიდარმა ბევრზე უკეთ იცოდა. ჯერ კიდევ 1935 წელს როსტოველი პიონერებისათვის მიწერილ წერილში ამბობდა ის: „ჯობდა, ალკა ცოცხალი დარჩენილიყო, ჯობდა, ჩაპაევიც ცოცხალი ყოფილიყო, — მაგრამ ასე არ ხდება ამ ქვეყნად".

მოწინავე ხაზზე თუ ალყაში ყოფნისას გაიდარი სხვის ზურგს არასოდეს არ ამოჰფარებია, მაგრამ ზომები მიიღო, რომ ორი საშიშროება აერიდებინა თავიდან.

დაჭრილი ტყვედ რომ ჩავარდნილიყო, ამ შემთხვევისთვის „ვალტერი" შეიძინა.

და კიდევ იმაზე იზრუნა, რომ დაღუპვის შემთხვევაში ისე არ დაკარგულიყო, ამბის მიმტანი არ დარჩენოდა.

საკვირველია მისი გამჭრიახობა და შორსმჭვრეტელობა. 1942 წელს აქ, მტრის ღრმა ზურგში მოქმედმა ჩვენმა მზვერავებმა მოსკოვიდან მიიღეს უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანება, შეეგროვებინათ ყოველგვარი ცნობები იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია ა. გაიდარს.

1943 წელს ხელახალი შეკითხვა მოვიდა.

1944-ში „კომსომოლსკაია პრავდამ" მწერლის დაღუპვის ვითარების გამოსარკვევად გამოგზავნა კაპიტანი ბაშკიროვი. მალე ლეპლიავაში ჩამოვიდნენ არკადი პეტრეს ძის ცოლი, შვილი და მეგობრები — მწერლები და საბავშვო გამომცემლობის მუშაკები.

მაგრამ ისმება კითხვა: როგორ გაიგეს გაიდარის მეგობრებმა და ახლობლებმა, რომ მისი კვალი ლეპლიავაში უნდა ეძებნათ? რატომ იყო, რომ აუარებელი აქაური სოფლებიდან შეუცდომლად მოაკვლიეს ამ სოფელს?

ამაზე უბრალო პასუხი არსებობს: თავისი გაიტანა არკადი პეტრეს ძის „შეტყობინების სისტემამ".

...ვისაც კი გაიდარი ალყაში ყოფნის დროს შეხვედრია, ვის ქოხშიც კი შესულა, ყველასთან ამბობდა თავის სახელს, ყველას ეუბნებოდა, რომ მწერალია და ფრონტზე კორესპონდენტად ჩამოვიდა. ასეთი გულახდილობა პირადი უშიშროების თვალსაზრისით უგუნურება იყო. მაგრამ გაიდარმა გონების კარნახი ყურად არ იღო, რომ რაც შეიძლება მეტი ხალხისათვის დაემახსოვრებინა თავი.

არკადი პეტრეს ძე ყოველთვის გულკეთილობით იყო გამორჩეული. და ომის დროსაც ის ასეთი დარჩა: საჩუქრად არიგებდა თავის წიგნებს, ფანქრებს, პატარ-პატარა ნადავლ ნივთებს; გაასაჩუქრა საათი, კომპასი, ჯაყვა (სამხედრო საქონლის მაღაზიაში რომ იყიდა თავის პირველ ტყავის ჩანთასთან ერთად). მე ვიცი ორი ოჯახი, სადაც გაიდარმა წასვლისას ფული დატოვა. საყოველთაო განსაცდელის ჟამსაც კი ნახა მან ისეთი ხალხი, ვისაც სხვებზე უფრო უჭირდა...

— „შეტყობინების სისტემაზე" დაიწყეთ, — შემახსენა სკრიპნიკმა.

— მე უკვე გითხარით, რომ სადაც არ უნდა ყოფილიყო, გაიდარი ყველას სახელით ეცნობოდა. გარდა ამისა ყველა თავის ახალ ნაცნობს სთხოვდა, როცა კი შემთხვევა მიეცემოდათ, მოსკოვში მიეწერათ მის შესახებ.

— ალყაში მოხვედრილებისაგან ასეთი თხოვნა ხომ ჩვეულებრივი იყო, — თქვა სკრიპნიკმა.

— ვიცი, მაგრამ აი ასეთ უბრალო საქმეშიც კი გაიდარმა ორგვარი სრულყოფა შეიტანა. იგი იძლეოდა მისამართს: მოსკოვი, მწერალთა კავშირი. და ეს ადვილი დასამახსოვრებელი იყო. მეორე „რაციონალიზაცია" იმაში მდგომარეობდა, რომ თითქმის ყველას, ვისაც კი გაიდარი სთხოვდა მოსკოვში შეეტყობინებინათ მის შესახებ, ის სამახსოვროდ იარაღს სჩუქნიდა.

პირველად ასეთი საჩუქარი თავის შოფერს, საშა ოლხოვიჩს გაუკეთა — აჩუქა ნაგანი, რომლის ხის სახელურზეც ამოჭრილი იყო: „გაიდარი". ორი ნომერი ბრაუნინგი არკადი პეტრეს ძემ აჩუქა დაჭრილ კაპიტან რიაბოკონს, რომელმაც ორლოვის ჯგუფი სემიონოვკის ტყიდან გაიყვანა.

თქვენ, სერგეი ფიოდოროვიჩ, გაიდარმა თავისი მესამე პისტოლეტი მოგცათ. და 1942 წლის 1 მაისს მოსკოვში მიწერილმა თქვენმა წერილმა პირველად დაადასტურა არკადი პეტრეს ძის „შეტყობინების სისტემის" მართებულობა.

ამის შემდეგ მე პორტსიგარი გავხსენი და იქიდან ტილოს ნაჭერში მჭიდროდ გაკრული ხვეულა ამოვიღე. ეს დრო-ჟამით გაყვითლებული ცხვირსახოცი იყო, კუთხეში ამოქარგული ჰქონდა სიტყვები: „ბედნიერებაში" და თარიღი: „1941". შიგ აღმოჩნდა სამი საგანი: ნახმარი, ბოლოგაშავებული ქარვის მუნდშტუკი, გერმანული ოთხფერი ფანქრის ნალევი და ასანთის კოლოფზე ოდნავ დიდი ფირფიცრის ნაჭერი, რომელზეც ეწერა:

28. 9. 41. ტყეში სოფ. სემიონოვკა კიევთან.

— ეს არკადი პეტრეს ძის ნივთებია. ალექსანდრე დიმიტრის ძე ორლოვმა მაჩუქა.

— ვერ გამიგია ეს ფიცარი რისთვის არის? — თქვა აფანასია თევდორეს ასულმა.

— ასაალებელი ნაერთით სავსე ბოთლებისათვის, — მიუგო სკრიპნიკმა. — ფიცარსაც, როგორც ასანთის კოლოფს,

დასასრული. იხ. „პიონერი" № 12 — 1978 წ., № 1, 2 — 1979 წ.

და ბოთლის საცობსაც გოგირდი ჰქონდა გადასხმული. ერთიმეორეზე რომ ჩამოჰკრავდნენ, გოგირდი აალდებოდა და ბოთლს ტანკს ესროდნენ.

— შეხედეთ, რა საინტერესოა, ფიცარი გაშალაშინებულია, ასოები კი დეფორმირებული. რატომ?

— გაიდარს ჯერ ამოუჭრია ასოები და მერე ქიმიური ფანქრით მოუხაზავს, — შენიშნა შვაიკომ.

— კი მაგრამ, რატომ მარტო დანით არ გააკეთა წარწერა? — ვიკითხე ისევ, — ანდა რატომ ფანქრით არ დაწერა ეს რამდენიმე სიტყვა? იმიტომ, რომ ადვილად ამოსაკითხი და გამძლე წარწერა სჭირდებოდა... ტექსტი კი დაშიფრულია. მაგრამ ამ შიფრის გასაღები არსებობს.

მე გაიდარის ტომი ავიღე და ხმამაღლა წავიკითხე:

„ძვირფასო დორა! ვსარგებლობ შემთხვევით და თვითმფრინავით ვაგზავნი წერილს. გუშინ დავბრუნდი მოწინავე ხაზიდან, ხვალ კი ისევ მივდივარ და ჩემთან კავშირი გაწყდება. რთული მდგომარეობა გვაქვს. შეხედე კიევს, რუკას, და თვითონ მიხვდები“.

წერილი 17 ან 18 სექტემბერს იყო გაგზავნილი.

რა უნდა აეხსნა რუკას?.. ის, რომ კიევი ალყაშემორტყმული იყო. 19 სექტემბერს კი საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ გადმოსცა: ქალაქი დატოვებულია.

სად იყო გაიდარი, წავიდა თუ არა კიევიდან, უკვე ვერავინ ვეღარ იტყოდა.

ახლა წარმოვიდგინოთ:

დორა მათეს ასულმა თავის საფოსტო ყუთში ეს ფიცარი აღმოაჩინა. მიხვდებოდა თუ ვერა, ვისი ხელით იყო დაწერილი ეს რამდენიმე სიტყვა?.. ხელწერა შეცვლილია, მაგრამ ეჭვსგარეშეა, ეს გაიდარის ხელნაწერია. ტექსტის გასაღებად გამოდგებოდა წერილის სიტყვები „შეხედე კიევს, რუკას“.

რას იტყობინებოდნენ ფირფიცარზე ამოჭრილი სიტყვები?..

გაიდარმა ისინი ქალაქის დაცემის ათი დღის შემდეგ დაწერა. ე. ი. კიევში ის არ დარჩენილა.

იგივე რუკა უკარნახებდა დორა მათეს ასულს, რომ სემიონოვკა მტრის ზურგში მდებარეობს. ტყე? ტყე ვითომ პარტიზანული იქნებოდა? არა. გაიდარმა იცოდა სამხედრო საიდუმლოების შენახვა. ტყე რომ პარტიზანული ყოფილიყო, არკადი პეტრეს ძე არ დაასახელებდა სემიონოვკას. გამოდის, რომ ის ალყაშია.

29 სექტემბერს ამაზე მეტი თავის შესახებ თვითონ გაიდარმაც არ იცოდა.

— მაშასადამე, თქვენ ფიქრობთ, რომ არკადი პეტრეს ძე აპირებდა, როგორმე გაეგზავნა ეს ფიცარი? — შემაწყვეტინა სკრიპნიკმა.

— კი არ აპირებდა, გაგზავნა. სემიონოვკის ტყიდან ალყის გარღვევის წინ არკადი პეტრეს ძემ ორლოვს მისცა ეს ფიცარი. ბრძოლის დროს ერთმანეთი რომ დაეკარგათ და პოლკოვნიკს ფრონტის ხაზი რომ გადაეჭრა, ფიცარს მოსკოვში გააგზავნიდა, მაგრამ ფრონტის ხაზზე ის მხოლოდ დეკემბერში გადავიდა. ფიცარზე დაწერილი ცნობა მოძველებული იყო.

## გათხრები

მე და შვაიკომ სკრიპნიკი და აბრამოვი გავაცილეთ და პარტიის რაიკომში დავრეკეთ.

მივედით თუ არა, რაიკომის მდივანმა სხდომა შეწყვიტა, შეგვიპატიჟა. მე ვუთხარი:

— გულითადი მადლობა, პიოტრ ფილატოვიჩ, ქვისათვის.

— რას ბრძანებთ. საერთო საქმეა, — მომიგო მან და ოთახში მყოფთ აუხსნა: — ლეპლიავაში გაიდარის პირველი საფლავის ადგილას წლების მანძილზე ხის სვეტი იდგა. ახლა კანევის ჰიდროელსადგურის მშენებლების დახმარებით ორტონიანი მონოლითი დავდგით. კიდევ რა შეგვიძლია გავაკეთოთ? — მოგვიბრუნდა ჩვენ.

მე მოკლედ ვუამბე მეტყევე შვაიკოს გმირობაზე, გაიდარის ჩანთაზე და ვალოდიას ფეხბურთის ბურთზე.

— კომკავშირის რაიკომი ახალგაზრდობას დარაზმავს ჩანთის საძებნელად, კოლმეურნეობები კი ტექნიკას მოგცემენ და ხარჯის ნაწილს თვითონ იღებენ თავს.

— ჯერ თვითონ ვცდით. თუ ვერ აუვალთ ისევ მოგადგებით, — დავპირდი მე.

მეორე დღეს, დილაადრიან იურამ შემოგვიარა მანქანით. მალე პარტიზანული ტყე დაიწყო. შვაიკოსთვის ეს მშობლიური ადგილები იყო...

... წინ დაუჯერებლად გრძელი სახლი გამოჩნდა.

— აქ ვცხოვრობდით, — ხმადაბლა წარმოთქვა ვასილი მიხეილის ძემ.

შევედით. დამტვერილი, მაგრამ მთელი ფანჯრები. გრძელი მაგიდა. რუსული ღუმელი. კედლებზე — აქა-იქ ჩამოფლეთილი შპალერი. კუთხეში — ხელით ნაკეთი ჭურჭლის კარადა.

აქ, ამ მიტოვებულ ოთახში ოდესღაც სასმელ-საჭმელს და თბილ კუთხეს იღებდნენ მეთაურები, მებრძოლები და პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით ფაშისტურ ზურგში მოხვედრილიყვნენ.

აქედან მეტყევე შვაიკოს ალყაში მოქცეულ მეომართა ჯგუფები ნაცად, უშიშარ ბილიკებზე გაჰყავდა.

მე მაგიდას მივუახლოვდი. აქ ბევრჯერ უვახშმია გაიდარს. უფრო საფიქრებელია, რომ ის კედელთან მიდგმულ მერხზე იჯდა. ამავე მაგიდაზე დადო თავისი რვეულები უკანასკნელად აქ ყოფნისას. მეტყევემ ხელნაწერები იმ კარით გაიტანა, რომელშიც ეს არის ახლა, ჩვენ შემოვედით. მაგრამ სად წაიღო?

თუ ვასილი მიხეილის ძე მართალია და სამალავი სახლთან ახლოა, გაიდარის ქაღალდებისაგან ახლა მეტრები მაშორებს. რამდენი: ოცდაათი, ორმოცი, სამოცი?

ვასილი მიხეილის ძე მერხზე დაფენილ გაზეთზე იჯდა, იურა კი დინჯად ათვალიერებდა ოთახს: უჯრებს სწევდა, კედლებსა და იატაკზე აკაკუნებდა, ღუმელქვეშ ძვრებოდა.

კედელზე ცალ ლურსმანზე ჩამოკონწიალებული მსუბუქი, ლერწმის თაროედი ეკიდა. ზედა თაროზე ერთადერთი დაფლეთილი, უყდო წიგნი იყო შერჩენილი. ბოტანიკის სახელმძღვანელო გამოდგა. გადავშალე. წიგნიდან ორი გამხმარი ბაღის ედელვეისი და ქაღალდის ნაგლეჯი გადმოვარდა.

„ნეტავ თუ დაკავშირებულია ეს ქაღალდი იმ ბარათთან, ვალოდიას კომკავშირულ ბილეთში რომ დარჩა? ანდა ვის ან რისთვის დაუტოვებდა ვალოდია ამ ბარათს?“

ბარათში ეწერა: „ვოვკა, გადამაწერინე!“

მე ქაღალდი ისევ წიგნში ჩავდე და წიგნი მაგიდაზე დავტოვე.

— წავედით? — იკითხა შვაიკომ და ტყეში წაგვიძღვა, მაგრამ ჩვენი არსებობა მაშინვე დაავიწყდა — ხეების თვალიერება დაიწყო.

უცებ რამდენიმე მტკიცე ნაბიჯი გადადგა და გაორებულ ფიჭვთან გაჩერდა.

— პირველი სალამი ვალოდიასგან, — ყრუდ ჩაილაპარაკა მან.

... იურას ბარი გამოართვა. ფიჭვის ძირიდან მიწაზე იდეალურად სწორი ხაზი გაატარა. მისი პერპენდიკულარი ააგო, მარცხენა ზედა კუთხე შუაზე გაყო და ნაბიჯების გადათვლა დაიწყო.

ერთ მშვენიერ არყის ხესთან მიაღწია, ბარი მიწას დაჰკრა და პირველი ბელტი ამოიღო. მალე ხის ქვეშ კარგა მოზრდილი ორმო იყო პირდაღებული, მაგრამ ნიჩაბს მხოლოდ სუფთა სილა და ფესვების თეთრი ნაჩეხი ამოჰქონდა.

— მეორე მხრიდან მე მივალ, — ვერ მოითმინა იურამ.

... მე შვაიკო შევცვალე. საათნახევრის შემდეგ დავრწმუნდით: ფესვებმა, რომლებსაც ბეტონის დარღვევა შეუძლი-



კ. მარქსის ს. ს. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ათ, უთუოდ გაგლიჯეს ბურთის კამერა და საბურავი.

— დარწმუნებული ხართ, რომ სწორედ ამ არყის ხის ქვეშ ჩაფლა ვალოდიამ თავისი განძი? მოდით, ყოველი შემთხვევისათვის სხვა ხის ქვეშ ვეძებოთ.

...მთელი ღამე წვიმდა, დილით იურამ რეზინის ჩექმები მოგვიტანა. შევარჩიეთ ექვსი არყის ხე, რომლებიც უფრო წააგავდნენ ვალოდიას ხეებს და დავიწყეთ გათხრა.

მეოთხე არყის ხესთან მუშაობისას კოცონის გაჩაღება დაგვჭირდა.

— ხვალაც ვცადოთ ბედი.

...დილით მოყინა. მჭკნარი ბალახი და ჩამოცვენილი ფოთლები რთვილმა დაფარა.

გიჟებივით ვმუშაობდით. ტყეში გატარებული 14 საათის მანძილზე მხოლოდ ერთხელ შევისვენეთ, რომ ჩაი დაგველია და ამის შემდეგღა მიმოვიხედეთ ირგვლივ. ხეები ყინულით იყო დაფარული. თითქმის ყველა მხას და ყველა არყის ხეს სქელი მინის სამოსი ეცვა. სასწრაფოდ მოვაგროვეთ იარაღები და მანქანაში ჩავსხედით.

— ხვალ რას ვიზამთ? — იკითხა იურამ.

— პარტიის რაიკომში წავალთ დახმარების სათხოვნელად, — მივუგე მე. — მიხეილ ივანის ძის სამალავი უნდა ვეძებოთ.

## ძიება გრძელდება

მერვე დღე იყო, რაც ხუთი მენაღმე მუშაობდა. ტყე, სადაც მე იურასთან და შვაიკოსთან ერთად ორ პისტოლეტს ვეძებდი, ლითონით ამოვსებული აღმოჩნდა. ყოველდღე ვნახულობდით ტყვიამფრქვევების საზიდრებს, მუზარადებს, ავტომატის სავაზნე კოლოფებს, ხიშტებს, ჩაჟანგებულ თოფებსა და რევოლვერებს, ღილებს, ბალთებს, ავტომობილის ნაწილებს და უბრალოდ რკინის ნაჭრებს.

მერვე დღეს კი აი რა მოხდა. მორიგე მზარეული ვიყავი. ვედროში სუპი იხარშებოდა. შეშა ნოტიო იყო და ცეცხლი წამდაუწუმ ქრებოდა. მე ბუჩქებში შევედი, იქნებ მშრალ ნაყარ ფიჩხს მივაგნო-თქო, და კოწახურის ტოტებს იქით ორმოში ჩავვარდი. საბედნიეროდ ოდნავ დავშავდი. სამაგიეროდ ხმელი წაქცეული არყის ხე დავინახე, ტოტები ავკაფე, მოვაგროვე და... გავშრი... ჩემს თვალწინ იყო რკინის ორმოცვედროიანი კასრის თავი.

...ორმო ყუმბარისაგან იყო ამოთხრილი. როგორც ჩანს, აფეთქებამ ამოისროლა ღრმად ჩამარხული კასრი.

ნაჯახით დავიწყე კასრიდან მიწის გადმოყრა, მაგრამ შევჩერდი. მკაცრი წესი გვქონდა დადგენილი — „გამოუცნობი ობიექტები" გრუნტიდან მხოლოდ უმცროს ლეიტენანტს გრიგორიევს ამოჰქონდა.

— ტოლია! — ვიყვირე მე.

ყოველი მხრიდან ჩექმების ტყაპატყუპი მოისმა. პირველი ტოლია მორბოდა. მას მოჰყვებოდნენ დანარჩენები.

მე ვერაფერი ვერ ვთქვი, ხელით ვანიშნე ორმოზე.

— ყველა მოშორდეს აქაურობას — ბრძანა ტოლიამ.

მენაღმეთა წვერმახვილი ნიჩბით ის მოთმინებით შეუდგა მიწის პატარ-პატარა ნაჭრების ჩამოთლას.

უცებ იყვირა:

— შეეფარეთ რამეს. ასაფეთქებელი ნივთიერებაა!

მაგრამ იმედგაცრუება ამ სიტყვების გაგონებაზე ისეთი იყო, რომ ფეხიც ვერ მოვიცვალეთ ადგილიდან.

ამ დროს ასევე მოულოდნელად უმცროსმა ლეიტენანტმა გამოგვიცხადა, — დასტოვეთ თავშესაფარი, კუპრია.

...მანქანას არ დაველოდებივართ, ფეხით წავედით ლეპლიავაში. მთელი გზა ვდუმდით. კასრის ამბავმა გაგვანადგურა. ეტყობა მარტო მე არ მჯეროდა, რომ აგერ-აგერ უნდა მიგვეგნო სამალავისათვის და დღევანდელმა მარცხმა ყველას დიდი ხნით გაგვიფუჭა გუნება.

ჩვენი ექსპედიციის მუშაობის მეთორმეტე დღე იყო. მე და ტოლია გრიგორიევი წაქცეულ ხეზე ვისხედით და გათხრების სქემას ვათვალიერებდით, რომ მეომარი ლეონარდი გამოჩნდა.

— ამხანაგო, უმცროსო ლეიტენანტო, — წყნარად თქვა მან. — უცნობი სისტემის მასიურ საგანს მივაგენი, დიდი სიმძლავრის ნაღმს წააგავს.

— ორი სიტყვით მიამბე, მაგრამ თანმიმდევრულად.

— კუპრის კასრი რომ ვნახეთ, იმ ორმოსაგან ოცდაათ მეტრზე ბებერი მსხლის ხეა. ვიცი, რომ ველური მსხალი მაგარია, მაგრამ ტოტებზე ორი ცალი მოზრდილი და მწიფე ნაყოფი დავინახე. სულმა წამძლია. ნაღმსაძებნი მიწაზე დავდე. ავხტი, ტოტს მოვეჭიდე და შევარხიე... როცა დავიხარე, დავინახე, რომ მიწიდან ლითონის ხუფს აქვს თავი ამოყოფილი. ჩავიცუცქე. ფოთლები გადავბერტყე, რომ ამაფეთქებელი ამომეხრახნა, მაგრამ გეფიცებით, ასეთი ამფეთქებელიც არ გექნებათ ნანახი. წამოდით, გიჩვენებთ.

სასწრაფოდ წამოვდექით... წვიმის შემდეგ თავწამოყოფილი სოკოსავით მოჩანდა წამახვილებული ლითონის ქუდი.

... ტოლია ფრთხილად და დიდხანს მუშაობდა. მერე ნიჩაბი მოგვთხოვა. და ჩვენ დავინახეთ უცნაური საგანი. ლითონის ქუდი დიდი ყუთის ყელში იყო ჩახრახნილი. სიგრძითა და სიგანით ეს ყუთი საშუალო ზომის ჩემოდანს წააგავდა, მაგრამ ორჯერ უფრო სქელი იყო და მთლიანად კუპრში ამოსვრილი. გრიგორიევმა ფრთხილად ამოიღო ყუთი, სახურავი მოხადა.

— მე მგონი ავტომობილის ბაკი უნდა იყოს, — თქვა მან, — შიგ რაღაც არის.

ბაკი განათებულ ადგილზე გამოვიტანეთ, ტოლიამ ჩაჟანგებული ყელი ღონივრად გადასწია და ბაკი პირქვე გადმოაბრუნა. შიგნიდან მოწითალო მუყაოს ნაჭერი გადმოვარდა, ზედ გაცრეცილი ოქროსფერი ასოები იყო ამოტვიფრული: „ორდე... წ... აკი".

— შეჩერდით. ხელი აღარაფერს ახლოთ, — ვთხოვე მე და სადგომებისკენ გავიქეცი. ზურგჩანთაში დიდი ხანია უქმად იდო ჩემი ფოტოაპარატი. მოვბრუნდი და პირველი კადრი გადავიღე — ბაკი და მის გვერდით, მიწაზე — ორდენის წიგნაკი. მერე ბაკი ისევ გადავაბრუნე, მოტეხილი ყელი რისვაი-ვაგლახით მივამაგრე და ისევ და ისევ დავაჩხაკუნე აპარატი — ასე გამოიყურებოდა ჩვენი ნაპოვნი გრუნტში.

როცა „ზენიტში" ფირი გათავდა, შემოვბრუნდი. მთელი ჩვენი მაძიებელთა რაზმი ჩემს ზურგს უკან იდგა და ბაკს შესჩერებოდა. მე არ ვიცოდი, აქ იყო თუ არა გაიდარის რვეულები, მაგრამ ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ეს მეტყევე შვაიკოს სამალავია ანდა ერთ-ერთის სამალავი.

— ბიჭებო! ვაშა ლეონარდს! — ვთქვი მე.

არ ვიცი გაეგონა თუ არა მანამდე ამ ტყეს ასეთი „ვაშა". ოცამდე ღონიერმა ხმამ დასჭექა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

— ბაკს ჯალამბრით წავიღებთ, — გამოაცხადა უმცროსმა ლეიტენანტმა ტოლიამ.

ჯალამბარი ორი წვრილი ლატანით შევკარით — ტყავის ქამრებით შევაერთეთ, ზედ ბაკი დავდეთ და ლეპლიავისაკენ წამოვედით. მორიგეობით მოგვქონდა.

როცა ტყე შეთხელდა და ხეებს შორის ქოხების სახურავები გამოჩნდა, მე შეჩერება მოვთხოვე.

— სოფელში მენაღმეებმა გაატარონ. მაგათ იპოვეს, მაგათი ზეიმია.

ტოლია წამოწითლდა. ხმადაბლა, სხაპასხუპით ბრძანა:

— თავი წესრიგში მოიყვანეთ, ჩექმები გაიწმინდეთ... ასწიეთ ჯალამბარი! მომყევით! გმირულ სოფელ ლეპლიავისაკენ, სადაც მამაცური სიკვდი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლით დაეცა ამხანაგი გაიდარი, ნაბიჯით იარ!

ორკესტრი არ იყო, მაგრამ უამისოდაც გამორბოდა ხალხი უჩვეულო პროცესიის საყურებლად—წინ ახალგაზრდა ოფიცერი მიაბიჯებდა, მას ოთხი ჯარისკაცი მისდევდა, რომლებსაც წვრილ ლატანებზე გადებული რაღაც ულამაზო, კუპრით მოთხვრილი საგანი მოჰქონდათ.

ბაკი აფანასია თევდორეს ასულის სახლთან დავდგით. მთელი სოფელი კარზე მოგვადგა.

ტოლიამ ბაკის ყელი აქეთ-იქით ჩახერხა, კიდეები ჩაღუნა.

— არაფერი არ ამოიღოთ, — ვუთხარი მე, — სახლში შევიტანოთ.

ბაკმა მაგიდის ნახევარი დაიჭირა.

მე ხელები მიკანკალებდა. სადამდეც კი თითები მიწვდებოდა, ნოტიო მუყაოს ვგრძნობდი. ეს კომკავშირული ბილეთები და მეთაურის მოწმობა იყო. ერთმანეთს იყვნენ მიწებებული. მე არ დავიწყე მათი დაშორება, მხოლოდ ამომქონდა ყველაფერი, რაზედაც ხელი მიწვდებოდა.

ზემოდან მარტო მოწმობები ელაგა. ძირს რაღა არის! მაგრამ თავს ვიმაგრებდი, მეშინოდა სულსწრაფობით რაიმე საბუთი არ დამეზიანებინა.

გრიგორიევს მივაწოდე ოციოდე მოწმობა, რამდენიმე დალუქული საფოსტო კონვერტი, რვეული, სულ ქაღალდით, ფსკერზე კიდევ ერთი რვეული იყო, ყავისფერყდიანი, სულ მთლად სველი, წყალს ჩანაწერები არ ჰქონოდა გადარეცხილი და ფურცლებს ცხვირსახოცით დავუწყე შრობა. ამ დროს ტოლიამ დამიძახა:

— იცეკვეთ, თორემ არ მოგცემთ.— და შავყდიანი რვეული ამიფრიალა წინ.

●

დილისთვის რვეულები შეშრა.

ქიმიური ფანქრით ნაწერი სტრიქონები დალღაბნილი იყო, მაგრამ გარჩევა შეიძლებოდა...

„ზოგჯერ ბავშვები ჩვენზე უფრო ბრძენნი არიან. „თემურში" ერთი პატარა ეპიზოდი მაქვს: მოკლული ლეიტენანტის პავლოვის ცოლს სასწრაფოდ მოსკოვში იძახებენ. იგი სთხოვს ჟენიას, მიხედოს მის პატარა გოგონას.

კიეველმა პიონერებმა კი კინოთეატრ „სმენასთან" თემურელთა საბავშვო ბაღი მოაწყვეს. აქ პატარებს ეთამაშებიან, ზღაპრებს უკითხავენ, სიმღერებს ასწავლიან და დღეში ორჯერ აჭმევენ (საჭმელს დილით დედები უტოვებდნენ შვილებს).

ბევრმა ქალმა შესძლო წარმოებაში მუშაობის დაწყება. ამით ფრონტსაც დაეხმარებიან და ოჯახსაც".

●

„ომში ცხოვრება დრამატიზმით არის აღსავსე. დედამ შვილები (ბიჭი, საშა — შვიდი წლისაა, მარინა — 9-სა) მეზობელ სოფელში გაგზავნა, ავადმყოფ ბებიასთან. იმ დღეს სოფელი, სადაც დედა დარჩა, მტერმა დაიკავა.

ბავშვები ჩვენმა მზვერავებმა დაავეს, როცა ისინი ცდილობდნენ შინ, ჰიტლერელთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მოხვედრილიყვნენ.

მაიორის, შტაბის უფროსის ეჭვი: „ვაითუ ბავშვები ოკუპანტებზე მუშაობენ!"

და გოგონას შეშინება: „არ გვიჯერებთ? მამაჩვენი ტანკისტია. მისწერეთ, თუ გინდათ. საველე ფოსტა № 1386".

მოულოდნელად შტაბს გამყოლი დასჭირდა — საჭირო გახდა ჩვენი მზვერავების გაყვანა გერმანელთა ღრმა დაცვაში. ბავშვების გარდა არავინ იყო, ვინც ამას შესძლებდა. ისევ მაიორის ეჭვი: „შეიძლება ასეთ საქმეში ბავშვებს დავენდოთ?"

დავარწმუნეთ, რომ შეიძლება. მზვერავებს და ბავშვებს თვითონ წაჰყვა. და დაინახა მათი დედა. როცა ბავშვები მიუყვანეს, ქალმა სულ დაიკბინა ხელისგული, რომ არ დაეყვირა. მეორე ხელით კი შვილები გულში ჩაიკრა.

ორი ქოხით იქით, სოფლსაბჭოს შენობაში ჰიტლერელები იყვნენ".

●

„ბ ა ვ შ ვ ე ბ ი ო მ შ ი. გამოვიკითხო. არ დავენდო მეხსიერებას. ყველა შემთხვევა ჩავიწერო და მერე ყველაფერი ე რ თ წ ი გ ნ ა დ ავკინძო".

●

„უკანასკნელი საუბარი ფრონტის შტაბში:

— ამხ. გაიდარო, მოსკოვიდან განკარგულებაა: რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, კიევიდან გაგიყვანოთ. თქვენთვის ადგილია შენახული თვითმფრინავში. უკანასკნელში.

— გმადლობთ, მე აქ ვრჩები. სხვებივით".

●

„ჯაჭვის ხიდი დნეპრზე. სამეთაურო პუნქტი. პოლკოვნიკი კაზნოვი. უფრ. პოლიტხელი ბელოკონევი. პრობლემა: „ავაფეთქოთ თუ არა? ან როდის?".

შევთავაზე: „ნება მომეცით კიევში წავიდე, დავზვერო, რა ვითარებაა". ჩემი ნაბიჯები, ხიდის ლითონის მილებში ექოდ გახმიანებული. ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ არის. სიჩუმე ისეთი, როგორც მიწისძვრის წინ. ოკუპანტები ჯერ არ შემოსულან. ვითომ ეშინიათ ხაფანგში არ მოხვდნენ?

წითელარმიელთა ქუჩა. არსად შუქი. ბინდ-ბუნდში ბავშვის ცრემლნარევი ხმა:

— ბიძია, დედაჩემი არ გინახავთ? — ჭიშკართან ქვის ტუმბაზე ექვსიოდე წლის გოგონა ზის. — დედამ თქვა, მალე მოვალო. ჯერ სინათლე იყო.

ათასმა ფიქრმა გამიელვა თავში. „რა დაემართა დედას: დაიღუპა? ავად გახდა და საავადმყოფოში წაიყვანეს?" მაგრამ ქალაქი ცარიელია. ვერსად იკითხავ. ბავშვი მარტოა სახლში. მე დავალება მაქვს. ბავშვის მიტოვებაც არ შეიძლება.

მოხუცი მკერავი. მისი ცოლი და ორი შვილიშვილი.

გოგონა მათთან დავტოვე. გრაფინქვეშ ცოტა ფული დავდე. გოგონას სახელია ლიუბა გრომოვა.

როცა მოვდიოდი, მკითხა:

„ბიძია, დედაჩემის საძებნელად მიდიხართ?"

სამეთაურო პუნქტში გამთენიისას მივბრუნდი. კაზნოვი: „სიმართლე გითხრათ, აღარ გელოდით".

ჩემი მოხსენების შემდეგ მაშინვე მიიღეს გადაწყვეტილება.

ჯაჭვის ხიდი აფეთქდა."

●

„მეტყევე. შჩორსთან ნამსახურევი. 1919-ში ჩემსავით კრემენჩუგთან ომობდა. ახლანდელი ომის პირველ კვირეებში ალყაში მოხვედრილ ასობით ადამიანს დაეხმარა.

მოსკოვში რომ დავბრუნდები, საკ. ალკკ ცეკაში უნდა მოველაპარაკო მთელი ოჯახის დაჯილდოების თაობაზე."

●

„... მეათე დღეა პარტიზანულ რაზმში ვარ.

...ფიზიკურად ახლა უფრო ჯანმრთელი ვარ, ვიდრე მოსკოვში. მაგრამ მძიმე წინათგრძნობა მაქვს. გამოცდილება მკარნახობს, რომ გერმანელები მალე მოაღწევენ ჩვენს ტყეს"...

„წინათ ნელა ვმუშაობდი. უფრო სწორად — შედარებით სწრაფად ვწერდი, მაგრამ ძალიან დიდხანს ვემზადებოდი. ახლა ჩემი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი მასალა მოვაგროვო, რომ შინ პრაქტიკულად შეუსვენებლივ ვიმუშაო: სათქმელი ძალიან ბევრია“.

„ჩანთის პრობლემა. დავალებაზე რომ მივდივარ, თან მიმაქვს: დექტიაროვის ტყვიამფრქვევი, ორი სამარაგო დისკო, ასიოდე ვაზნა, ხუთი-ექვსი ხელყუმბარა, პარაბელუმი და ჩანთა. ჩანთა სავსეა. მძიმე. და საკმაოდ მძიმეც.

რომ დავიჭრა და ამხანაგების გამოსაყვანი გავხდე, პირველ რიგში ჩანთას გადააგდებენ. აბა, ტყვიამფრქვევს ხომ არ მიატოვებენ?

რამდენიმე დღეა თავს ვიმტვრევ: სად წავიღო, რომ არ დაიკარგოს — არც ერთ შემთხვევაში?

„აცივდა. საღამოობით ყინავს.
ნეტავ როგორ არის სახლში შეშის და ფულის საქმე?
ვის ვახსოვარ, ვინ იწმენდავს მალულად ცრემლებს ჩემს გამო?“

„ხშირად ვფიქრობ: როგორები იქნებიან ადამიანები ომის შემდეგ? არამზადებს მთლიანად, რა თქმა უნდა, რა მოსპობს! მაგრამ მაინც ყველა უფრო რბილი გახდება, უფრო გულისყურიანი და კეთილი. ბევრი გვექნება მოსაყოლი შვილებისათვის ადამიანობისა და გმირობის შესახებ. და ჩვენ არნახული სულიერი სილამაზის მქონე თაობას გავზრდით. ომის შემდეგ უკეთესადაც უნდა ვწეროთ“.

## მოკლე განმარტება

საძიებო ჟანრის კანონების მიხედვით ახლა მე წერტილს უნდა ვსვამდე, მადლობას უნდა გეუბნებოდე ჩემო მკითხველო, რომ ჩემი [illegible] გზა გაიზიარე. მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი უფრო რთულია, ვიდრე სათავგადასავლო წიგნებსა და ფილმებში.

რაც შენ ახლა წაიკითხე საავტომობილო ბაკზე და შიგ ნაპოვნ ქაღალდებზე, ათასჯერ მინდოდა მეამბნა შენთვის. სინამდვილეში კი სულ სხვაგვარად წავიდა საქმე...

## მარცხის სიმწარე

მაშ ასე...

— ხვალ რა გავაკეთოთ?

— პარტიის რაიკომში წავიდეთ დახმარების სათხოვნად. მიხეილ ივანეს ძის სამალავის ძებნას ვიწყებთ.

რაიკომთან ოციოდე ავტომანქანა დაგვხვდა. მისაღებთან იურა გველოდა.

— უბედურებაა. ხეები ყინულის სიმძიმეს ვერ უძლებენ და იქცევიან. ელექტრობა არ არის. ტელეგრაფიც არ მუშაობს.

აშკარა იყო, რომ რაიონს კიდევ დიდხანს არ ეცლებოდა ჩვენთვის და მე და შვაიკო შინ დავბრუნდით.

ლეპლიავის სკოლის მოწაფეები და მასწავლებლები დაგვპირდნენ, რომ ზაფხულში გათხრებში დაგვეხმარებოდნენ.

## ბარათი

შინ ბარათი მელოდა. „როგორც კი დაბრუნდებით, დამირეკეთ. თქვენი ნიკ. ბოგდანოვი.“

ცნობილი საბავშვო მწერალი ბოგდანოვი ომის წინა წლებში არკადი პეტრეს ძესთან მეგობრობდა.

მაშინვე ავკრიფე მისი ნომერი.

— მინდა გთხოვოთ გაიდარზე წიგნი დაწეროთ სერიისათვის „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“.

წიგნზე მუშაობა რომ დაჩქარებულიყო, კომკავშირის კომიტეტმა საშუალება მომცა მენახა ის ადგილები, სადაც ცხოვრობდა, ომობდა და მუშაობდა გაიდარი.

ყველა ქალაქში ვეძებდი ადამიანებს, ვინც იცნობდა არკადი პეტრეს-ძეს; დიდხნობით ვსაუბრობდი მათთან და მათს მოგონებებს ფირზე ვიწერდი...

...დოკუმენტური მოთხრობა „ჩვეულებრივი ბიოგრაფია“ (გაიდარი) 1976 წლის ივნისში გამოჩნდა წიგნის მაღაზიების თაროებზე.

ის დრო იყო, ლეპლიავაში წავსულიყავით და ნიჩბები აგვეღო ხელში.

მე კანევში დავრეკე მიპასუხეს:

— კანევის ჰიდროელსადგურის მშენებლობაა დაწყებული. დნეპრი გადაკეტილია, პარტიზანული ტყე — დატბორილი.

გულისტკივილით შევატყობინე ვასილ მიხეილის ძეს, რომ ჩვენი ექსპედიცია ჩაიშალა. ჩაიშალა სამუდამოდ.

## ლეპლიავის ტყის სიურპრიზები

გავიდა რამდენიმე წელი. ამასწინათ გზად ერთი დღით ლეპლიავაში შევიარე. დიდი ხანია მინდოდა მენახა დატბორილი ტყე. ვერ წარმომედგინა, რომ ნაცნობი ადგილები ზღვის ფსკერად და ნაპირად იყვნენ ქცეულნი.

... აი აქ 1940 წელს მეტყევის სახლი იდგა.

ცოტა მოშორებით ბავშვები დავინახე. ნიჩბებით მიწას თხრიდნენ. გვერდზე ახალგაზრდა ქალი მოუსვენრად მუშაობდა გრძელი ლითონის ლატანით.

— გამარჯობათ, — ჩუმად წარმოვთქვი.

ჩემს ხმაზე ყველა შეკრთა, მასწავლებელმა კი ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო.

— ნებართვა გვაქვს.

მე მხოლოდ ვკითხე:

— აქ რას ეძებთ?

მასწავლებელი ქერა ბიჭუნას მიუბრუნდა:

— გოშა, აუხსენი ამხანაგს.

და გოშამ დაიწყო:

— იყო ერთი მწერალი, გვარად გაიდარი. გაგიგონიათ? აი იმ ბარაკში...

— ბარაკი დანგრეულია, ფუნდამენტიღაა დარჩენილი, — დააზუსტა მასწავლებელმა.

— იმ ბარაკში 1941 წელს მეტყევე ცხოვრობდა. ის მწერალი მეზობლად, გელმიაზევოს პარტიზანულ რაზმში მსახურობდა. გაიდარს ჩანთა ჰქონდა. შიგ ხელნაწერები ელაგა, მაგრამ რაზმში მოღალატე აღმოჩნდა. გაიდარი მიხვდა, რომ ხელნაწერების თან ტარება საფრთხილო იყო. შეიძლებოდა დაჰკარგოდა. ამიტომ შესანახად გადასცა მეტყევეს. მეტყევე კი დაიღუპა, ისე რომ ვერავის შეატყობინა, სად ჰქონდა სამალავი. ჰოდა ვეძებთ.

— საიდან ხართ ჩამოსული?

— ჩელიაბინსკიდან, — მიპასუხა მოკლედ თმაშეკრეჭილმა გოგონამ. — ჩვენამდე აქ მუშაობდნენ არხანგელსკიდან, პერმიდან, ლენინგრადიდან, სტერლიტამაკიდან ჩამოსული ბავშვები. დედებიც ჩამოდიან. კარავს შლიან და მთელი შვებულების მანძილზე თხრიან.

ადრე თურმე მილიცია ჯავრობდა, მაგრამ აუხსნეს, რომ ეს არის თემურელთა საკავშირო ოპერაცია „გაიდარის ჩანთა“. აქამდე ყველა იმ სახლთან თხრიდა, სადაც ორლოვის ჯგუფი ცხოვრობდა. გოშამ კი დაამტკიცა, რომ მეტყევე შვაიკოს სახლთან უნდა ვეძებოთ.

მე ხელი გავუწოდე მასწავლებელ ქალს, მოკლედ თმაშეკრეჭილ გოგონას და პატარა ბრძენ კაცუნას — გოშას.

...ახლა შეუძლებელი მჯეროდა. გაიდარის ტყე ზღვის ფსკერად არ ქცეულა. რაც მთავარია, არ არის დატბორილი მეტყევის კარ-მიდამო, ესე იგი არც სამალავია დაძირული.

და თუ ბავშვები დაზამთრებამდე ვერ იპოვნიან გაიდარის ხელნაწერებს, გაზაფხულზე ლეპლიავაში მივდივარ.

კანევიდან ტელეგრამა გავუგზავნე ვასილი შვაიკოს.

ძიება გრძელდება.

თარგმნა ი. გეგეჭკორმა

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 3

## თითოეული მოზარდი — ჩვენი მხედველობის არეში

# ფორმალიზმი დანაშაულია

მე მომავალი პედაგოგების აღმზრდელ უმაღლეს სასწავლებელს ვხელმძღვანელობ და, ბუნებრივია, ამ პოზიციიდან ვილაპარაკებ.

უფრო ადრეც უნდა დაწყებულიყო ის ულმობელი ბრძოლა, რომელიც ამ ბოლო ხანებში გამოეცხადა ფორმალიზმს —აღზრდის უბოროტეს მტერს. ვერაფერი ავნებს მოზარდის აღზრდის საქმეს ისე, როგორც მოჩვენებითობა, თვალის ახვევა, ნაკლოვანებებისადმი შემრიგებლობა, ზერელობა, ზედაპირულობა... აღზრდის პრობლემებისადმი ფორმალისტური დამოკიდებულება დანაშაულია და მას უნდა ვებრძოლოთ ყველგან — ოჯახში, სკოლაში, პიონერულსა და კომკავშირულ ორგანიზაციებში, უპირველეს ყოვლისა — საკუთრივ ჩვენში, საკუთარ არსებაში.

მე ვფიქრობ, ,,პირადი ფორმალიზმი" ფორმალიზმის ყველაზე მავნე და საშიში სახეა. მის ერთ-ერთ გამოვლენად მიმაჩნია, მაგალითად, მასწავლებლის ზერელე დამოკიდებულება პირადი მაგალითის როლისადმი. წარმოიდგინეთ ფიზკულტურის მასწავლებელი, რომელიც ბავშვებს უმტკიცებს, რა მავნედ მოქმედებს სპორტულ შედეგებზე და, საერთოდ, ჯანმრთელობაზე თამბაქო, თვითონ კი ამ დროს არხეინად აბოლებს სიგარეტს. ან რა სინდისით უნდა მოუწოდოს მასწავლებელმა მოსწავლე გოგონას გარეგნული წესრიგისაკენ (სასკოლო ფორმა, ვარცხნილობა, პიონერული ყელსახვევი...), თუკი თვით მისი ჩაცმულობა არ შეეფერება სკოლის გარემოს და პედაგოგის პროფესიას.

ჩვენს ინსტიტუტში სასტიკად ვებრძვით მისაღებ გამოცდებზე ,,შპარგალკით" ფონს გასვლის მრავალრიცხოვან ცდებს. ,,შპარგალკომანიას" კი საფუძველი სადმე სხვაგან კი არა, სკოლაში ეყრება. მოსწავლეებმა იციან (ფორმალურად!), რომ საკონტროლო წერის დროს მათ ეკრძალებათ საშინაო დავალების რვეულის გამოყენება. მაგრამ კარგი ნიშანი ყველა მოსწავლეს სურს ნიშანი და არა ცოდნა!) — ჩამორჩენილსაც კი — და ამიტომ ისინი შეეცდებიან საშინაო დავალების რვეულის ან ,,შპარგალკის" გამოყენებას ბევრი კარგი ნიშანი მასწავლებელსაც აძლევს ხელს — თუ კლასში მაღალი შეფასების მქონე მოსწავლეები ბლომად არიან, ეს ნიშნავს, რომ პედაგოგი კარგად მუშაობს (ისევ ფორმალიზმი!)... ამიტომ მასწავლებელი შეგნებულად ხუჭავს თვალს, საკონტროლო წერის გაკვეთილზე ან ფანჯარაში იყურება, ან მაგიდას უზის და ჟურნალს აწესრიგებს, ამასობაში კი ბავშვები დაუბრკოლებლად იწერენ საშინაო დავალების რვეულებიდან, ,,შპარგალკიდან", ერთმანეთისაგან... ასე ხდება ერთხელ, მეორედ, მესამედ... ბავშვი ჩლუნგდება და ტყუილსაც ეჩვევა... ბოლოს ამ მასწავლებლის მიერ ამგვარად ,,აღზრდილი" კურსდამთავრებული ,,შპარგალკებით" ჯიბეგატენილი მიდის მისაღებ გამოცდებზე და თუ ის ,,შპარგალკა" ხელში არ დავუჭირეთ, გადაიწერს, მაღალ ნიშანს მიიღებს და სხვას, ვინც უფრო ღირსია სტუდენტობისა, წინ გადაეღობება. ეს კი, დამერწმუნეთ, დანაშაულია, და საკმაოდ მძიმე დანაშაულიც, თანაც არამარტო იმ ღირსეული და გარეთ დარჩენილი აბიტურიენტის მიმართ, არამედ სახელმწიფოს, საზოგადოების, საკუთარი თავის წინაშეც.

სამწუხაროდ, ფორმალიზმი მეტ-ნაკლებად ჩვენი ცხოვრების სხვა სფეროშიც შეიჭრა, მისი მავნე გავლენა დროდადრო ჩვენთანაც, უმაღლეს სასწავლებელშიც იჩენს ხოლმე თავს. მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის აუცილებელია მრავალი პატიოსანი და ნებისყოფიანი ადამიანის ენერგიისა და საქმიანობის გაერთიანება. ფორმალიზმი მანამდე უნდა აღიკვეთოს, სანამ იგი დანაშაულში გადაიზრდება.

ნათელა ვასაძე,

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ა. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი.

# მხოლოდ საქმე!

მე ჩვენი სკოლის მეშვიდე კლასის ხელმძღვანელი ვარ. ვიცი, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია: უნდა ყველაფერი ვიღონო, რათა ჩემი ,,საშეფო" კლასის მოსწავლეები ყოველმხრივ სანიმუშონი იყვნენ — სწავლით, ყოფაქცევით, ყოველდღიური საქმიანობით. მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებისთანავე პიონერხელმძღვანელთან, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარესთან, მშობელთა აქტივის წევრებთან ერთად შევადგინე სამოქმედო გეგმა. უპირველეს ყოვლისა მიზნად დავისახე კლასი ჯანსაღი, მეგობრული კოლექტივი ყოფილიყო, გამეაქტიურებინა თითოეული მოსწავლე, გამეღვივებინა მათში ინიციატივის გრძნობა. ახალარჩეული კლასის ორგანიზატორი, მოსწავლეთა კომიტეტი, კედლის გაზეთის რედკოლეგია, ,,სასწრაფო დახმარება", პოლიტინფორმატორები იმთავითვე ხალისით შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას.

შეიქმნა საორგანიზაციო კუთხე, მოწესრიგდა მოსწავლეთა მორიგეობა. თუ რომელიმე თანაკლასელმა არასწორი საქციელი ჩაიდინა, ეს ამბავი საერთო მსჯელობის საგნად იქცევა. კლასის კრებებზე მიღებული დადგენილებების შესრულებას გულმოდგინედ ვამოწმებთ. თუ ვინმემ სწავლაში წაიფორხილა, მას მყისვე მიეშველება ,,სასწრაფო დახმარება". მეშვიდეკლასელმა პიონერებმა შეისწავლეს სახელოვანი კომკავშირელების ცხოვრება. ლენინური კომკავშირის 60 წლისთავს მიუძღვნეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია ,,ნაპერწკალი", ფოტოალბომები, თავი ისახელეს ვიქტორინაში ,,ვინ მეტი იცის კომკავშირზე"; შეაგროვეს დიდძალი ჯართი და მაკულატურა; დიდი ინტერესით მოისმინეს საუბრები პროფორიენტაციის თაობაზე; აწყობენ შეხვედრებს შრომის გმირებთან, მოწინავე მუშებთან; ეწვივნენ 45-ე პროფტექნიკურ სასწავლებელს, გაეცნენ იქ სწავლის სპეციფიკას, დაათვალიერეს კაბინეტ-ლაბორატორიები, ესაუბრნენ სასწავლებლის აღსაზრდელებს. ,,მშვიდობის კვირეულის" დღეებში წარმოადგინეს პოლიტიკური კარიკატურები, მიმზიდველად გაფორმებული სტენდი, ნაშრომები თემაზე ,,დაუსწრებელი მოგზაურობა სხვადასხვა სახელმწიფოში". უფროსებთან ერთად იბრძვიან დრომოჭმული, მავნე ტრადიციების წინააღმდეგ.

ყოველივე ამას იმის ნათელსაყოფად გიყვებით, თუ როგორ ვებრძვით მოზარდი თაობის აღზრდის უბოროტეს მტერს ფორმალიზმს: მხოლოდ ლამაზ სიტყვებს, საქმის მოჩვენებით, გარეგ-

ნულ, ბრჭყვიალა ფორმას, რომლის მიღმაც მარტოოდენ ავბედითი სიცარიელეა. „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ!“ — ასეთია ჩვენი დევიზი.

ცაცა კაკასკირი,

ქ. სოხუმის შ. რუსთაველის სახელობის 1-ლი საშუალო სკოლის პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

## გულით უნდა აკეთო

პიონერულ ორგანიზაციას, თუკი მას ყველაფერი რიგზე აქვს, შეუძლია ეფექტურად იმოქმედოს მოზარდზე. მაგრამ ზოგჯერ მარტო პიონერული ორგანიზაციის საქმიანობა არ კმარა და აუცილებელი ხდება უფროსების ჩარევა. და აი, უნდა ვაღიაროთ, რომ ფორმალიზმისაგან არც ჩვენა ვართ დაზღვეული. ხშირად ქაღალდზე ყველაფერი წესრიგშია, სინამდვილეში კი საქმე სულ სხვანაირად არის.

ჩვენ წესად შემოვიღეთ, რომ ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეებთან სამუშაოდ დაინიშნონ შეფები (ამ საქმისთვის, ჩვეულებრივ, პარტიის წევრობის კანდიდატებს არჩევენ და ეს საქმიანობა მათ პარტიულ დავალებად ეთვლებათ). მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად საქმე მარტო ამ შერჩევითა და სიის შედგენით მთავრდება, კონკრეტული და ხელშესახები კი ბევრი არაფერი კეთდება. შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ ერთეულები, ისინი, რომლებიც გულითა და სულით ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას (ასეთები არიან, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან ნუგზარ ბატიაშვილი, ზაურ ჭიკაძე, არჩილ ვაშაკიძე...), სხვები კი საერთოდ ერიდებიან ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან კონტაქტის დამყარებასაც კი. და, თქვენ წარმოიდგინეთ, საკანდიდატო სტაჟის გასვლის შემდეგ, პარტიის რიგებში მიღებისას, ასეთ შეფს არავინ გაუხსენებს ხოლმე შეუსრულებელ დავალებას, გაუკეთებელ საქმეს.

ჩვენი რაიონის არასრულწლოვანთა ინსპექციას რამდენიმე უბანი აქვს და თითოეული მათგანის მხედველობის არეში 25-30 ათასი მცხოვრებია. რა თქმა უნდა, ერთი ინსპექტორი, როგორი ენერგიულიც უნდა იყოს იგი, ამოდენა უბნის ყველა საქმეს მარტო ვერ აუთავდება და უთუოდ შემოეპარება ფორმალიზმის სენი. და აი, არასრულწლოვანთა ინსპექციის № 1 უბნის ინსპექტორმა, უფროსმა ლეიტენანტმა ქეთევან მელაძემ სახლმმართველობასთან არსებული საყრდენი პუნქტების, ქუჩის კომიტეტების, სკოლათა პროფილაქტიკური საბჭოების, მშობელთა კომიტეტების ბაზაზე ჩამოაყალიბა საზოგადოებრივი საბჭო, რომელშიც 25 წევრი შედის. საბჭო ყოველ ძნელადაღსაზრდელ ბავშვზე ამაგრებს შეფს. შეფს შედგენილი აქვს სამუშაო გეგმა და ამ გეგმის მიხედვით ყველა ღონისძიებას ხმარობს, რომ ბავშვი ქუჩას ჩამოაშოროს და სწორ გზაზე დააყენოს. სამ თვეში ერთხელ ქ. მელაძე ისმენს შეფის ანგარიშს და მისი შუამდგომლობით გამოაქვს გადაწყვეტილება — შეიძლება თუ არა მოიხსნას ესა თუ ის მოზარდი არასრულწლოვანთა ინსპექციის აღრიცხვიდან.

ქ. მელაძის უბანში ყველაფერი საქმიანად, ყოველგვარი ფუსფუსის, მოჩვენებითი ეფექტურობის გარეშე კეთდება. საზოგადოებრივმა საბჭომ სავსებით გაამართლა თავისი ფუნქცია, მისმა წევრებმა — კავშირგაბმულობის მუშაკმა ი. მარჯანიშვილმა, პედაგოგმა რ. აგაჯანოვმა, სტუდენტმა ო. მახარაძემ (საბჭოს ხელმძღვანელმა), პენსიონერმა ა. აგალაროვმა დ სხვებმა ბევრი მოზარდი დააყენეს სწორ გზაზე.

ასეა, როცა საქმე საქმისთვის კეთდება და არა იმისთვის, რომ ქაღალდზე ლამაზად დაიწეროს სხვისი თვალის ასახვევად.

ნორა დოლიძე,

მილიციის კაპიტანი, ოქტომბრის რაიონის არასრულწლოვანთა ინსპექციის უფროსი.

## ჩვენი გამოფენა

### მიყვარს

მზე გაიშალა მუხლებში,
ღამე დღედ გადაიქცა...
აბა როგორ არ მიყვარდეს
ჩვენი ცა, ჩვენი მიწა!

მიყვარს და სულ მეყვარება
ჯახანი ჯიხვის რქისა,
ჭიუხებიდან მოსული
ხმაური არაგვისა;

არწივის ფრთების ტყლაშუნი
და ბანი სალი კლდისა;
მიყვარს გამხმარი ფესვიც კი
ჩემი ლამაზი მხრისა.

გელა გელაშვილი.

თბილისის 67-ე საშუალო სკოლა, III კლასი.



კაკხა დიდებაშვილი. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო გახანგრძლივებული საშუალო სკოლა, VII კლასი

# ქართული კულტურის ცხოველი კერა

ქეთევან ჭილაშვილი

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართულმა თეატრმა 1978 წლის მიწურულში თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავი იზეიმა. თეატრში უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი.

საიუბილეო საღამოზე საბავშვო თეატრების საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს კავშირის ცენტრის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ნ. საცმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის პ. დემიჩევის მისალმება თეატრის კოლექტივისადმი. მისალმებაში აღნიშნული იყო, რომ მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა აღზარდა მაყურებელთა არაერთი თაობა, იგი ეხმარება კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მოზარდი თაობის იდეურ-ესთეტიკურ აღზრდაში.

ზეიმში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოს, რიაზანის, ლვოვის, ყაზანის საბავშვო თეატრების მუშაკებმა, რომელთაც გულითადად მიულოცეს მეგობრებს ეს ღირსშესანიშნავი თარიღი.

— თეატრის მიერ განვლილი ნახევარი საუკუნე ნიჭიერი კოლექტივის დიდი ცხოვრებაა, — თქვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ო. თაქთაქიშვილმა. მან დიდი მადლიერებით გაიხსენა ამ თეატრის ფუძემდებლები, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია რეჟისორ ალექსანდრე თაყაიშვილს.

თეატრის შემოქმედებითი გზის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ხელოვნებათმცოდნე ვ. კიკნაძე. თეატრს მიესალმნენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. წიკლაური, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი დ. ალექსიძე, დრამატურგი გ. ხუხაშვილი, თბილისის თეატრების მსახიობები, რეჟისორები.

როდის გადადგა პირველი ნაბიჯი ამ ძვირფასმა თეატრმა?

აი, როგორ იგონებს იმ პირველ დღეებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი გოგუცა კუპრაშვილი: „დადგა ეს სანეტარო წუთიც, ეს იყო 1928 წლის 11 ნოემბერი. ვღელავდით, დაძაბული განწყობილებით გავხსენით პირველი ფარდა... დამთავრდა სპექტაკლი, შეუწყვეტელმა ოვაციებმა ნათელჰყო ჩვენი საყვარელი თეატრის ბედი“.







საკუთარი სცენის უქონლობის გამო, პირველი სპექტაკლი „ფრიც ბაუერი“ (პიესის ავტორი ნატალია საცი, თარგმანი კარლო კალაძისა, დადგმა ალექსანდრე თაყაიშვილისა, მხატვარი მიხეილ გოცირიძე, კომპოზიტორი ვ. შავერზაშვილი) დაიდგა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, ხოლო რეპეტიციებს დიდი გაჭირვებით გადიოდნენ ხან საჯარო ბიბლიოთეკაში, ხან კონსერვატორიაში, ხან ალ. თაყაიშვილის ბინაში... 1930 წელს თეატრმა მიიღო შენობა, სადაც იგი დღემდე იმყოფება.

თეატრის პირველი დირექტორი იყო მწერალი ელიზბარ ზედგინიძე, სამხატვრო ხელმძღვანელი ალ. თაყაიშვილი, კომპოზიტორი რევაზ გოგნიაშვილი, მხატვარი მიხეილ გოცირიძე, რეჟისორები — ბორის გამრეკელი და გრიგოლ მიქელაძე.

თეატრმა სიცოცხლე დაიწყო. პირველ სპექტაკლს მოჰყვა ბ. ზაიაცის „რობინ ჰუდი“, კურდიუკოვის „კაცი შავი სათვალით“, შ. დადიანის „ბოთე და კუსპარა“, სიმონ მთვარაძის „ჩვენც, ჩვენც“, კიტა ბუაჩიძისა და სიმონ მთვარაძის „აურიე რგოლი“, გიორგი დარისპანაშვილის „სამი ამხანაგი“, მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, გუგა ნახუცრიშვილის და ბ. გამრეკელის „ნაცარქექია“, „ლადო კეცხოველი“... აბა რა ჩამოთვლის ამ დიდ გზაზე თეატრის ყველა ფრთაშესხმულ სპექტაკლს, იმ ღიმილსა თუ წმინდა ცრემლს, იმ ჩაფიქრებას, იმ გულთა ძგერას, საყვარელ მსახიობებს მიჩერებულ, ცნობისმოყვარეობით ალსავსე მაყურებელს, რომელიც აქ, ხელოვნების საკუთარ ტაძარში ეზიარა მშვენიერებას, ამაღლდა სულით, იწამა სიმართლე და ამ რწმენით შედგა ფეხი დიდ ცხოვრებაში!

მეც ამ თეატრის 40-იანი წლების მაყურებელი ვარ. ჩემი და თანაკლასელების თეატრში წასვლა საგანგებო მოვლენა იყო. ორი-სამი დღით ადრე ვემზადებოდით, მოუთმენლად ველოდით ჩვენი აბონემენტის დღეს. გულმოდგინედ ვიუთოვებდით ფორმის კაბებს, ვახამებდით თეთრ საყელოს და სამაჯურებს, ბაბთებს. ვცდილობდით ლამაზები ვყოფილიყავით, გარეგნულ იერზე ზრუნვა თეატრის ქვეშეცნობილი თაყვანისცემის ბიძგი იყო, რაც მის ძალასა და შთამბეჭდაობაზე მეტყველებს.

ჩემი თაობის მაყურებელთა მეხსიერებაში წარუშლელია სპექტაკლი „სურამის ციხე“, მან გვაზიარა, იქნებ პირველადაც, დედა-შვილობის უზენაეს გრძნობას, სიძულვილით აღგვავსო არა მარტო უგულო და ეგოისტ ვარდოს მიმართ, თვალი აგვიხილა საერთოდ ბოროტებაზე (ვარდო — ალ. ღვინიაშვილი, დურმიშხანი — გოგი აბაშიძე, ზურაბის დედა — თ. ლივარდი). სამუდამოდ ჩაგვებეჭდა გულში ზურაბის გაუბედურებული დედა, ფერმკრთალი, ფრთამოტეხილი... „შვილო, მოგიკვდეს დედა! ხალხო, რაღას უყურებთ, ჩამქოლეთ მე უბედური“... — გვიხმობდა მაყურებელს. ჩვენ ცრემლად ვიღვრებოდით... გოგუცა კუპრაშვილის ჩვეული ალმაფრენით ნათამაშები მიხო ბიჭი? მას სიტყვა არაფერი ჰქონდა, მაგრამ სახასიათო შტრიხებით და დეტალებით სოფლელი ბიჭის დაუვიწყარი, ხალისიანი სახე შექმნა, კუთხეში მიმჯდარი, ჯიბეში გადანახულ ქათმის ბარკალს რომ შეექცეოდა...

გოგუცა კუპრაშვილი იქნებ იმიტომაც გვიყვარდა, რომ სიცილ-კისკისით შევცქეროდით მის მიერ განსახიერებულ გმირებს: ვახუშტის („ნაცარქექია“), წუკას („აურიე რგოლი“). ახლაც ჩამესმის მისი სიმღერა:

აურიე რგოლია, რგოლია,
ვის არ გაუგონია
ძმაბიჭობის მომგონი, ჰე,
წუკა კუპრაშვილია...

და აი მოულოდნელად მსახიობმა თვალწინ გაგვიცოცხლა ოვანეს თუმანიანის „გიქორი“ (ინსცენირება გ. დარბინიანისა, თარგმანი ი. გრიშაშვილისა) და ჩაუქრობელი თანაგრძნობით გაგვმსჭვალა ძველი ცხოვრების უკუღმართობით განწირული სომეხი ბიჭუნას — გიქორის მიმართ. ეს სათნო, კეთილშობილი, ღარიბი ბიჭუნა იმსხვერპლა შიმშილმა, დამცირებამ, ძალღონეს გადამეტებულმა შრომამ... დაუვიწყარია სცენა ქალიასთან, გიქორის სევდიანი, გაოცებული სახე, ჩიტის დანახვაზე უცებ ანაპერწკლებული და იქვე ჩამქრალი თვალები... იდგა დარბაზში მწუხარება და იფრქვეოდა წმინდა ცრემლი...

გოგუცა კუპრაშვილმა დიდი ამაგი დასდო თეატრს... მისი შემოქმედებითი გზა ცხოველ სვეტად ადგას თეატრის განვლილ გზას, მან ნორჩ მაყურებელს სიყვარულით მიუძღვნა მოგონებების წიგნი „მე ისევ თქვენზე ვფიქრობ“, სადაც საბავშვო მსახიობი საინტერესოდ უამბობს მკითხველს თავისი შემოქმედებითი ცეცხლით აღსავსე ბიოგრაფიას...

მოზარდ მაყურებელთა თეატრის ყველა გამარჯვება მისი ერთიანი, ნიჭიერი კოლექტივის შეხმატკბილებული, თავდადებული შრომის შედეგი იყო.

საყოველთაო აღიარება მოიპოვეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა თამარ თვალიაშვილმა, ვახტანგ არეშიძემ, გიორგი დარისპანაშვილმა, აწ განსვენებულმა ნიკო გვარაძემ, გოგი აბაშიძემ, დავით ცხაკაიამ, ბუტია გამრეკელმა და ბევრმა სხვამ, რომელთა ამაგი ოქროს ასოებით ჩაიწერა თეატრის ისტორიაში.

თეატრის რეპერტუარს წლების მანძილზე ამდიდრებდნენ შ. დადიანი (ქართველ მწერალთაგან მან პირველმა მიაწოდა თეატრს ორიგინალური პიესა „ბოთე და კუსპარა“), გ. ნახუცრიშვილი, რომელიც დღესაც ნაყოფიერად ემსახურება თეატრს. მისმა პიესებმა: „ცეცხლის ხაზზე“, „პატარა მეომრები“, „ლადო კეცხოველი“, „კომბლე“, „ბორის ძნელაძე“, „ჭინჭრაქა“ და სხვა თეატრის წარმატებებში გარკვეული წვლილი შეიტანეს. აღსანიშნავია დრამატურგ გრ. ბერძენიშვილის პიესები: „ძველი ქრილობა“, „კოჭლი მეწისქვილე“ და სხვ. ალ. კაჭკაჭიშვილის, კ. გოგიაშვილის და სხვათა პიესები. დიდი ღვაწლი მიუძღვით თეატრის წინაშე კომპოზიტორებს: ოლღა ბარამიშვილს, ვ. კურტიდს, ვ. შავერზაშვილს... მხატვრებს: ელენე ახვლედიანს, თამარ აბაკელიას, ს. ვირსალაძეს, ნ. ყაზბეგს...

თეატრი თავის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს შემოქმედებითი წარმატებებით შეხვდა. წინასაიუბილეო პერიოდში მოსკოვში ჩატარებულმა გასტროლებმა ცხადყო მისი თავდადებული შრომა ნორჩი მაყურებლის ღირსეულად აღზრდისათვის, საბავშვო თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის. მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა მოსკოველ მაყურებელს უჩვენა დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“, ბ. ბრეხტის „სიმონა მაშარის სიზმრები“, პ. ტრევერსის „მერი პოპინსი“, ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, ვ. დარასელის „დივიზია № 16“, ა. ტოლსტოის „ბურატინო“. სპექტაკლები მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

აი მცირედი ამონაკრები საკავშირო პრესიდან.

„ქამუშაძის გაჭირვებაზე“: „ყველა სცენა თითქოსდა ფერწერული ტილოა, იმდენად მეტყველია მსახიობების პლასტიკა“. (ჟურნალი „ოგონიოკი“).

სცენები სპექტაკლებიდან: „იავნანამ რა ჰქმნა?!“ „მოკვეთილი“, „სკაპენის ოინები“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქამუშაძის გაჭირვება“ თეატრის ყველაზე რეჟისორული სპექტაკლია. ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულება, სცენიური კულტურის საერთო მონაპოვრის გათვალისწინება მას საგანგებო აზრსა და კოლორიტს სძენს“ („ნედელია“).

თეატრის დადგმებზე დადებითი აზრი გამოთქვეს გაზეთებმა „სოვეტსკაია კულტურამ“ და „კომსომოლსკაია პრავდამ“. გასტროლების ყურადღების ცენტრში იყო თეატრის ბოლო პრემიერა „მე ვხედავ მზეს“ (რეჟისორი შ. გაწერელია) და „დივიზია №16“ (რეჟისორი თ. ჩხეიძე). გაზეთი „პრავდა“ წერდა: „თავისი საუკეთესო სპექტაკლებით თეატრი გვიჩვენებს რეჟისორული აზროვნების თანამედროვე დონეს, მსახიობთა ოსტატობას, უწინარეს ყოვლისა კი ახალგაზრდა შემსრულებელთა დიდ შესაძლებლობებს, რითაც, სამწუხაროდ, დღეს ბევრი მოზარდთა თეატრი ვერ მოიწონებს თავს“.

დღეს თეატრში მოღვაწეობენ დირექტორი ვ. ლოლაძე, სამხატვრო ხელმძღვანელი შ. გაწერელია, ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი ქეთევან ხარშილაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვახტანგ არეშიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ივანე ნინუა, გიორგი დეისაძე, გელა რევაზიშვილი, რეზო თავართქილაძე, იზოლდა ელისაშვილი, იამზე ტყავაძე, ბელა ჯაფარიძე, ციალა ქორქოლაძე, აბრეკ ფხალაძე, ელენე ასლამაზიშვილი, ეთერ მდივანი. ნიჭიერი ახალგაზრდები: ნოდარ ცერცვაძე, ოთარ ბაღათურია, ნათელა მაჭავარიანი, ბერტა ხაფავა, ლადო მექვაბიშვილი, მანონ აბაშიძე, ტარიელ გიორგაძე, გიული მახათაძე, ლეილა ჯაყელი და სხვანი, რომელთა სცენიური სახეები საკავშირო პრესამ დადებითად შეაფასა.

თეატრმა თავის საიუბილეო დღეებში მაყურებელს კიდევ ერთი პრემიერა უჩვენა, ეს არის ქეთევან ქუჩუკაშვილის „გოგო ხოხესია“. სპექტაკლი მოიწონა მაყურებელმა. ამ დრამატურგის პიესები — „ზამთრის ზღაპარი“, „კონკია“ და სხვ. ჯერ კიდევ ადრე დაიდგა იუბილარ თეატრში.

მაყურებელმა დიდი სიყვარულით მიიღო კიდევ ერთი ახალი დადგმა — ი. გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?!“

შემოქმედებით შრომაში დრამატურგებთან ერთად ჩვენი მხატვრებისა და კომპოზიტორების ყველა თაობის ცნობილი მოღვაწენი არიან ჩაბმულნი.

დაე ის მქუხარე ტაში, რომელიც პირველი სპექტაკლიდან დაექვება, კვლავაც კეთილ მეგზურად გაჰყვეს ჩვენს საყვარელ თეატრს, როგორც იმედი და მადლობა ნორჩი მაყურებლისა.



თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრები: სალიტერატურო ნაწილის გამგე მ. ცხომარია, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. არეშიძე, მთავარი რეჟისორი შალვა გაწერელია, დირექტორი ვახტანგ ლოლაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი თ. თვალიაშვილი, პედაგოგიური ნაწილის გამგე ალ. თაბორიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები მ. ერგნელი და ი. ნინუა საბჭოს მორიგ სხდომაზე.

გოჩა ქალაქ ცხაკაიას მეშვიდე საშუალო სკოლაში სწავლობს, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეა. მისი სკოლის პიონერთა ოთახში მთელი კარადა და მაგიდა აქვს დათმობილი მეგობრების ბარათებს, საჩუქრებსა და სუვენირებს. რას არ შეხვდებით აქ: სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოტანილ ქოთნის ყვავილებს, ყვავილების თესლებით სავსესე პარკებს, ნახატებს, სამკერდე ნიშნებს, თოჯინებს და რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. ნაირფერ კონვერტებს თუ გახსნით, ჩვენი ქვეყნის 14 რესპუბლიკის ენაზე დაწერილი ბარათები შეგხვდებათ, აქვეა სოციალისტური ქვეყნებიდან გამოგზავნილი წერილებიც, გოჩას რაზმეულის ამბებზე რომ შეეკითხებით, მაშინვე ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბ „მზიურზე“ დაიწყებს ლაპარაკს. ამ კლუბს მისი რაზმეულის ცხოვრებაში დიდი ხალისი შეაქვს — ამას წინათ მოეწყო მეგობრობის ზეიმი, რომელზეც მისი რაზმეულის მოწვევით ცხაკაიაში უამრავი სტუმარი ჩამოვიდა.

ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი „მზიური“ სულ სამი წელია, რაც არსებობს. კლუბის თავმჯდომარეა მარინე ძაძამია. საინტერესოდ მუშაობს კლუბთან არსებული მიმოწერის, წითელკვალისმაძიებელთა, ნორჩ თარჯიმანთა და ფილატელისტთა სექციები. აღსანიშნავია ისიც, რომ კლუბის საქმიანობაში რაზმეულის 100-ზე მეტი პიონერი მონაწილეობს.

...ბევრ თქვენგანს ექნება წაკითხული პირველი ამერიკელი პიონერის ჰარი აიზმანის წიგნი — „წითელი ყელსახვევი დოლარის ქვეყანაში“.

გოჩას რაზმეულში ჰარი აიზმანის წიგნი ყველას წაკითხული აქვს. გოჩასა და მის თანატოლებს მეგობრული ურთიერთობა და საქმიანი მიმოწერა აქვთ წიგნის ავტორთან, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს. მის ბარათს სკოლაში ყოველთვის სიხარულით ხვდებიან.

ესტონელი პიონერები სკოლასთან გოჩა ჯოჯუამ და ეკა მანჯგალაძემ დაამეგობრეს. ამ ორი წლის წინათ ისინი ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში რაკვერეს რაიონის ვიზუს პიონერთა ბანაკში ისვენებდნენ, ხოლო საპასუხოდ იმ ზაფხულს ესტონელი ტიინა კლამერი, მაიე იურინე და ტარმო ფეინებაუმი ნაქალაქევის პიონერთა ბანაკს ესტუმრნენ.

...მეშვიდე სკოლიდან თითქმის ყოველ დღე იგზავნება საპასუხო ბარათები, ამანათები რუს, უკრაინელ, ბელორუს, ესტონელ, თურქმენ, უზბეკ პიონერებთან, გერმანელ ტელმანელებთან, კერძოდ, დაუკჰამერის ერიხ ვაინერის სახელობის სკოლაში.




## მისწერეთ ბარათი გოჩა შამუგიას



გოჩა შამუგია

კლუბის მუშაობა მარტო მიმოწერითა და ამანათების გაგზავნით როდი იფარგლება. რაზმეული ოპერაცია „სოლიდარობის" აქტიური მონაწილეა.

ზაფხულის, გაზაფხულის, შემოდგომის თუ ზამთრის არდადეგებზე სკოლაში სტუმრიანობაა, ანდა რაზმეული თვითონ არის მიწვეული რომელიმე მოძმე რესპუბლიკაში.

გოჩას რაზმეულის წარმომადგენლები ქალაქ რიბნიცის მე-6 და მე-7 რუსული საშუალო სკოლების მიწვევით ორჯერ იყვნენ მოლდავეთში. ისინი კარგად იცნობენ მოლდავეთის დედაქალაქს, რიბნიცის თეთრეულისა და ტრიკოტაჟის ფაბრიკას; შარშან უკრაინაშიც იყვნენ, როვნოს ოლქში, სანატორიული სკოლა-ინტერნატის მიწვევით.

როვნოს გახსენებაზე გოჩა ახლაც ღელავს. ეს ქალაქი ხომ დიმიტრი მედვედევის წიგნის — „სულით ძლიერნის" გმირების ადგილსამყოფელია. განა ოდესმე დაავიწყდება მას ლეგენდარული მზვერავის ნიკოლოზ კუზნეცოვის სახლ-მუზეუმი? ქართველმა ბავშვებმა მაშინ გვირგვინები მიიტანეს როვნოს განთავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველთა საძმო საფლავზე. პიონერებს ძალიან მოეწონათ დასავლეთ უკრაინის ეს მეტად ლამაზი კუთხე და განსაკუთრებით — მწვანე მუზეუმი.

მასპინძლებმა თურმე ძალზე გაიხარეს, როცა გაცნობის საღამოზე მათთან მარინა კიტიამ უკრაინულ ენაზე ისაუბრა. გოგონამ თანატოლებს ქართველი და უკრაინელი ხალხის დიდი ხნის მეგობრობაზე მოუთხრო; ლესია უკრაინკასთვის ხომ საქართველო მეორე სამშობლო იყო, დავით გურამიშვილმა კი მათ მიწა-წყალზე ჰპოვა სამუდამო ბინა.

— ეს დღეები არასოდეს დაგვავიწყდება, — ამბობენ გოჩა შამუგია და მისი რაზმეულის პიონერები — მარინე ძაძამია, ქეთინო კუპრეიშვილი, იზა ჩიქობავა და სხვები. ისინი ერთად ჩავიდნენ როვნოში, უკრაინელმა და ქართველმა პიონერებმა დათქვეს, რომ მომავალი შეხვედრა ცხაკაიაში უნდა შემდგარიყო.

ასეც მოხდა.

ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის გამგეობას ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწიეს სკოლის მშობელთა კომიტეტმა და პედაგოგიურმა კოლექტივმა. მათი მთავარი მასპინძლები VI-VII-VIII კლასების პიონერები იყვნენ.

მეგობრობის ფესტივალზე ჩვენი ვრცელი სამშობლოს ყველა კუთხიდან 18 დელეგაცია, სულ 125 მოსწავლე ჩამოვიდა.

ეს დიდი ზეიმი იყო.

სტუმრები რაზმებმა გაინაწილეს, მათ ბავშვები მასპინძლობდნენ. ამ საქმემ ძალიან შეკრა რაზმების კოლექტივები. პიონერულ აქტივს ხომ წამით მოცლა აღარ ჰქონდა! ყველა მკლავებდაკაპიწებული შრომობდა.

დილაადრიან, სკოლისაკენ მიმავალ დელეგატებს ყველა ღიმილით ხვდებოდა; მზიანი დარები იდგა... მეგობრობის ძალასირგვლივ ყველაფერი თითქოს მზის ოქროსფერ სხივებში გაეხვია.

სკოლის ფესტივალის გახსნა მიხა ცხაკაიას ძეგლთან მოეწყო. შემდეგ სტუმრებმა ქალაქი დაათვალიერეს; სკოლის ეზოში მეგობრობის ხეივანს ჩაუყარეს საფუძველი, მეგობრობის საღამო კი თვით ცხაკაიას დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა.

„პიონერი ყველა ქვეყნის პიონერების და მშრომელთა შვილების მეგობარია!"

საბჭოთა კავშირის პიონერთა კანონებიდან

მასპინძლებმა სტუმრებს დაათვალიერებინეს კურორტი მენჯი, ნაქალაქევი, ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ენგურჰესის მშენებლობა...

მეგობრების წასვლის შემდეგ დარჩა დიდი შთაბეჭდილებები, ამაღლებული განწყობილება და გარდა ამისა — სუვენირები, საჩუქრები, ალბომები, სურათები, ეროვნული ტანსაცმელი, ბარათები...

ბარათები კვლავაც უწყვეტ ნაკადად მოდის სკოლაში.

ლატვიელი ლიუდმილა კონფედერატი იწერება:

„ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ უკვე კარგა ხანია ჩამოვედით დაუგავპილსში. ჩვენი დელეგაციის წევრები ანგარიშით გამოვიდნენ სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბისა და პიონერთა სასახლის ინტერკლუბების სხდომაზე. ერთი წუთით არ წყდება ლაპარაკი საქართველოზე. მაინც საიდანა გაქვთ ამდენი სითბო? ჯერ კიდევ მატარებელში მგზავრებს ვუამბეთ თქვენთან სტუმრობისას მიღებულ დიდ შთაბეჭდილებებზე.

ვოცნებობთ მომავალ შეხვედრაზე".

...ბარათების ნაკადი არ წყდება: სტავროპოლი, დაუგავპილსი, სიკტივკარი, სარნა, ჩარჯოუ, ვოლოგდა...

მეშვიდეკლასელები მეგობრებთან გულახდილები არიან, დაუფარავად წერენ მათ სწავლაზე, შრომისმოყვარეობაზე, მისწრაფებებსა და სურვილებზე.

უზბეკი, ესტონელი და უკრაინელი თანატოლები კვლავ ემზადებიან ცხაკაიაში ჩამოსასვლელად.

— ჩვენი ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის „მზიურის" დევიზია — „ერთი მზის ქვეშ!" ერთი მზის ქვეშ გაშლილ საბჭოთა კავშირის 15 მოძმე რესპუბლიკის პიონერთა რიგები ძმობასა და მეგობრობას შეუკრავს. მიხარია, რომ იმ დიდ მეგობრობაში, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის პიონერებს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხის თანატოლებთან აკავშირებთ, ჩემი რაზმეულის წვლილიც არის, — ამბობს გოჩა შამუგია.

ასეც არის.

ცხაკაიას მე-7 საშუალო სკოლაში რაზმეულის საბჭოს, პიონერული აქტივის, პედაგოგთა დიდი დახმარებით საინტერესოდ მუშაობს ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი. გოჩას რაზმეულში კეთილი და დაუზარელი ბავშვები არიან. თუ წერილს მისწერთ, უსათუოდ გიპასუხებენ.

ნათელა ფაილოძე

# ზნეობის



# ანბანი

## ხელგაშლილობა—

**უნარი გაუნაწილო სხვას შენი სახსრები, ქონება და სხვა.**

...საშა ოთახებში დადის, ხან კარადას გამოაღებს, ხან თაროებზე შეიხედავს. ეტყობა, რაღაცას ეძებს.

— საშა, რას ეძებ? — ეკითხება დედა.

— საჩუქარი მჭირდება, დედა. ირამ დამპატიჟა დაბადების დღეზე, ერთ საათში უნდა წავიდე და მაღაზიაში უკვე ვეღარ მოვასწრებ. სახლში ხომ ყოველთვისაა გვაქვს რაღაც ისეთი, რისი წაღებაც შეიძლება.

— მოიცა, რაღაც მოვიფიქრე, — მხიარულად ამბობს დედა. — სამარყანდიდან ჩამოტანილი ფიგურები მაქვს. აგერ ყუთშია და აიღე.

— დედა, როგორ არ გესმის! აბა ერთი შეხედვითაც მიხვდება კაცი, რომ ეგენი ძალიან იაფებია. ასეთი საჩუქრის მიტანა თავის მოჭრაა და მეტი არაფერი.

— არ მესმის, — მკვახედ თქვა დედამ, — რატომ არის თავის მოჭრა?

მან წიგნი გადადო და შვილს შეხედა. რას გამოხატავდა ახლა დედის თვალები? იმას, რომ შვილის ნათქვამს არ ეთანხმებოდა თუ გაკილვასაც?

ის ხომ ძუნწი არ არის და არც უნდა ეგონოთ ძუნწი ირასა და დანარჩენ ამხანაგებს, რომლებიც ამ დღეობაზე იქნებიან.

— დედა, მითხარი, აბა რატომ უნდა ვაჩუქო ეს სისულელე?

— ჯერ ერთი, ეგ სისულელე არ არის, და მეორეც, ახლა ურთიერთობების გარკვევის დრო აღარ დარჩა, წადი, თორემ დაგაგვიანდება. აგერ ზემოთა თაროზე ნოხისებრი ხელსახოცი დევს, მამაშენმა ჩამოიტანა პოლონეთიდან, ძალიან ლამაზია და ძვირფასიც.

ხელსახოცი მართლაც ძალზე ლამაზი იყო, პატარა ნოხივით ღუნღულა.

— არ გენანება? — იკითხა საშამ.

— არა, — მშვიდად მიუგო დედამ.

ირას ძალიან მოეწონა საჩუქარი და თქვა:

— ოი, რა მშვენიერია! საშკა, შენ ყოველთვის რაღაც უჩვეულოს მოიფიქრებ ხოლმე.

იცეკვეს, ითხუნჯეს. არის ხოლმე ისეთი განწყობილება, როცა ყველაფერი სასაცილო გვეჩვენება. საშაც ძალზე მხიარულად იყო. მხოლოდ სადღაც გონების სიღრმეში ჩამჯდარიყო კითხვა.

ქუჩაში ყველანი ერთად გამოვიდნენ. მთვარე ანათებდა, თოვლზე ცისფერი ლაქები იწვა. ირა საშკას გვერდით მოდიოდა განაბული. ბოლოს თქვა:

— უკვე ჩვიდმეტი წლისა ვარ. რა ბევრია, არა? არც კი მჯერა. ჩვიდმეტისა, წარმოგიდგენია?

— იყო ხალხი, ჩვიდმეტი წლისანი პოლკის მეთაურები რომ იყვნენ, — სრულიად უადგილოდ თქვა საშამ და უცებ მიხვდა, რა კითხვაც უტრიალებდა თავში მთელი საღამო: — ბავშვებო! რა არის თქვენი აზრით ხელგაშლილობა? ხელგაშლილი ადამიანი, ძუნწი ადამიანი. გიფიქრიათ ამაზე როდისმე?

— შენ რა, მოგზელანდა რამე? — სერიოჟამ სასაცილოდ აზიდა წარბები. — რას გვეკითხები, შენ თვითონ არ იცი? აი შესვენებაზე მივდივარ სმირნოვთან და ვეუბნები: „სმირნოვ, მომეცი მანეთი". ადამიანურად ვთხოვ, ის კი უარს მეუბნება, არა მაქვსო, მაშინ როცა ჩემი თვალით დავინახე, ბუფეტში დეიდა პოლინამ სამმანეთიანის ხურდა რომ დაუბრუნა.

— რა უბრალოდ გამოგიდის ყველაფერი — თქვა საშამ. — მანეთი თუ მოგცა ხელგაშლილია, თუ არ მოგცა — ძუნწი. სმირნოვი შესაძლოა მართლაც ძუნწია, მე არ ვიცი, ოღონდ საქმე ამაში როდია, მანეთი არ არის მთავარი.

დანარჩენები არ აყვნენ საშას და სერიოჟას. საუბარი არ გამოვიდა.

— ტრამვაი მოდის! ჩავსხდეთ! — დაიყვირა სერიოჟამ და პირველი შეახტა ვაგონს.

ტრამვაის ხმაურში გაისმა მისი ხმა:

— ყველასათვის ვიღებ ბილეთებს. მე ხელგაშლილი ვარ.

— ბოთე, — გაწიწმატდა ლარისა, — სულელი ბოთე!

— ნუ ჩხუბობთ, — გააჩერა საშამ. —დღეს ისეთი კარგი საღამოა, მხიარული, მეგობრული.

შინ მისულს დედამ ჰკითხა:

— კარგი დრო გაატარეთ?

— ძალიან კარგი, — მიუგო საშამ. — ბევრი ვიცინე, ვიცეკვე, ვიფიქრე და რაღაც დასკვნებამდეც მივედი.

დედამ დაკვირვებით შეხედა ვაჟიშვილს, დიდხანს უცქირა, შემდეგ გაიღიმა და უთხრა:

— მოაზროვნე მყავხარ. დაწექი... დილით ადრე ხარ ასადგომი. შემდეგ ერთხანს იყუჩა და დასძინა: — ასეც ვიცოდი, რომ დასკვნას გააკეთებდი. ცხადია, ერთბაშად არა, მაგრამ ეგ არაფერი.

რაზეა საუბარი? ადამიანურ გულუხვობაზე, ხელგაშლილობაზე. ძნელია ეს მცნება ვიწრო გაგებით შემოფარგლო — ფული, საჩუქრები. სულიერი გულუხვობა, მოქმედების გულუხვობა, გულუხვობა მეგობრობაში, სიყვარულში— ყველაფერი ეს ადამიანური სითბოს მარაგზეა დამოკიდებული. ერთი უფრო მეტს გაიღებს, ვიდრე მიიღებს და ეს ახარებს. მეორე მხოლოდ და მხოლოდ იღებს. იგი ადამიანებისაგან იღებს ყურადღებას, თანაგრძნობას, დახმარებას. ასეთი ადამიანები იშვიათად არიან ბედნიერები. ისინი ღარიბნი არიან მეგობრობით, მათთვის უცნობია უკანმოუხედავად, უანგაროდ გაცემის სიხარული.

ხელგაშლილი ადვილად გასცემს, მას ეს სიამოვნებს და აი აქ გვინდა დავსვათ ერთი შეკითხვა: გასცეს რა? გასცეს ვისი? საშა დაჟინებით თხოულობდა საჩუქარს დედისგან. თავისთვის კი არა, სხვისთვის. ეს გულუხვობაა? დიახ. ოღონდ საშასი კი არა, დედამისის. საშა რა შუაშია? თითქმის არაფერ შუაში. ის მოსწავლეა, ფულს არ შოულობს, ნივთებს არ ყიდულობს. და, ცხადია, საჩუქარი მისგან არ არის. ეს საყვედური არ გეგონოთ საშას მიმართ. დადგება დრო, ის იმუშავებს და ხელფასს მიიღებს. ამას გარდა დედასაც არ ენანება შვილისთვის რაიმე. საქმე აქ ნოხისებრი ხელსახოცის ღირებულებაში როდია, არამედ ამ ფაქტის მორალურ მხარეში. რაზე თქვა უარი საშამ? ანდა რა მისცა საშამ

ადამიანს, ვინც მისგან ეს საჩუქარი მიიღო?

არსებობს ასეთი გამოთქმა: „სხვის ხარჯზე გულკეთილი“. ახლა მეორე მხრიდან შევხედოთ. თუ ადამიანი სკოლაში სწავლობს, მაშასადამე, მან თავის ამხანაგებზე ფული არ უნდა დახარჯოს? არ შეუძლია ორი ბილეთი იყიდოს და გოგონა თეატრში დაპატიჟოს? თუ ბილეთის ღირებულება მანეთნახევარი უნდა გადაახდევინოს? რა ციფრებით, რა ღირებულებით უნდა შემოიფარგლოს მისი შესაძლებლობები? თეატრის ბილეთი ძვირია და ამიტომ კინოში წაიყვანოს?

რა მოსაწყენი და კაზიონური იქნებოდა ეს საუბარი მხოლოდ და მხოლოდ ციფრებს რომ დავყრდნობოდით. რასაკვირველია, საქმე ღირებულებაში არ არის, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ მატერიალური მხარე სრულიად გამოვრიცხოთ მორალურისაგან.

გოგონას მოუნდა მოდური კაბა და მის შესაძენად ფული რომ შეეგროვებინა, გაკვეთილების შემდეგ დეპეშების დატარება დაიწყო. საკუთარი შრომით ნაშოვნი ფულით იყიდა კაბა. უთუოდ ეს კაბა იყო მისთვის ყველაზე ძვირფასი, არა მარტო იმიტომ, რომ მოდური იყო, არამედ იმიტომაც, რომ თვითონ იყიდა. გასაგებია.

იმავე დაბადების დღეზე სერიოჟამ მოიტანა უბრალო ავტოკალამი. ამას განსაკუთრებული აზრი ჰქონდა: ირა ძალიან ხშირად კარგავდა კალმებს.

სერიოჟამ ამ კალამში სულ 30 კაპიკი გადაიხადა, მაგრამ ძალზე მხიარული ლექსი შეთხზა იმაზე, რომ ირა კალმებს კარგავს... იქნებ სულაც ამ ლექსმა დაუდო სათავე იმ საღამოს მხიარულებას?

სერიოჟამ თვითონ მოიფიქრა, თვითონ გამოიჩინა გამომგონებლობის უნარი.

ლარისამ იმ დღეს განსაცვიფრებელი კომბოსტოს ღვეზელი გამოაცხო და ლანგარზე დადებული მოიტანა.

ღვეზელი თვითონ მოიფიქრა, თვითონვე გამოაცხო — არ დაინანა მეგობრისათვის დრო და ენერგია.

საშა, ცხადია, ძუნწი არ არის, მაგრამ ჭერჭერობით არც ხელგაშლილია.

ძუნწი ადამიანი, ჩვეულებრივ, მარტო ფულზე როდია ხარბი. თითქმის ვერ შეხვდები კეთილ, გულღია ადამიანს, რომელიც ფულის გარდა სხვა ყველაფერშიც ხელგაშლილი არ იყოს!

ხშირად კი ასეც ხდება. ადამიანს ფულის დახარჯვა არ ენანება, მაგრამ სულიერი სითბოს გაღება აზრადაც არ მოსდის. მეგობარი ფულს ესესხება, — ინებე. როცა შესაძლებლობა გექნება, მაშინ მომეცი. ავადმყოფი მეგობრის სანახავად კი არ წავიდა. აპირებდა, დღეს, ხვალ და ამასობაში მეგობარი გამოკეთდა კიდეც. ხდება ასეთი? დრო ვერ გამონახა? თუ სულიერი სითბო?

დიდი და კეთილი მწერალი ანტუან დე სენტ ეგზუპერი თავის ერთ-ერთ წიგნში წერდა: „ერთადერთი მომქმედი იარაღი — თავგანწირვაა“. თავგანწირვაზეა აღმოცენებული გმირობა, სიყვარული, ჭეშმარიტი მეგობრობა. საკუთარ თავზე მხოლოდ და მხოლოდ ბოლოს.

თავგანწირვა დიდი რამ არის. ყოველდღიურ ცხოვრებაში იგი იშვიათად გვხვდება. სიკეთე, გულუხვობა, გულისხმიერება კი ადამიანური ცხოვრების ყოველდღიური თანამგზავრია.

ლ. მატვეევა



სალამანდრები, ოქროსფერი არწივები და ირიომოტეს კატები

იაპონიაში არსებობს ცრურწმენა: ვინც სალამანდრის ნაზ ხორცს შეჭამს, გაახალგაზრდავდება. ეტყობა, გაახალგაზრდავების ეს მარტივი საშუალება ბევრ იაპონელს ჭკუაში უჯდება. ამას მოწმობს ის ამბავი, რომ ამ უწყინარი წყალხმელეთა ცხოველის დაჭერას ისე ენერგიულად მიჰყვეს ხელი, მას არამცთუ ბუნების წიაღში, ზოოპარკშიც კი ვერ ნახავთ. ამას წინათ, იაპონიის ზოოპარკებიდან გაქრა ყველა სალამანდრა, თანაც ისე, რომ პოლიციამ ქურდის კვალი ვერ აღმოაჩინა. ყოველივე ამის გამო იაპონიაში სალამანდრას ამჟამად განსაკუთრებული სახელმწიფო კანონი იცავს.

საერთოდ, იაპონიაში გადამჭრელ ზომებს იღებენ ფაუნის იშვიათ წარმომადგენელთა დასაცავად. მაგალითად, არაფერს იშურებენ, რომ არსებობისათვის საჭირო პირობები შეუქმნან კუნძულ კონსოს მთებში მობინადრე ოქროსფერ არწივებს, რომელთაც სრული გადაშენება ემუქრება.

კუნძულ ირიომოტეზე მობინადრე გარეული კატების რაოდენობა ამჟამად მხოლოდ 30-40-ს აღწევს. მათ უკვე ცოცხალ ნამარხებად თვლიან, თუმცა მარტო 1965 წელს აღმოაჩინეს ისინი. ახლა ცდილობენ, რადაც უნდა დაუჯდეთ, შეინარჩუნონ ეს კატები.

რას ეწეოდა რამზესი?

აქამდე ყველას ეგონა, რომ თამბაქოს არსებობა ევროპელებმა ძველმა სამყარომ მხოლოდ მას შემდეგ გაიგო, როცა კოლუმბმა ამერიკიდან ჩამოიტანა ამ მცენარის თესლი, გამხმარი ფოთლები და ინდიელთა ჩიბუხები. მაგრამ ახლახან ფრანგმა მეცნიერებმა ეს აზრი ეჭვქვეშ დააყენეს. პარიზში რამზეს მეორის მუმიის გამოკვლევისას მის კანში ნიკოტინის კვალი აღმოჩნდა. გამოდის, რომ ეგვიპტის ფარაონი, რომელიც კოლუმბის დაბადებამდე 2700 წლის წინათ გარდაიცვალა, თავგამოდებული მწეველი ყოფილა. ფრანგი სპეციალისტების ეს ვერსია თუ დადასტურდა, უნდა გაირკვეს, მოჰყავდათ თუ არა თამბაქო ევრაზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათასწლეულის წინათ. თუ არ მოჰყავდათ, მაშინ საიდან გაჩნდა იგი ფარაონის ხელში?



ფრინველი სამხრეთ პოლუსზე

მეზღვიები ანტარქტიდის სანაპიროებთან ბინადრობენ, ყინულოვანი კონტინენტის სიღრმეში ისინი არ დაფრინავენ — იქ საკვები არ არის. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია ამერიკელი პოლარელის ჰილის გაოცება, როცა მან სამხრეთ პოლუსთან, სამეცნიერო სადგურ „ამუნდსენ-სკოტის“ ახლოს მეზღვია დაინახა. ჰილიმ მას სამი მეტრის მანძილიდან სურათი გადაუღო. საინტერესოა, რამ მიიყვანა ეს ფრინველი ყინულოვანი უდაბნოს სიღრმეში საბუდარიდან 1300 კილომეტრით დაშორებულ ადგილას?




# მაია წუნეთელი

მაია წუნეთელი სახალხო გმირია. ხალხმა არ დაუკარგა სამშობლოსათვის გაწეული ამაგი, გულში ღრმად შეინახა მისი გმირული თავგადასავალი და ზეპირსიტყვიერების სახით გადმოსცა შთამომავლობას.

მაია წუნეთელი რომ სოფელ წუნეთის მკვიდრი იყო, ეს მისი გვარ-წოდებიდან დასტურდება. მისი გვარი კი, გადმოცემით, ოძელაშვილი ყოფილა.

როგორც ცნობილია, ოძელაშვილები ოდითგანვე სოფელ მარაბდის მკვიდრნი იყვნენ, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომელიმე ოძელაშვილს სოფელ წუნეთშიც ეცხოვრა. დედა მაიას მცხეთელი ჰყოლია.

მაია წუნეთელის მშობლები, როგორც ჩანს, გაბაშვილთა ყმები იყვნენ — XVIII საუკუნეში წუნეთი და მისი მიმდებარე მამულები თავად გაბაშვილთა სამფლობელოს წარმოადგენდა.

მაია რომ წამოიზარდა, თვალტანადი გოგო დადგა. ყველას მასზე ეჭირა თვალი; ბატონმა არ დაინდო მისსავე კარზე აღზრდილი გლეხის გოგო და მძიმედ შეურაცხყო. მაიას მშობლებს თავზარი დასცა ამ ამბავმა. მალე ისინი ბატონის უდიერმა მოპყრობამ იმსხვერპლა. ობლად დარჩენილმა მაიამ გადაწყვიტა მშობლიურ სოფელს გასცლოდა. ნაწნავები ძირში შეიჭრა, ბიჭის ტანსაცმელი გადაიცვა, მამის იარაღი აისხა, მისი ქუდი დაიხურა, სახლის კარები გამოკეტა და თბილისისაკენ დაეშვა.

თავისუფლებისმოყვარე და ბრძოლის ჟინით აღტყინებული მაია წუნეთელის ფიქრი და ოცნება ის იყო, როგორმე ხლებოდა მეფე ერეკლეს და მისი მოლაშქრე გამხდარიყო. დიდი სიძნელის მიუხედავად, ამაყმა მაიამ მიზანს მიაღწია. მეფეს პირისპირ წარუდგა და შეჰკადრა: „მეფეო მწყალობელო, მე ვარ ობოლი ბიჭი, სახელად მათე, სამეფო ყმობაში მიმიღეთო". მეფემ წყალობის თვალით შეხედა მაიას და ბრძანა: ჩემს ლაშქარში ჩარიცხეთო.

მაია წუნეთელი ბავშვობაში თოფის სროლასა, ხმალში გასვლასა და ცხენზე ჯდომაში ნავარჯიშევი იყო, თავის ტოლ ბიჭებს არაფერში ჩამოუვარდებოდა. ავი დრო იყო — ქალებიც სწავლობდნენ იარაღის ხმარებას.

მალე კახეთს ლეკები დაესხნენ. მეფე ერეკლეს რაზმმა დაამარცხა და გაფანტა ლეკთა ბრბოები. ამ ბრძოლაში მათე-მაიამ ყველაზე მეტად გამოიჩინა თავი.

აღტაცებულმა მეფემ მოიხმო იგი, ყველას თვალწინ გადაეხვია, თვალებში აკოცა და წამოიძახა: ახ, შენ კი გენაცვალე, კაციც შენა ყოფილხარ და ქუდიც შენა გხურებიაო!

ამის შემდეგ მეფე გვერდიდან აღარ იშორებდა მათე-მაიას.

ერთხელ მაია წუნეთელი სამეფო სასახლის წინ დაფიქრებული დადიოდა. იქვე ახლოს მოხუცი გლეხი შენიშნა. გლეხმა ჩაცმულობაზე შეატყო, რომ სასახლის ყმა ან მსახური უნდა ყოფილიყო.

— ვის ელოდები, მოხუცო? — შეეხმიანა მაია.

— მეფეს მინდა არზა მივართვა, შვილო.

— რის შესახებ, მოხუცო? — ჰკითხა მაიამ.

— იმაზე შვილო, რომა სოფელმა გამომგზავნა მოწყალე მეფესთან. ჩვენმა მრისხანე ბატონმა ლილოდან თორმეტი გოგო-ბიჭი მიჰყიდა უწყალო თათრებს. იმათი საცოდაობით დავიწვი.

—მომეცი არზა, მეფის კაცი ვარ.

მოხუცმა არზა გადასცა და პირი იბრუნა.

მათემ თავისი რაზმით ლილოსაკენ გაქუსლა. გზაზე თათრებს წამოეწია, თავს დაესხა, გაანადგურა და გათავისუფლებული გოგო-ბიჭები თბილისში ჩამოიყვანა. თვითონ კი გაბედულად წარუდგა მეფეს და უთხრა: „დიდებულო მეფეო, ნება მიბოძეთ რამდენიმე საჩივარი მოგახსენოთ, რაც მე გულს მაწევს ჯავრად".

— სთქვი, შვილო, ნურა გერიდებარა.

მათე-მაიამ ყველაფერი უამბო და შემდეგ გოგო-ბიჭები წარუდგინა.

მეფემ შეაქო მათე-მაია, კანონის დამრღვევებს კი სასჯელი გაუჩინა.

მაია წუნეთელმა არაერთხელ იშიშვლა ხმალი სამშობლოს დასაცავად და სახელიც კარგი დაიგდო. იგი თავგადადებული დამცველი იყო დაბეჩავებული ხალხისა, მოძულე და მტერი ავზნიანი ბატონებისა.

საქართველოსა და სპარსეთის საზღვარზე ერთ-ერთი ომის დროს მაია წუნეთელი თავისი რაზმით უშიშრად შეიჭრა მტრის ჯარში, მიუხტა მეთაურს და ხმლის ერთი მოქნევით თავი გააგდებინა. მტრის რაზმები აირ-დაირია და სასტიკად დამარცხდა. მეფემ თავისი თვალით იხილა მათე-მაიას გმირობა, მიიხმო თავისთან და გახარებულმა უთხრა: დღეის შემდეგ ღვიძლ შვილად მიმიჩნევიხარ; ნებას გაძლევ ამის მერე მამად ჩამთვალოო.

მაია წუნეთელი, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, შინაური ავკაცების მტერიც ყოფილა, ამიტომ ამბობს ხალხური ლექსი:

მათე-მაიას ჭირიმე,
იყავ ფალავან-გმირია,
უზნეო ბატონებისა
სიკვდილამდე დიდი ჭირია.

ერთხელ მტრები და მოშურნეები სამეფო რაზმის ტანსაცმლით შეიმოსნენ და გზად მიმავალ მაია წუნეთელს თავს დაესხნენ. უნდოდათ მოეკლათ. მაიამ იმარჯვა, ერთის გარდა ყველა დახოცა. ის ერთი შეიბრალა, ცოცხალი გაუშვა და თან უთხრა: „შე ოხერო და შერცხვენილო! აბა რა გერგებათ ჩემგან, რომ ჩემი სიკვდილი გაგიზრახავთო". ცბიერმა მტერმა მიუგო: „ჩვენ კი არა, თვითონ მეფეს უნდა შენი მოკვლაო".

მაია წუნეთელმა გაიფიქრა: ნუთუ ერთია დამსახურება და ავკაცობაო. მეფემ ნეტავი რად გამიმეტა სასიკვდილოდაო. სიფრთხილეს თავი არა სტკივაო. გადაწყვიტა მშობლიურ სოფელს შეჰკედლებოდა და ასეც მოიქცა. შეიძლება თვითონ წუნეთის მებატონემ მოძებნა თავისი ყმა და უკან დააბრუნა.

ამაყმა და თავისუფლებისმოყვარემ მაინც ვერ აიტანა ყმობა, გამოიპარა და თრიალეთის მთებს შეეხიზნა.

ხალხური მოლექსე მაიას ათქმევინებს:

ქართლიდან გამოვეპარე
ბატონს პატარა ქალიო,
თან წამოვიღე საგძლათა
შიში და ცრემლის ღვარიო;
თრიალეთის ხევ-ღნარებში
შევინახევი თავიო.

მაია წყნეთელს საცხოვრებელი ადგილი გამოუცვლია და სომხითის ერთ სოფელში დასახლებულა. თბილისში და მის შემოგარენში ხმა დაუგდიათ, მათე-მაია დიდი ხანია მოკვდა და მისი ასავალ-დასავალი არავინ იცისო. მაგრამ აი, ერთხელ მეფე ერეკლე თავისი რაზმით ჯერ თრიალეთში და შემდეგ სომხითში მისულა. შეიარაღებული ხალხი მეფეს მეზობელ სოფელში აცილებდა (მაშინ წესად იყო, სადაც მეფე მივიდოდა, იქაურ მკვიდრთ მეზობელ სოფლამდე მშვიდობით უნდა მიეცილებინათ). ამ დროს მეფის რაზმი მოთარეშე თათრებს გადაეყარა. ბრძოლა გაჩაღდა. მეფის რაზმს შეიარაღებული სოფელი მიეშველა. მტერი დამარცხდა. მეფემ მიიხმო მაშველი რაზმის მეთაური და ჰკითხა: „ვინა ხარ, ძმობილო, ეგეთი გმირიო". მაია წყნეთელი გაბედულად მიეახლა და უპასუხა: — „ნუთუ ვერა მცნობთ, მათე-მაია ვარ წყნეთელი. თქვენ რომ მოსაკლავად დამდევდით, თრიალეთს შემოვეხიზნე, ავკაცებს ვდევნიდი და კიდევაც ვხოცავდი. ბოლოს ამ სოფელს შემოვეფარე. მე ვარ ქალი და არა კაცი, როგორც აქამდე მიცნობდით".

მეფე და მისი მხლებელნი დიდად განცვიფრებულან, ნუთუ ქალმა ასეთი გმირობა ჩაიდინაო. მეფემ უთხრა მაიას:

„აბა ეგ როგორ დაიჯერე, შენნაირ გმირს სასიკვდილო რა სჭირდაო. ღვთისა და მეფის მტერს როგორ დავჯერებოდაო. გეპატიოს ყველა დანაშაული და თბილისს დაბრუნდიო". მაია წყნეთელი მალე თბილისში დაბრუნდა, სამეფო სასახლეში დაიდო ბინა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ სპარსეთის შაჰი საქართველოში შემოიჭრა და სამ დღეში თბილისს მოადგა. მაია წყნეთელმა შემოიკრიბა წყნეთელები და სამშობლოს დამცველთა რიგებს მიუმატა. კრწანისთან გააფთრებულ ბრძოლაში მაიას რაზმი ერთი პირველთაგანი შეიჭრა მტრის ურდოში და გადაქელა. მტერმა კარგად დაინახა, როგორ შეუპოვრად იბრძოდა რაზმის მეთაური. მტრის რაზმების მეთაურებს უბრძანებიათ: „ცოცხლად შეიპყარით ეს ქალის ტანისამოსში გადაცმული ჯადოქარიო". მაიას რაზმი მთლიანად მტერს შეაკვდა. თვითონ მაია კი ტყვედ ჩაიგდეს.

ხალხური მოლექსე მაიას პირით გადმოგვცემს:

ომი მოგვიხდა თათრებთან
სულ გასწყდნენ წყნეთელებიო,
აღარა დარჩნენ გმირები,
ატირდნენ კლდე და მთებიო.

სპარსელებმა თბილისსა და მის შემოგარენში ტყვედ იგდეს 30.000-მდე კაცი და ქალი, მოხუცი და ახალგაზრდა. მათ შორის ბავშვებიც. ტყვეთა შორის იყო მაია წყნეთელიც, რომელიც თოკით მაგრად შეებოჭათ.

ტყვეები პირველად სოღანლუღის ველზე დააბანაკეს და შემდეგ სპარსეთისაკენ გაამგზავრეს. მდინარე არეზის პირას, სპარსეთისა და საქართველოს საზღვარზე ტყვეთა განაწილება დაიწყეს. მანამდე კი, ჯერ კიდევ თბილისში, სარვანის მინდორზე განჯის ხანმა ჯავადმა ათასი ტყვე შეისყიდა და განჯაში წაიყვანა. სამწუხაროდ, მაია წყნეთელი ამ ტყვეთა რიცხვში არ მოხვდა (ეს ტყვეები მალე მეფე ერეკლემ გამოიხსნა და თბილისში დააბრუნა).

მდინარის პირად მყოფმა მაია წყნეთელმა როგორც იყო მოახერხა, დაწყვიტა თოკები და უბელო ცხენზე გადამჯდარმა ტყვეობას თავი დააღწია. აბა, რა იცოდა მაიამ, თუ მდევარი ყიზილბაში უკან ფეხდაფეხ მოსდევდა. ერევნის სანახებში ქართველი გმირი ქალი მტერს შეაკვდა. ქართველებმა მონახეს მისი გვამი და იქვე მიწას მიაბარეს.

დღემდე გარკვეული არ ყოფილა, როდის და რომელ ომში ჩავარდა ტყვედ მაია წყნეთელი.

როგორც ცნობილია, მეფე ერეკლემ ომები აწარმოა: 1750-1751 წლებში მამად-ხანთან, 1752 წელს — აზატ-ხანთან; 1779 წელს — ერევნის მფლობელ ჰუსეინ ალი-ხანთან და 1795 წელს — აღა-მაჰმად-ხანთან კრწანისში.

მაია წყნეთელმა რომ კრწანისის ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და აქვე იქნა ტყვედ წაყვანილი, ეს დასტურდება იმავე ხალხური ლექსით, რაც მის დროშივე უნდა შეთხზულიყო. ლექსში ნათქვამია:

დაკოდილი ყაენის დროს
ამბავი ესე მომხდარა.

დაკოდილი ყაენი, ე. ი. საჭურისი ყაენი აღა-მაჰმად-ხანი იყო, რომელიც საქართველოს თავს დაესხა 1795 წელს.

მაშასადამე, მაია წყნეთელი სწორედ კრწანისის ბრძოლის დროს ჩავარდა ტყვედ და მდინარე არეზის პირას ჰპოვა აღსასრული.

ქართველმა ხალხმა ამ სიტყვებით დაიტირა გმირი მამულიშვილი მაია წყნეთელი:

შარაზედ იწვა უძრავად
ხანჯლით დაჭრილი ქალია,
მოძმეთა ნახვას ნატრობდა
თბილელი ქალი მაია...
ბედმა უმტყუნა საბრალოს,
არ აუსრულდა წადილი,
ერევნის ბოლოს დიაცსა
მოხადეს ლეჩაქ-მანდილი.

**ვ. სიდამონიძე**

---

## ახალი წიგნები

**ალექსანდრე პუშკინი**

**მცირე ტრაგედიები**

უეჭველია, ყველა თქვენგანი იცნობს დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის სახელს, წაგიკითხავთ ან სკოლაში შეგისწავლიათ ბევრი მისი ლექსი და მოთხრობა. მაგრამ შეიძლება ზოგმა არც კი იცოდეს, რომ პუშკინის გენიალურ კალამს ეკუთვნის დიდი ოსტატობით დაწერილი ტრაგედიებიც. ამ ხარვეზს წარმატებით შეგვივსებთ „ნაკადულის" მიერ ამას წინათ გამოცემული „მცირე ტრაგედიები", რომელშიც შეტანილია სამი ნაწარმოები: „ძუნწი რაინდი", „მოცარტი და სალიერი" და „ქვის სტუმარი" („დონ ჟუანი").

ეს წიგნი შესანიშნავ სამსახურს გაგიწევთ აგრეთვე იმით, რომ მასში დაბეჭდილია ორიგინალიც: წყვილ გვერდებზე მოთავსებულია რუსული ტექსტი, ხოლო კენტ გვერდებზე—შესაბამისი ქართული თარგმანი. ამასთანავე შეგიძლიათ დარწმუნდეთ, თუ რა ოსტატურად უთარგმნია ტრაგედიები თამაზ ჩხენკელს.

წიგნი მდიდრულად არის გაფორმებული, მას ამშვენებს მზია დედანაშვილის მოხდენილი ილუსტრაციები.





სერვანტისა და წიგნის კარადის მინამ წკარუნი იცის. მინას ზედა ძგიდეზე ლეიკოპლასტი გადააწებე და ხმაური შეწყდება. (თუ მინის ბუდე ძალიან ფართოა, ლეიკოპლასტი რამდენიმე ფენად უნდა დააწებო).

ნესტიან სადგომში სარკე მალე ფუჭდება — ამალგამა ეცლება. დაზიანებულ ადგილზე ფოლგის ნაჭრები მიაწებე. მართალია გამოსახულება ბევრად არ გაუმჯობესდება, მაგრამ სარკე სახიამოვნო იერს იღებს.

ძნელად მისადგომ ადგილას ხრახნის მოხსნა ან ჩახრახნა რომ გაგიადვილდეს, სახრახნისის ლითონის პირზე რეზინის მილი ჩამოაცვი. ეს მილი ხრახნს თავზე წამოეცმება და იგი ვეღარსად გაიქცევა.

ხეხილის მოსანიშნავად (მარკირებისათვის) კარგი იქნება თხელი ალუმინის ფურცლის გამოყენება — ზედ ამოჩხაპნილი წარწერა დიდხანს ძლებს და იკითხება.

მაცივრის საყინულეში შეწყობილი პროდუქტი ხშირად ისე იყინება, რომ მისი გამოღება ჭირს. საყინულეში ხის ან პლასტმასის ფიცარი ჩადე და პროდუქტი ზედ დააწყე.

ვისაც ბინა გაურემონტებია, იცის თუ რამდენ ძნელია კედელზე სწორი ხაზის გავლება. საამისოდ ქაღალდის სერპანტინი შეიძლება გამოიყენო, მას ცალ პირზე წებო წასცხე და კედელზე მიაწებე.

თუ საკინძეზე რეზინის პაწია მილაკს ჩამოაცვამ, საკინძე აღარ იხრიალებს და ღილკილოდან აღარ ამოძვრება.















# სარჩევი

„საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები" . . . . . . . გარკ. 2 გვ.
იოსელიანი ო. — მტრედებს გამოტანებული ბარათები ანუ მუხლზე დაწერილი მოთხრობები (გაგრძელება) . . . . . 2
აბდალაძე გ. — კაშკაშებენ ვარსკვლავები (ნარკვევი) . . . 9
დიდი მეცნიერის მოსაგონარი (აკადემიკოსი ილია ვეკუა) 12
დიდიმამიშვილი ე. კინოკადრები ჩვენი; მაესტრო-გოგონა (ლექსები) . . . . . . . . . 14
ჩხეტიანი მ. — ერთი ცისფერი ბილიკი; ვარსკვლავი (ლექსები) . . . . . . . 14
მიქაძე ქ. — ციხე (ლექსი) . . . . . . . . 14
ჟუმბურიძე ზ — ეძიებდე და ჰპოვებდე (წერილი) . . . 15
კამოვი ბ. — გაიდარის ჩანთა (დასასრული) . . . . . . 16
ა ი ს ი . . . . . . . . . 22
ჭილაშვილი ქ. — ქართული კულტურის ცხოველი კერა (წერილი) . . . . . . . . . . 24
ფაილოძე ნ. — მისწერეთ ბარათი გოჩა შამუგიას (წერილი) 27
ზნეობის ანბანი — ხელგაშლილობა . . . . . . 27
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . . 29
სიდამონიძე ვ. — მაია წყნეთელი (წერილი) . . . . . 30
ახალი წიგნები . . . . . . . . . . 31
გ ა მ ო გ ა დ გ ე ბ ი . . . . . . . . . 32
ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი . . . . . . . . გარეკ. 8 გვ.

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა თამაზ ხუციშვილისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 26/I-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/III-79 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 299 ტირ. 150.750. უე 07873.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

 © „პიონერი", 1979 წ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

# კ რ ო ს ვ ო რ დ ი

თარაზულად: 5 საუბარი რამდენიმე პირს შორის; 6. სუბტროპიკული მცენარე; 9. საბრძოლო ჯავშნიანი მანქანა; 10. დესპოტიზმი; 12. შეტყობინება, უწყება; 16. ხმოვანთმონაცვლეობა; 18. სახელმწიფო; 19. აფრიკის ცხოველი; 20. ოპტიკური მინა; 21. ხორცოვან-ფოთლოვანი მცენარე მექსიკაში; 25. ზოროასტრის სარწმუნოების წმინდა წიგნების კრებული; 26. მისაღები თანხის ნაწილი; 27. ერთ-ერთი სახელმწიფოს დედაქალაქი; 30. საუბრის დროებითი შეწყვეტა; 31. წონის ერთეული ძველ რომში; 32. კანფეტი.

შვეულად: 1. ქიმიური ელემენტი; 2. რესპუბლიკის დედაქალაქი; 3. მორიგეობა გემზე; 4. ნელი, ლირიკული ცეკვა ბალეტში; 7. ლითონის ჭურჭელი; 8. ერთგვარი ქსოვილი; 11. ტექსტის ნაწილი; 13. ქართლის ძველი სამეფო; 14. ორგანიზმის ქსოვილებისა და კუნთების მოდუნება; 15. ჰორიზონტალური კოორდინატი; 17. ოპტიკური ხელსაწყო; 20. კომპოზიტორი; 22. ტროპიკული მცენარე; 23. სახელმწიფო ევროპაში; 24. ცეცხლგამძლე თიხა; 29. სახელმწიფო აზიაში; 30. სისხლძარღვთა კედლების ძგერა.



კახაბერ ბუაჩიძე,
თბილისის 57-ე საშ. სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

## „ყოჩაღი" ლაშა

მხიარული ლექსი

პატარა ლაშას ბუნების
წიაღში უყვარს ყოფნა
და ზამთრის არდადეგებზე
პაპას ეწვია სოფლად.
შემოიკრიბა ტოლები:
იამზე, დათო, გოგა,
ხან გუნდაობით გაერთო,
ხან აჭირითა ციგა.
პაპასაც წაჰყვა შეშაზე
იმ სოფლის გაღმა მხარეს,
ურმის კოფოზე წამოჯდა,
სახრე გადაჰკრა ხარებს...
—ალბათ სკოლაშიც ყოჩაღობ,
რომელ კლასში ხარ, შვილო?
— მეხუთე „ა"-ში
ვსწავლობ და
რაც შემიძლია, ვცდილობ,
—მეხუთე კლასში ხომ გასულ
წელს დადიოდი, ლაშა?!
— არა, პაპილო, მეხუთე
„ბ"-ში ვიყავი შარშან.

შ. ამირანაშვილი

## გამოცანები

ვერ დაინახავ თვალებით,
ის თან მოჰყვება ზამთარს,
ფანჯრის მინებზე უფუნჯოდ
სხვადასხვა სურათს ხატავს.

გ. შეთეკაური

მუშაობენ, რომ ოჯახში
სანოვაგე შემოზიდონ,
მტრისად პასუხგასაცემად
შუბები აქვთ ყველას თითო.
უქნარებს და მუქთახორებს
უმოწყალოდ სპობენ თვითონ.

რკინის ყუთში შეპყრობილი
ზამთარი გვყავს პატიმარი
სანოვაგეს გვინახავს და
მომდურავი არვინ არის.

წინ გარბის მოუსვენარი
ფაფარაშლილი მერანი
ჩვენ იმას, როგორც მონები,
ვემორჩილებით ყველანი.

გ. მარცვალაშვილი



## გამოცანები

დიდიც არის, მცირეც არის —
სულ სხვადასხვა ჯურის,
უთვალავჯერ გაგვიწია
კარგი სამსახური.
მთელ მსოფლიოს
გადაგვიშლის —
საქმეს შვრება ზღაპრულს.
სად არ ნახავთ მას კედელზე
გაშლილსა და გაკრულს...

არც ჭა არის და არც ონკანია,
არვის უნახავს იგი მძინარე.
ამოჩუხჩუხებს ქვეყნად
რამდენი!
წარმოიქმნება მათგან მდინარე.

ა. წერეთელი.

სხვას ავსებს,
თვითონ ცარიელია,
თუნდაც ჩაასხა შიგ ოკეანე.

მიწაში ფეხზე დგას,
მიწაზე — წაქცეულია;
ღვინოს შეასმევენ,
რამდენიც სწყურია.

ვ. მაგრაქველიძე.

### პასუხი № 2-ში დაბეჭდილ ცხრაკლიტულზე

### კ რ ო ს ვ ო რ დ ი

შვეულად: 1. პრემიერა; 2. ალავერდი; 3. ბრომი; 5. პერუ; 6. ფიჩხი; 9. ასპექტი; 10. ბეჟი; 11. დიაფრაგმა; 12. ანი; 13. ალიზი; 14. ნამიბია; 15. ლია; 21. ევროპიუმი; 22. სიო; 23. აია; 25. კუზი; 27. ჟანრი; 30. ლიონი; 31. ნოდია; 33. ტბა; 35. უზბეკეთი; 38. ძერა; 39. ოხრახუში; 41. ონი.

თარაზულად: 1. პლანტაცია; 4. რთული; 7. ალო; 8. ჩაი; 11. დომინიკა; 14. ნიგერია; 15. ლესიჭინე; 16. ლაილა; 17. მალი; 18. რიონი; 19. აზარმაცი; 20. მილი; 22. სია; 24. ოკა; 26. სტაჟი; 28. ნარი; 29. ალაზანი; 32. ტოტია; 34. ავლანეთი; 35. უთო; 36. ნაძვი; 37. დრო; 40. იოსელიანი. 42. იდეა.

### გამოცანები

ელექტრონი; სასუქი; მზესუმზირა.



გურია. გუბაზოულის ჭალები. მხატვარი გაიოზ ფოცხიშვილი.

ს 61/47

76157